unicef

თითოეული ბავშვისთვის

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი

2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

წიგნი 3

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

წიგნი 3

2019

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით.
პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი ეკუთვნით ავტორებს და სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2019

ავტორები: თამთა კუხალეიშვილი, ნინო ფრუიძე, ნინო ჯიჯავაძე, თამარ ბაქრაძე, ანა ჯანელიძე
ილუსტრაცია და დიზაინი: სალომე სხირტლაძე
ფოტო გარეკანზე: თაკო რობაქიძე

სარჩევი

საგანმანათლებლო პროცესი 005

თავი 1. – საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა – ბავშვზე დაკვირვება, ბავშვის საჭიროებებისა და ინტერესების დანახვა 008

რატომ ვაკვირდებით ? 008

ბავშვზე ინფორმაციის მიღების ალტერნატიული საშუალებები 009

დაკვირვება ბავშვების საქმიანობაზე 009

დაკვირვების გამოყენება 022

თავი 2. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა, ბავშვის შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება 026

რა იგულისხმება ბავშვის შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაში („მიყოლა“) 026

თავი 3. ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშემწყობი გამოცდილებები 055

კონსტრუქციული თამაში 055

სამაგიდო თამაშები 061

მოძრავი თამაში 067

მუსიკა და ცეკვა 073

წიგნებთან ურთიერთობა 076

კვლევა და აღმოჩენები 083

კულინარია 091

დრამატული თამაში 097

სენსორული თამაშები 105

ტექნოლოგიების გამოყენება 108

ვიზუალური ხელოვნება 113

თავი 4. შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგება 120

ბავშვები, რომლებისთვისაც ქართული არის მეორე ან უცხოური ენა 122

ბავშვები, რომელთაც გადატანილი აქვთ ტრავმა 125

განვითარების სირთულეების მქონე ბავშვები 130

რთული ქცევის მქონე ბავშვები 138

მორცხვი ბავშვები 140

სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები 142

თანამშრომლობა 145

თავი 5. დოკუმენტირება 148

რას ნიშნავს ნამუშევრების დოკუმენტირება? 148

როგორ ხდება დოკუმენტირება? 152

რა მეთოდებს და ხერხებს ვიყენებთ დოკუმენტირებისას? 154

ინდივიდუალური პორტფოლიო 164

თავი 6. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ფორმები 169

თავი 7. კურიკულუმის შეფასება 176

შეფასების მიზანი, კომპონენტები და მისი გამოყენება შემდგომ დაგეგმვაში 177

გამოყენებული ლიტერატურა 185

საგანმანათლებლო პროცესი

კურიკულუმის წინა ნაწილებში განხილულია საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა როლები და გარემო, რომელიც გვეხმარება ბავშვების კეთილდღეობის, განვითარებისა და სწავლის ხელშეწყობაში. მოცემული ნაწილის მიზანი კი იმის ჩვენებაა, თუ როგორ უნდა წარვმართოთ საგანმანათლებლო პროცესი ბაღებში, რა არის ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ და რა მიდგომები გამოვიყენოთ იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროცესმა და ხელი შეუწყოს ყველა ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.

საგანმანათლებლო პროცესი ბავშვების ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით უნდა წარვმართოთ. შესაბამისად, კონკრეტული თემები და აქტივობები ვერ იქნება წინასწარ გაწერილი რომელიმე სახელმძღვანელოში. ამ პროცესში უმთავრესი როლი ბაღის საგანმანათლებლო პერსონალს ეკისრება. პროცესების ბავშვების ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით წარმართვის საუკეთესო საშუალება კი კურიკულუმის ***ინდივიდუალიზაციაა****.*

ინდივიდუალიზაცია *ნიშნავს ბაღში მიმდინარე ყველა პროცესის მორგებას ცალკეული ბავშვის თავისებურებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე. ინდივიდუალიზაცია თითოეული ბავშვის შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას გვაძლევს.*

მართალია არსებობს სხვადასხვა კვლევისა და თეორიის მიხედვით დადასტურებული და ეროვნულ სტანდარტებში აღწერილი ცოდნისა და უნარების ჩამონათვალი, რომლითაც ხასიათდებიან სხვადასხვა ასაკის ბავშვები, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ბავშვი ინდივიდუალური და უნიკალურია - ინდივიდუალური საჭიროებებით, ინტერესებითა და შესაძლებლობებით. ჩვენი ამოცანაა, ისე დავგეგმოთ და წარვმართოთ პროცესები, რომ ყველა ბავშვის ჩართვა შევძლოთ საგანმანათლებლო პროცესში და ამით ხელი შევუწყოთ მათი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენასა და გამოყენებას. თუ საგანმანათლებლო პერსონალს ეს ყოველივე ყურადღების მიღმა რჩება, მივიღებთ არასასურველ მოცემულობას, როდესაც ბავშვები ვერ აღწევენ სწავლისა და განვითარების შედეგებს.

ინდივიდუალიზაცია ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ნაწილია. ხშირად ტერმინი ინკლუზიური განათლება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლებასთან ასოცირდება. თუმცა ეს ასე არ არის და კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ ნათლად განგვიმარტავს, რომ ინკლუზიური განათლება ეხება ყველა ბავშვს. ინკლუზიური განათლება არის "საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვების ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა"[1] *(კანონი, 2016). ინდივიდუალიზაცია სწორედ ის საშუალებაა, რომლითაც შეგვიძლია განსხვავებული ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი, რელიგიური, ეთნიკური, გენდერული თუ სხვა საჭიროებების მქონე ბავშვებს ხარისხიანი განათლების პროცესი შევთავაზოთ.*

---

1 საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ 2016, N 5366-IIს,

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდივიდუალიზაცია საჭირო ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფში ერთი ბავშვი მაინც არის განსხვავებული თვისებით ან მახასიათებლით, ანუ ყოველთვის, იმიტომ რომ წარმოუდგენელია თუნდაც ორი სრულიად ერთნაირი ბავშვის ნახვა.

საგანმანათლებლო პროცესი სამი ძირითადი საფეხურისგან შედგება:



ეს საფეხურები ციკლურად მეორდება. დაკვირვებას გააზრება მოსდევს, გააზრებას - მოქმედება, მოქმედებას კი ისევ დაკვირვება და ასე შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ ვაკვირდებით ბავშვებს, შემდეგ ვაანალიზებთ დაკვირვების შედეგებს, რასაც ვეყრდნობით მოქმედებისას, როცა ვთავაზობთ ბავშვებს სხვადასხვა გამოცდილებას.

თავი 1.- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა - ბავშვზე დაკვირვება, მისი საჭიროებებისა და ინტერესების დანახვა

რატომ ვაკვირდებით ?

დაკვირვება საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია. შესაბამისად, მოცემული კურიკულუმის განხორციელებისას საგანმანათლებლო პერსონალი დიდ დროს უთმობს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვზე დაკვირვებას, რათა აღმოაჩინონ ბავშვების ინტერესები, მათი ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე დაგეგმონ სხვადასხვა საქმიანობები და ხელი შეუწყონ მათ განვითარებას. მოცემულ თავში სწორედ დაკვირვებაზე, მის მნიშვნელობაზე, სტრატეგიებსა და პროცესზე ვისაუბრებთ.

კვლევების შედეგების მიხედვით, ბავშვები უფრო მოტივირებულები მაშინ არიან, როდესაც მათთვის საინტერესო საქმიანობაში ერთვებიან. ისინი უკეთ გადალახავენ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ შეთავაზებულ გამოწვევებს, უადვილდებათ იმ საკითხებზე კონცენტრირება, რომლებიც მათთვის საინტერესოა. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობები ბაღში ეფუძნებოდეს ბავშვების ინტერესებს.

იმისათვის, რომ გავითავლისწინოთ ყველა ბავშვისა და ჯგუფის თავისებურებები, ინტერესები, უნდა ვიცნობდეთ მათ და გვქონდეს შესაბამისი ინფორმაცია ბავშვების განვითარების, შესაძლებლობების, მათი შედარებით ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ჩვენი ამოცანაა, გავიგოთ, რა აინტერესებთ და მოსწონთ, როგორი კულტურული თუ ენობრივი მახასიათებლები აქვთ და გვჭირდება ინფორმაცია მათი ხასიათის, საყვარელი საქმიანობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ბავშვების მშობლებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს და იმ პირებს, ვისთან ერთადაც ცხოვრობს ბავშვი, ძალიან დიდი ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ ზემოთ აღწერილ საკითხებზე. ამიტომ, მათთან მუდმივი კომუნიკაცია, საუბარი და ინფორმაციის გაცვლა აუცილებელია ინდივიდუალიზაციის პროცესში. ამ საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია თავში „ოჯახთან მუშაობა“.

ოჯახის წევრი უფროსები ნამდვილად მოგვიყვებიან, რა მოსწონთ და უყვართ ბავშვებს, რა აინტერესებთ, რა შეუძლიათ და რაში სჭირდებათ დახმარება, თუმცა მშობელზე უკეთ ამ კითხვებზე თავად ბავშვები გაგცემენ პასუხს, ამიტომ საკუთარ თავზე საჭირო ინფორმაციისა და ცოდნის საუკეთესო, უტყუარი წყარო, რასაკვირველია, ბავშვია.

ამგვარად, ბავშვის მოსმენა უმნიშვნელოვანესია. აქტიური მოსმენის რაობასა და მნიშვნელობაზე წინა თავებში ვისაუბრეთ.

ცხადია, მოსმენა საკმარისი არ არის, რადგან, თავადაც იცით, ამ ასაკში ბავშვების საკუთარი აზრის გადმოცემის უნარი განვითარების პროცესშია, ამიტომ ისინი ხშირად ზუსტად ვერ გადმოსცემენ, რისი თქმა სურთ, ნაწილი კი საერთოდ არ ლაპარაკობს ბაღში სიარულის დაწყების ასაკში.

დაკვირვება სწორედ ის პროცესია, რომლის მეშვეობითაც ფასდაუდებელ ინფორმაციას ვიღებთ ბავშვებზე. დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით, აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს შეუძლიათ ბავშვებისთვის ყველაზე სასურველი, საინტერესო, განმავითარებელი გარემოსა და საქმიანობების შეთავაზება.

დაკვირვება ბავშვების საქმიანობაზე

უმეტესად, ბავშვებთან მუშაობისას ჩვენზე დაკისრებული ბევრი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გამო, ძირითად დროს ძლიერი

სტრესის ფონზე ვატარებთ. ბავშვებთან ურთიერთობისას გვავიწყდება დანახვა და დაკვირვება, როგორი განსაკუთრებულები არიან ისინი და მეტ ყურადღებას ვუთმობთ იმაზე ფიქრს, როგორი უნდა იყოს ბავშვი, რას ითხოვენ ჩვენგან მშობლები, კოლეგები, საზოგადოება.

ადრე ითვლებოდა, რომ ბავშვები ირაციონალურები, ეგოცენტრულები და ამორალურები არიან. ფიქრობდნენ, რომ მათი აზროვნება და გამოცდილება იყო კონკრეტული, მყისიერი და შეზღუდული. სინამდვილეში ფსიქოლოგებმა და ნეირომკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ბავშვები არამხოლოდ სწავლობენ, არამედ წარმოისახავენ მეტს, ზრუნავენ და განიცდიან მეტად, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. რაღაც ასპექტში, ბავშვები უფრო ჭკვიანები, მზრუნველები, შეგნებულები და უფრო მდიდარი ფანტაზიის მქონენი არიან, ვიდრე უფროსები.

ელისონ გოპნიკი

რადგან ეს კურიკულუმი ითვალისწინებს სრული საგანმანათლებლო პროგრამის ბავშვის ინტერესებზე მორგებას, ჩვენი მთავარი მიზანია, ვიქცეთ ყურადღებიან დამკვირვებლებად, რადგან სწორედ ეს დაკვირვებები უნდა გახდეს ბავშვთან შემდგომი მუშობის საფუძველი.

გაგაცნობთ რამოდენიმე სტრატეგიას თუ როგორ ჩამოვაყალიბოთ ბავშვზე დაკვირვების სისტემა

რა არის დაკვირვების მიზანი?

დაკვირვება გვეხმარება:

- გვქონდეს ბავშვებთან უფრო გააზრებული კომუნიკაცია. რაც უფრო კარგად ვიცნობთ ბავშვს, მით უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვიყალიბდება მასთან;

- ვიხილოთ თვალსაჩინო მაგალითები ბავშვის ცოდნისა და უნარების შესახებ, დავინახოთ ბავშვის ძლიერი და შედარებით სუსტი მხარეები - ამ სახის ინფორმაცია გვეხმარება ბავშვებისათვის საუკეთესო გამოცდილების შეთავაზებაში. გარდა ამისა, ბავშვების ძლიერი მხარეები შეიძლება ძალიან კარგ სასწავლო რესურსად გადავაქციოთ და გამოვიყენოთ;
- შევაფასოთ ბავშვის ინდივიდუალური განვითარება - ამ მიზნით დაკვირვების განვითარების სფეროს რომელიმე სტანდარტთან დაკავშირებაც შეგვიძლია;
- მივიღოთ ინფორმაცია, რა საქმიანობებში ერთვება ხშირად და რის კეთებას ანიჭებს უპირატესობას და ა.შ.
- წარვმართოთ საგანმანათლებლო პროცესი ბავშვების დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ინტერესების შესაბამისად;
- მივიღოთ ინფორმაცია მშობლების ინფორმირების მიზნით.

როდის უნდა დააკვირდეთ?

დაკვირვება ხორციელდება სხვა პროცესების პარალელურად, შესაბამისად, ბავშვებს ვაკვირდებით მუდმივად - მათთან ურთიერთობისას, აქტივობებისა და რუტინული საქმიანობების დროს, ყოველდღიურ პროცესებში და სხვა. თუმცა, თუ დაკვირვებისათვის განსაკუთრებული ძალისხმევა გვჭირდება, შეგვიძლია კონკრეტული დროის გამოყოფა ჩვენს პროფესიულ განრიგში. შესაძლოა, რამდენიმე წუთის გამოყოფა დაკვირვებისა და ჩანაწერების გაკეთებისთვის კარგი საშუალება აღმოჩნდეს, როცა სხვა საქმიანობების პარალელურად დაკვირვება სირთულეებს გვიქმნის.

ცხადია, ნებისმიერ საქმიანობაში ჩართულ ბავშვს შეიძლება დააკვირდე. ბავშვების შესახებ განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას ბავშვების მიერ ინიცირებული საქმიანობების დაკვირვებით მიიღებთ. თამაშში ჩართულ ბავშვზე დაკვირვება საუკეთესო შესაძლებლობაა

თქვენთვის, რადგან ისინი ამ დროს უფრო მეტად საკუთარი მოტივაციით, უფროსებისგან დამატებითი ინსტრუქციების გარეშე მოქმედებენ: ირჩევენ სასურველ სათამაშოს, თამაშს, ადგილს, სადაც სურთ თამაში და სხვა.

გვახსოვდეს, რომ დაკვირვება, დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის დოკუმენტირება და შემდეგ შეფასება მაქსიმალურად ობიექტური უნდა იყოს, ამიტომ უნდა ვერიდოთ საკუთარი ინტერპრეტაციებისა და სუბიექტური შეხედულებების ჩამოყალიბებას. ერთსა და იმავე ასპექტზე დაკვირვება განმეორებადი უნდა იყოს, რადგან ხშირად ბავშვები სხვადასხვა გარემოში განსხვავებულად იქცევიან.

ბევრი აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელებთან ერთად წინასწარ საზღვრავს, რას დააკვირდნენ. მათ შეიძლება დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩასანიშნად ჰქონდეთ შემუშავებული სპეციალური ფორმაც, რომელსაც როგორც დაკვირვების პროცესში, ისე მის შემდეგაც ავსებენ.

დაკვირვების ჩანაწერების წარმოება

დაკვირვების ჩანაწერი არის აღწერა ქმედებებისა - რას აკეთებს ან ამბობს ბავშ(ებ)ი. მოვლენების ზუსტად და საფუძვლიანად აღსაწერად, დაკვირვების ჩანაწერები უნდა მოიცავდეს მოქმედების, ბავშვების სიტყვების, ციტატების, ჟესტის, სახის მიმიკის, ნამუშევრის და ა.შ. აღწერას. არ დაივიწყოთ დეტალები!

რადგან ბავშვები ხშირად სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებულად იქცევიან, უნდა გავიმეოროთ დაკვირვება.

სიტყვები და ფრაზები, რომელთა გამოყენებაც შეგვიძლია:	სიტყვები და ფრაზები, რომელთა გამოყენებასაც უნდა ვერიდოთ
ბავშვი აკეთებს….. ბავშვი ამბობს….. ხშირად ირჩევს….. ხუთი წუთის განმავლობაში თამაშობს… კვირაში ერთხელ…. ….	ბავშვს მოსწონს …. თითქოს….. უნდოდა, რომ.. ბავშვი მესაკუთრეა ბავშვი ჯიუტობს ჩემი აზრით….

დაკვირვებისთვის აუცილებელია ქმედებებისა და მოვლენების წერილობითი ჩანიშვნა, რისთვისაც მოსახერხებელი ფორმაა შესარჩევი. ეს შეიძლება იყოს ბლოკნოტი, წებოვანი ან ჩასანიშნი ფურცლები და ა.შ. დაკვირვების ჩანაწერს უნდა მივუთითოთ თარიღი, ბავშვის სახელი და დაკვირვების დრო. (მაგალითად, კვება ან მაკეტზე მუშაობა). მოგვიანებით ეს ინფორმაცია დაკვირვების ჩანაწერების დახარისხებას გაგვიადვილებს.

დაკვირვების ჩანაწერების დამუშვება კვირაში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს. დამუშვებაში იგულისხმება დაკვირვების ობიექტი ბავშვების პროფილების პორტფოლიოში განთავსება.

ამასთანავე - დაკვირვების ჩანაწერის ანალიზი, ანუ რა ინფორმაციას გვაძლევს ჩვენ მიერ გაკეთებული კონკრეტული ჩანაწერები და რაში გამოვიყენებთ. ვინაიდან ცალკეულ ბავშვებთან ერთად ვაკვირდებით მთლიან პროცესს, დამუშავებისას ამ ჩანაწერებისთვის ფორმის მიცემას ვცდილობთ. რა იგულისხმება ფორმის მიცემაში და როგორი ფორმით შეიძლება დაკვირვების ჩანაწერების გაკეთება, შემდეგ თავშია განხილული.

რას უნდა დავკვირდეთ?

სხვადასხვა პროცესის დროს ვუყურებთ და ვაკვირდებით ბავშვების საქმიანობებს, ვინიშნავთ საინტერესო სასწავლო მომენტებს, -მაგალითად, როცა ვხედავთ, რა ინტერესებს ამჟღავნებენ ბავშვები, როგორ იქცევიან ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად და იძენენ ახალ ცოდნას საკუთარი ქმედების საშუალებით, რას ყვებიან, რა კითხვებს სვამენ და როგორ ხსნიან ამათუ იმ მოვლენას.

როდესაც ვაკვირდებით ბავშვს ინდივიდუალურად ან ბავშვების ჯგუფს, დასაკვირვებლად შეიძლება ავირჩიოთ:

- ✓ განვითარების სფერო (ვთქვათ, მეტყველება ან ფიზიკური განვითარება) - ამ შემთხვევაში ჩვენ ვაკვირდებით და ვცდილობთ რომელიმე კონკრეტული სფეროს შესაბამისი კომპეტენციების აღმოჩენას ბავშვების ქმედებებში - იქნება ეს ერთმანეთს შორის კომუნიკაცია, თამაში თუ სხვა საქმიანობა.
- ✓ ჯგუფის ოთახის ერთი რომელიმე კუთხე ან კონკრეტული აქტივობა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვაკვირდებით არა განვითარების კონკრეტულ სფეროს, არამედ ყველაფერს, რაც კონკრეტულ ადგილას ან საქმიანობის დროს ხდება. ეს შეიძლება იყოს მასალა, რომელსაც ბავშვები იყენებენ. ამავდროულად ვაკვირდებით, როგორ იყენებენ ამ მასალას, როგორ განწყობაზე არიან ამ დროს, ავლენენ თუ არა ინტერესს და ა.შ.

❖ დააკვირდით როგორ იყენებენ ბავშვები შეგრძნებებს

ხშირად, სენსორულ აქტივობებში ჩართული ბავშვების დანახვისას (როცა ტალახს წყალს ურევენ, ზელენ ან სათამაშოებს ყრიან და ამსხვრევენ), ვცდილობთ შევაჩეროთ და წესრიგი დავამყაროთ, ადგილის დასუფთავება და ხმაურის ჩახშობა გვსურს, თუმცა ამ ტიპის საქმიანობები აუცილებელია ბავშვების განვითარებისთვის. უმჯობესია, დავაკვირდეთ ამ აქტივობაში ჩართულ ბავშვებს და დავინახოთ, როგორ მუშაობს მათი გონება, რა ემოციებს ავლენენ და სხვა.

ხათუნამ გადაწყვიტა ორწლიანების ჯგუფში მარილის შეტანა და წინასწარ მოიმარაგა სხვადასხვაგვარი ჭურჭელი - პატარა ჭიქები, ქილები, ძაბრები და კოვზები. ბავშვები სიამოვნებით ყრიდნენ მარილს ერთი ჭურჭლიდან მეორეში და იკვლევდნენ ახალი მასალის თვისებებს.

ამ აქტივობისას ხათუნა აკვირდებოდა ბავშვებს და ხედავდა, როგორ სიამოვნებდათ მათ პატარა კოვზებით დიდი ჭურჭლის შევსება, შემდეგ კი დაცლა. ხათუნამ შემდეგ ჯერზეც მსგავსი მასალისა და უფრო მრავალფეროვანი, სხვადასხვა ზომის ჭურჭლის შეთავაზება გადაწყვიტა ბავშვებისთვის.

"ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია პროცესი, საქმიანობისგან მიღებული ფიზიკური და ემოციური რეაქციები, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი გამოცდილებები.

როდესაც ბავშვები სამყაროს შეცნობის საინტერესო გზაზე „მოგზაურობენ", მათი ტვინის ნეირონები გამტარი გზებით უკავშირდებიან ერთმანეთს, რითაც ქმნიან საფუძველს ბავშვების მომავალი სწავლისა და სიამოვნებისთვის."

დ. კურტისი და მ. კარტერი (2012)

❖ დავაკვირდეთ ბავშვების ცოცხალ აზროვნებას

გაითვალისწინეთ მეცნიერების მიერ დადგენილი ფაქტები, რომ ბავშვებს აქვთ:

ძლიერი ინსტინქტური ცნობისმოყვარეობა - კვლევის, ექსპერიმენტირების და აღმოჩენების თანდაყოლილი შინაგანი მოტივაცია. ეს აძლევს მათ შესაძლებლობას, იყვნენ ფოკუსირებულები, ჩართულები, კონცენტრირებულები და მიზანმიმართულები (გამოიჩინონ ძალისხმევა).

მოქნილი ტვინი - ტვინის განვითარების ეტაპიდან გამომდინარე, ბავშვები ხედავენ, ესმით და შეიგრძნობენ უფრო მძაფრად, ვიდრე მოზრდილები. ამიტომ ბავშვებს უკეთ შეუძლიათ დაკვირვება და დეტალების შემჩნევა, რაც ხელს უწყობს წარმოსახვის განვითარებას და აძლევს მათ უფრო მეტი შესაძლებლობის დანახვის საშუალებას როგორც ობიექტებთან (ნივთებთან), ისე სიტუაციებთან მიმართებით.

ნეირომეცნიერული კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანის ტვინის განვითარება იწყება ჯერ კიდევ დაბადებამდე და გრძელდება ზრდასრულ ასაკშიც. თავიდან მარტივი ნეირონული კავშირები და უნარები ფორმირდება. სწორედ ამ კავშირებსა და უნარებზე შენდება უფრო რთული უნარები. ტვინის არქიტექტურა ცალკეულ ნეირონებს შორის მილიარდობით კავშირისგან შედგება. სწორედ ეს კავშირები უზრუნველყოფს იმ ნეირონებს შორის ურთიერთობას, რომლებიც ტვინის სხვადასხვა ფუნქციაზე არიან პასუხისმგებელნი. დაბადებიდან რამდენიმე წლის მანძილზე წამში მყარდება მილიონი ახალი ნეირონული კავშირი, რომელიც შემდგომი უფრო რთული კავშირების შექმნის საფუძველი ხდება. ზოგიერთი ამ კავშირთაგანი დროთა განმავლობაში ქრება, რადგან ფუნქციას კარგავს ან არ ხდება მათი შესაბამისი სტიმულირება.

სამეცნიერო მეთოდები - კარგად დაკვირვებისას აღმოაჩენთ, რომ ბავშვები კვლევას იწყებენ კითხვით „რატომ?“ შემდეგ კი აგროვებენ ინფორმაციას კითხვაზე პასუხის გასაცემად. ისინი აყალიბებენ ჰიპოთეზებს (ვარაუდებს) და ბევრი ცდის, კვლევისა თუ აღმოჩენების საშუალებით ადასტურებენ ან უარყოფენ ამ ჰიპოთეზებს, რის შემდეგაც მიდიან დასკვნამდე.

შეეცადეთ, ბავშვებზე დაკვირვებისას ჩაინიშნოთ, როგორ იყენებენ ისინი ამ უნარებს.

ჩაინიშნეთ და გადაიღეთ ფოტოები, როცა ხედავთ:

- ბავშვი მაქსიმალურად ჩართული და კონცენტრირებულია რომელიმე საქმიანობაში;
- ამჟღავნებს ცნობისმოყვარეობას;
- ცდილობს რაიმეს გაკეთებას ბევრი ცდის მეშვეობით, ისევ და ისევ;
- დეტალურად აკვირდება რაიმეს;
- იყენებს წარმოსახვას რაიმეს მრავალმხრივად გამოყენებისას.
- იყენებს ისეთ კვლევის მეთოდებს, როგორიცაა შეკითხვების დასმა,

კვლევა და აღმოჩენა, დახარისხება და კლასიფიკაცია, ჰიპოთეზების (ვარაუდის) ჩამოყალიბება და შემდეგ მათი გამოცდა, ანალიზი - რა მოხდა, ახალი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, პრობლემის გადაჭრა და მცდელობა, საბოლოო შეჯამება და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

მაია ცდილობდა სწავლების სტილის შეცვლას და მეტად ორიენტირებას ბავშვზე. ერთ დღეს მან გადაწყვიტა, შეეთავაზებინა ბავშვებისთვის მათთვის ნაცნობი აქტივობა ღილებით, ოღონდ სხვაგვარად. მაიამ ჩაყარა სხვადასხვანაირი ღილები პატარა კალათებში და დადგა მაგიდაზე. ბავშვების ადგილებზე კი დააწყო ფერადი მუყაოები ზედ გამოსახული სხვადასხვა გეომეტრიული ფორმით.

ბავშვები თავიდან დაიბნენ და ეკითხებოდნენ მაიას, რა ევალებოდათ, რა უნდა გაეკეთებინათ.

ითამაშეთ ღილებით - პასუხობდა მაია - და ნახეთ, რას აღმოაჩენთ.

მაია იქვე ჩამოჯდა და ცდილობდა, არ დაესვა ჩვეული კითხვები: რამდენი ღილი გაქვს? რა ფერია შენი ღილები? იგი მხოლოდ ფოტოებს იღებდა და ინიშნავდა ბლოკნოტში, რას აკეთებდნენ ბავშვები.

ბავშვები კი განსხვავებულად იქცეოდნენ: ზოგი ახარისხებდა ღილებს ფერების და ზომების მიხედვით, ნაწილმა დაიწყო დიდი და ბრჭყვიალა ღილების ძებნა, შეგროვება. ერთ-ერთმა ბიჭმა დადო ბრტყელი ღილი ქაღალდზე და სული შეუბერა, ღილი ბზრიალით გაცურდა მაგიდის მეორე ბოლოსკენ.

ნახეთ , ნახეთ დაფრინავს! - უხაროდა ბიჭს.

შეხედე, ნამდვილი აღმოჩენა გააკეთე! - უთხრა მაიამ - სულის შებერვით შეგიძლია ღილების გადაადგილება.

მაგიდასთან დადგა გრძელი რიგი ბავშვებისა, რომლებსაც იმავეს გაკეთება მოუნდათ.

მაია გაოცებული იყო, რომ ბავშვებმა ღილების გამოყენების სულ სხვა, მისთვის წარმოუდგენელი გზა აირჩიეს. არავის გამოუყენებია

გეომეტრიული ფიგურების გამოსახულებები, ბევრმა უბრალოდ ამოაბრუნა ფურცელი. მაია ჩქარობდა დაკვირვების კოლეგისთვის გაზიარებას და ერთად დაგეგმვას, როგორ შეეთავაზებინათ ბავშვებისთვის ღილები კიდევ უფრო ახლებურად.

არ შეაწყვეტინოთ ბავშვს ინტელექტუალური წიაღსვლები. ვიდრე რაიმე მიზეზის გამო ინსტინქტურად შეაჩერებთ მას, დაფიქრდით: რა აინტერესებს, რა კითხვები, ვარაუდები და აზრები აქვს? რატომ არის ეს მნიშვნელოვანი და როგორ შეიძლება ხელი შევუწყოთ მის კვლევას?

→ დააკვირდით როგორ იკვლევენ, იგონებენ და ქმნიან.

თუკი კარგად დავაკვირდებით ბავშვებს, დავინახავთ, რომ ისინი ძალიან ცნობისმოყვარეები, შემოქმედებითები და უსაზღვრო შესაძლებლობების პატრონები არიან. ისინი, თითქოს, მოწოდებულები არიან, დაშალონ, შეცვალონ და გამოიგონონ ახლიდან. ჩვენ უნდა შევუქმნათ ბავშვებს პირობები და შევთავაზოთ მათ მასალა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ შემოქმედებითობასა და გამომგონებლობას, ამისათვის კი საუკეთესო მეორადი და ბუნებრივი, ღია მასალებია.

ხათუნამ ახალ სასწავლო წელს გადაწყვიტა ჯგუფის ღია მასალებით გამდიდრება. ამ მიზნით კოლეგებთან ერთად დაგეგმა ტყის დალაშქვრა ბუნებრივი მასალების შესაგროვებლად. ხათუნა დაუკავშირდა მშობლებსაც და სთხოვა მათთვის ხელმისაწვდომი ბუნებრივი და მეორადი მასალების მოწოდება. ჯგუფში შესულ ბავშვებს ბევრი სიახლე დახვდათ. ისინი ყოველგვარი ინსტრუქციის გარეშე ცდილობდნენ სხვადასხვა კონსტრუქციების აგებას, მასალის განსხვავებულად გამოყენებას. თამაშში ჩართული ბავშვები უარს ამბობდნენ სხვადასხვა განრიგით გათვალისწინებულ საქმიანობებზე. ხათუნას და მის ასისტენტ ლიას საშუალება ჰქონდათ, დაკვირვებოდნენ ბავშვებს და ჩაენიშნათ მათი ქმედებები. რამდენიმე დღის შემდეგ მან შენიშნა, რომ ბავშვები

ინტენსიურად აგებდნენ ხიდებს, მდინარეებს და ჯებირებს, რისთვისაც ჯგუფში არსებულ თითქმის ყველანაირ რესურსს იყენებდნენ.

→ დააკვირდით ბავშვების კავშირს ბუნებასთან

ბავშვობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და სასიამოვნო მოგონება ბუნებაში გატარებული დროა. ბუნებაში ყოფნისას ბავშვებს აქვთ საშუალება, დააკვირდნენ და შეიგრძნონ მისი სილამაზე, სურნელი, დააკვირდნენ შუქ-ჩრდილებს და ყური დაუგდონ ხმებს; შეუძლიათ თავისუფლად მოძრაობა, სირბილი, ხმაური და ცოცხალ არსებებზე დაკვირვება.

ჩვენი კურიკულუმის მიხედვით, ბავშვებს უნდა შევუქმნათ მრავალფეროვანი შესაძლებლობები ბუნებასთან კავშირის დასამყარებლად და დავაკვირდეთ

მათ ამ პროცესში. ბუნებაში, პარკში, ეზოში დააკვირდით ბავშვებს:

- კონკრეტულად რას აკეთებენ, როგორ უკავშირდებიან ბუნებას?
- რამ მიიპყრო მათი ყურადღება? რით დაინტერესდნენ?
- რა მოსწონთ და სიამოვნებთ ამ პროცესში?
- რა კითხვები უჩნდებათ ან რას ამბობენ?
- რის გარკვევას ცდილობენ საკუთარი თავისა და ბუნების შესახებ?

დააკვირდით, როგორ ურთიერთობენ ბავშვები ცოცხალ არსებებთან, რომლებიც გყავთ ჯგუფში ან გხვდებიან ექსკურსიაზე: ჩიტები, მწერები, კურდღლები, ციყვები და სხვა.

→ დააკვირდით ბავშვების წარმოსახვით თამაშს

ბავშვები იყენებენ წარმოსახვით თამაშებს იმ გრძნობებისა და დამოკიდებულებების გამოსახატად, რომლებსაც სხვადასხვა გამოცდილებით იძენენ. როლების გათამაშებით ისინი განსხვავებული რაკურსიდან იკვლევენ სიტუაციებსა და ადამიანებს . მაგალითად, როგორია, იყო მეხანძრე ან ექიმი, პატარა ფისო ან ურჩხული. ამგვარი თამაშებით ბავშვები სხვადასხვა რაკურსიდან თუ პერსპექტივიდან დანახვას სწავლობენ.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში თითოეული ბავშვის წარმოსახვით თამაშზე დაკვირვებით ვადგენთ მათ საყვარელ თამაშებს, ვხედავთ, როგორ თამაშობენ, რომელ როლებს ანიჭებენ უპირატესობას და რა ქცევას (ქცევის მოდელს) ავლენენ ამ დროს.

ამ კურიკულუმის მიხედვით, ბავშვებს აქვთ მრავალფეროვანი მასალები, ადგილები და შესაძლებლობები წარმოსახვით თამაშებში ჩასართველად. სტანდარტული სახლობანას კუთხის გარდა, ბავშვებს სჭირდებათ ბევრი სხვა გზა წარმოჩენისთვის - თუ რას სწავლობენ სამყაროს შესახებ სხვადასხვა როლის გათამაშებით. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა ენიჭება ღია მასალებსა და ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ნივთებს, რომლებსაც ბავშვები სხვადასხვა დანიშნულებითა და სიტუაციაში გამოიყენებენ.

დაკვირვების გამოყენება

დაკვირვებასა და ბავშვების იდეების მოსმენის შემდგომი ეტაპი დაკვირვების გააზრებაა, როდესაც ვეკითხებით საკუთარ თავს:

- რომელ კონკრეტულ უნარს ამჟღავნებს ბავშვი ამ ქმედებით?
- რის გაგებას ცდილობს ბავშვი?
- რა არის ბავშვის ინტერესის საგანი?

- როგორ ცდილობს ბავშვი ამა თუ იმ საკითხსა ან ვითარებაში გარკვევას?
- რომელი კომპეტენციის განვითარებას ემახურება აქტივობა?

ქვემოთ მოცემული მაგალითი დაგეხმარებათ, გაიგოთ, რა იგულისხმება ბავშვზე დაკვირვების გააზრებაში ერთ- ერთი აღმზრდელ-პედაგოგის მიერ შედგენილი ცხრილის მეშვეობით.

ეს არის დღის ერთ მონაკვეთში განხორციელებული დაკვირვება კონკრეტულ ბავშვზე, რომელიც თამაშობს დამსწრე მასწავლებელთან ერთად.

ბავშვზე დაკვირვება:

10:10 - ლუკა მიდის ნანი მასწავლებელთან. ამრგვალებს ცომისგან პატარა ბურთებს, იწყებს სიმღერას „რერო ნანინა“, იღებს ბურთებს, ხელით აწვება და აბრტყელებს, იღებს პიცის საჭრელს და იწყებს ცომის წრეების დაჭრას.

10:17 - ელენეს (პრაქტიკანტი) მოაქვს კექსების ფორმები და დებს მაგიდაზე ლუკასთან. ლუკა ათავსებს ცომს ფორმებში და ითვლის 1,2,3. ლუკა ხედავს, რომ ნანი მასწავლებელი უღებს სურათს , მიდის და თავს ჩამოადებს მხარზე. ნანი მასწავლებელი აჩვენებს კექსების ფოტოს. ლუკა სასწრაფოდ იღებს ცომს ფორმებიდან, აბრტყელებს მაგიდაზე და იწყებს ხაზების გავლებას, თან ამბობს „მატარებლის რელსები“, შემდეგ ისევ მიდის ახალი ფოტოს სანახავად.

10:25 - ლუკა ნანი მასწავლებელს უწვდის ცოტა ცომს და ეუბნება „გადაუღე“. როცა დაინახავს, რომ მასწავლებელს ახლოს მოაქვს ცომის კადრი, თვალები უნათდება, „კიდევ!“ ამბობს ის.

ლუკას ჩართულობა ამ საქმიანობაში გაგრძელდა დაახლოებით 20 წუთი.

დაკვირვების ჩანაწერის მიხედვით, ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგი წინასწარ ავსებს მის მიერ შედგენილ ფორმას, სადაც მოცემულია ოთხი სხვადასხვა პერსპექტივა რეფლექსიისთვის, გააზრებისთვის.

ბავშვი	სწავლა და განვითარება	აღმზრდელ– პედაგოგი	ოჯახი
რატომ დაკავდა ლუკა ამდენი ხანი ამ საქმიანობით – მასალის თუ მასწავლებლის გამო? როგორც ჩანს, ლუკას სიამოვნებს ცომის მოზელვა და გაბრტყელება. უკავშირებს ცომს კექსების გამოცხობას. თბილად ექცევა დამსწრე უცხო მასწავლებელს. იგონებს თამაშს, რომელითაც კავდება დიდი ხნის განმავლობაში.	იმახსოვრებს და მღერის სიმღერას. თავდაჯერებულად ექცევა უფროსებს და ამყარებს ფიზიკურ კონტაქტს. აქვს განვითარებული ნატიფი მოტორიკა საზელად და გასაბრტყელებლად. იცის მიზეზშედეგობრივი კავშირები. ხვდება, რომ დაწოლა აბრტყელებს ცომს. ცნობს თავის ნამუშევარს ფოტოზე და იყენებს მას შესაცვლელად და მუშაობის გასაგრძელებლად. იცის, რომ რელსები პარალელური ხაზებისაგან შედგება. ახერხებს კონცენტრირებას 20 წუთზე მეტი.	საინტერესო იყო ლუკას პოზიტიური განწყობა უცნობი ადამიანის მიმართ. შეუწყო თუ არა ხელი მისმა ინტერესმა ფოტოაპარატის და ცომის მიმართ მის ამ დიდხნიან საქმიანობას? რამ გამოიწვია მისი ინტერესი ხაზების მიმართ? სადმე დაინახა ხაზები თუ გაახსენდა რელსები? იქნებ, შევთავაზოთ აპარატის დამოუკიდებლად გამოყენება. გამოიწვევს ეს მეტ ჩართულობას და კომუნიკაციას? სხვა გასადიდებელი მასალის შეთავაზება აღუძრავს ინტერესს?	ოჯახთან განსახილველი კითხვები: ხომ არ შეგინიშნავთ, რომ ლუკა უფრო თამამად იწყებს ურთიერთობას უცხოებთან? საინტერესოა, ხომ არ მუშაობთ ლუკას მეტყველებაზე სახლში? როგორ ვიმუშავოთ ერთად, რათა ხელი შევუწყოთ მის ინტერესს ფოტოკამერის მიმართ? ერთად როგორ განვუვითაროთ სოციალური უნარები – უკეთესად შეძლოს კომუნიკაცია და ჩართვა აქტივობებში? ხომ არ გადავხედოთ მის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმას თუ გავაგრძელოთ მუშაობა ძველ მიზნებზე?

როგორც ხედავთ, პედაგოგი რეფლექსიის დროს იაზრებს ბევრ საკითხს - მათ შორის: განვითარების სტანდარტის რომელ კოპეტენციებს ამჟღავნებს ბავშვი თავისი ქცევით და რა არის მისი ინტერესი. ინტერესი, შესაძლოა, იყოს როგორც საქმიანობა - მაგალითად ცომის ზელვა, კამერით გადაღება, კუბების შენება და სხვა, ისე - რაიმე თემა, ვთქვათ, რელსები,ხაზები და ა.შ.

საინტერესო პრაქტიკა " learning story"- "სასწავლო ისტორია" შეიმუშავეს ახალი ზელანდიის ადრეული განათლების სპეციალისტებმა. მათ ჩამოაყალიბეს რამოდენიმე კითხვა, რომლებსაც უნდა პასუხობდეს დაკვირვება:

- ***რა მოხდა?***

(ვინ არიან, სად ხდება, როგორ არიან ჩართული სხვა ბავშვები და უფროსები, ბავშვის კომენტარები და ა.შ.)

- ***რას ნიშნავს ის, რაც მოხდა?***
- ***რა შესაძლებლობებს იძლევა ეს ქმედება?***

(ერთი ან ორი შესაძლებლობა სწავლის ხელშეწყობისთვის)

თვითონ ჩანაწერში კი უფროსი პირდაპირ ბავშვს მიმართავს.

შემდეგ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია აღმზრდელ-პედაგოგის წარმოებული დაკვირვების გააზრება და გამოყენება ისეთი საქმიანობების დასაგეგმად, რომლითაც ხელს შეუწყობს ბავშვის ინტერესების გაღრმავებას, წაახალისებს მის კვლევას და დაეხმარება ბავშვს სხვადასხვა უნარის განვითარებაში. ამ სტრატეგიებს მომავლ თავში განვიხილავთ.



თავი 2. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა, ბავშვის შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება

წინა თავში ვისაუბრეთ ბავშვზე დაკვირვების მრავლფეროვან მეთოდებზე, რომელთაც ვიყენებთ ბავშვების უნარების განსასაზღვრად, მათი საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად. მოცემულ თავში კი განვიხილავთ, როგორ წარვმართოთ საგანმანათლებლო პროცესი დაკვირვებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, ბავშვების დაკვირვებისას გამოვლენილი ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას - არასალიტერატურო ენით რომ ვთქვათ, მათ „მიყოლას“ გულისხმობს.

რას ნიშნავს ბავშვის „მიყოლა“?

წინა თავში ვისაუბრეთ საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვან ორ საფეხურზე, კერძოდ - დაკვირვებასა და გააზრებაზე. შემდეგი საფეხური კი აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის გააზრებული **მოქმედებაა**. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, რა გამოცდილება და პირობები უნდა შევთავაზოთ ბავშვს, რათა ხელი შევუწყოთ მის ამ თუ იმ კომპეტენციის განვითარებას მისივე ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დავგეგმოთ, როგორ დავეხმაროთ ბავშვს ინტერესის გაღრმავებისა და კითხვებზე პასუხების ძიების პროცესში. ვინაიდან ამ დროს სრულად ვფოკუსირდებით ბავშვის ინტერესზე, მის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, ჩვენი ქმედება, შეიძლება, აღინიშნოს სიტყვით „მიყოლა“,

ანუ მივყვებით ბავშვების ინტერესებს. სიტყვა „მიყოლა“ შემთხვევით არ არის შერჩეული. ჩვენ ვსაუბრობთ არა „გაძღოლაზე“, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პერსონალის უპირატეს როლს, როცა თავად უძღვება პროცესს, არამედ ბავშვების ნების, ანუ მათი ინტერესების, საჭიროებების დანახვასა და „მიყოლაზე“. აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები მუდმივად აკვირდებიან და უსმენენ ბავშვებს, იყენებენ სასწავლო სიტუაციებს; ქმნიან მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამის გამოწვევებს დიალოგით, მასალებისა და აქტივობების შეთავაზებით, რათა ბავშვებმა შეძლონ, მაქსიმალურად დამოუკიდებლად მოიძიონ პასუხები და გაიღრმავონ ცოდნა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოქმედებაზე გადასვლისას არ წყდება დაკვირვების ფაზა, ვინაიდან ყოველ მომდევნო სიტუაციისა თუ საქმიანობის დროს ბავშვი ახალ შესაძლებლობას, ინტერესსა ან თავისებურებას ავლენს. სწორედ ამიტომ, ამ დროსაც ვაკვირდებით ბავშვებს, ვინიშნავთ მათ მოქმედებებსა და პროგრესს, ვგეგმავთ ახალ გამოწვევებს.

მოქმედება შეიძლება იყოს დაგეგმილი ან სპონტანური. თავდაპირველად, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება დაგეგმილი მოქმედების გამოყენება, დროთა განმავლობაში კი, როცა დახელოვნდებით დაკვირვებისა და გააზრების უნარებში, შეძლებთ, ზოგიერთი ბავშვის ინტერესს სპონტანური, დაუგეგმავი მოქმედებით უპასუხოთ, რასაც მოგვიანებით დოკუმენტირებისას ასახავთ.

სწორედ რეფლექსიისა და გააზრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია დაგეგმვა - რა უნდა გააკეთოთ ბავშვებთან. ***ჩვენი კურიკულუმის მიხედვით, მოქმედება განსხვავდება ტრადიციული კურიკულუმის მოქმედებისგან. ემერჯენტულ კურიკულუმში უფროსები ქმნიან გამოწვევებს, სთავაზობენ ბავშვებს სხვადასხვა გამოცდილებებს, რათა მათ დამოუკიდებლად წარმართონ პროცესები, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი შეხედულებები და განახორციელონ ქმედებები ინტერესების შესაბამისად.***

ქვემოთ მოცემულია ცხრილის მაგალითი, რომელიც შეიძლება დაგეხმაროთ მოქმედებების დაგეგმვაში.

დაკვირვება	ანალიზი	მოქმედება
გიორგი თამაშობს პოლიციელობანას. აიღებს ფურცელს და ვითომ წერს, ჩხაპნის მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვევითკენ. ეუბნება გოგონას: „გადადით, ქალბატონო, თქვენ ძალიან სწრაფად მოძრაობთ.“	გიორგი რთავს სხვა ბავშვებს თამაშში. სწორად იმიტირებს წერას.	დავაკვირდები, თუ როგორ განვითარდება თამაში. ჩავერთვები თამაშში დინების შეუწყვეტლად.“რა სიჩქარით უნდა ვიმოძრაო, ოფიცერო?, მე არ მინდა წესის დარღვევა, იქნებ, ნიშანი გაგვეკეთებინა, რა სიჩქარითაა ნებადართული მოძრაობა?“ გავისეირნებთ ახლომდებარე ქუჩაზე და დავაკვირდებით საგზაო ნიშნებს.
სადილის დროს ზაალი ითვლის ბავშვებს თავის მაგიდასთან – ჩვენ ხუთი კოვზი გვჭირდება –იღებს და ურიგებს ბავშვებს.	ზაალი იყენებს თვითმომსახურების უნარებს და ეხმარება ბავშვებს. ბავშვების დასათვლელად და შესაბამისი რაოდენობის საწრუპების დასარიგელად ადეკვატურად იყენებს თვლას.	აღვნიშნავ ზაალის დახმარებას. დავაკვირდები, როგორ ითვლის ნივთებს ხუთს ზემოთ. ვთხოვ, გადათვალოს უფრო დიდი რიცხვები (მაგალითად, „შეგიძლია შვიდი ფუნჯის მოტანა?“
ლიზი ეუბნება ნიკოს: „მოდი, ვითამაშოთ. მიყევი ლიდერს, მე ვარ ლიდერი, შენ მომყევი მე“. ლიზი მიდის საქვიშის მოაჯირზე, გაივლის, გადაახტება გადებულ ხის ძელს და გაძვრება გვირაბში.	ლიზი თამაშობს და შეუძლია სხვების გაძღოლა და ჩართვა თამაშში. იყენებს მსხვილ მოტორიკას. როგორ გამოვიყენო მისი ფიზიკური უნარები მეტყველების გასავითარებლად?	გამოვიწვევ უფრო რთული აქტივობების შესასრულებლად, უკანსვლა, ბალანსის დაცვა. წავახალისებ, აღწეროს ის მოქმედებები, რომლებსაც ასრულებს: გავდივარ გვირაბში, გარშემო ვუვლი ხეს.
ბავშვების ჯგუფი მუშაობს სათამაშო მანქანების ფერების მიხედვით დაჯგუფებაზე. მაკა იღებს ყველა წითელ მანქანას და აწყობს რიგში პატარიდან დიდისკენ.	მაკა აჯგუფებს ნივთებს ფერების მიხედვით. ის აწყობს ნივთებს ზომის მიხედვით.	დავაკვირდები მაკას და დავუსვამ კითხვებს, რომლითაც მისი დაფიქრების პროვოცირებას შევძლებ. როგორ ან რატომ გადაწყვიტე, რომ დაგედო ეს მანქანა სულ ბოლოში? წავახალისებ მაკას, მოიფიქროს მანქანების დაჯგუფების ახალი გზები. (ვთქვათ, ორკარიანი და ოთხკარიანი და ა.შ.)

დღის შეჯამებისას ელენე ამბობს: „მე და ბარბარემ გავთხარეთ ხვრელი მიწაში და ხოჭო ვიპოვეთ, ხვალაც უნდა ვიპოვოთ.“	**ელენე იხსენებს და უზიარებს დღის მოვლენებს სხვებს. მისი გრამატიკა არ არის სრულყოფილი, თუმცა ამბობს სრულ წინადადებებს. როგორ შევუწყო ხელი მისი ენობრივი კომპეტენციების განვითარებას ახალი ინტერესის გამოყენებით?**	**ყურადღება მივაქციო ელენეს ლაპარაკისას. გამოვიყენო თვალით კონტაქტი და ჟესტები, რათა ვაგრძნობინო. რომ ვუსმენ. გავიმეორო მისი სიტყვები და ფრაზები სწორი ფორმით. შევთავაზებ ლუპას და მწერების საჭერს კვლევაში დასახმარებლად.**

ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის კარგად ცოდნა დაგვეხმარება **- ანალიზის** ეტაპზე ბავშვის მიერ გამოვლენილი უნარების დანახვაში, ხოლო **მოქმედების** ეტაპზე ჩვენი შემდგომი ნაბიჯების ისე დაგეგმვაში, რომ ბავშვის განვითარებას შევუწყოთ ხელი.

გამოწვევების შეთავაზების ხერხები:

როგორც ამ მაგალითებიდანაც დავინახეთ, ხერხები, რომლითაც საგანმანათლებლო პერსონალი ქმნის გამოწვევებს, ბავშვებისათვის საინტერესო მასალის შეთავაზებაა ექსპერიმენტირებისა თუ მანიპულაციისთვის და ღია კითხვების დასმა კვლევის წასახალისებლად.

მასალის შეთავაზება/მასალით გამოწვევის შექმნა - პროვოკაცია. ბავშვების ინტერესების წახალისებისა და განვითარებისთვის ამ ინტერესების შესაბამისი მასალის შეთავაზება მნიშვნელოვანია. მაგალითად: თუ ხედავთ, რომ ბავშვი ინტერესდება ცომით, ექსპერიმენტირების გასაღრმავებლად შევთავაზოთ მას სხვადასხვა საძერწი მასალა, სხვადასხვანაირი საჭრელები და ფორმები. თუ ბავშვი აგორებს მანქანას, შევთავაზოთ მას სხვადასხვანაირი ტრანსპორტი და ბორბლები, განსხვავებული ზედაპირები, რათა გამოსცადოს მათზე ტარება.

ორ-სამ წლიანების ჯგუფში ნენე და სოფო საღებავებით ხატვისას აკვირდებოდნენ, როგორ იცვლებოდა ფერები ფურცელზე საღებავების ერთმანეთში შერევისას. გადავწყვიტე ბავშვებისათვის მეტი გუაშის საღებავისა და სხვადასხვა ფერის საგნების შეთავაზება ფერებზე დასაკვირვებლად.

აღმზდრდელ-პედაგოგი ანა

თუ გსურთ ბავშვის ინტერესის პარალელურად სტანდარტის რომელიმე კომპეტენციაზე მუშობა, წინასწარ დაგეგმეთ, როგორ დაუკავშირებთ მას ბავშვის ინტერესს ზემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად - დაკვირვება, ანალიზი, მოქმედება.

ცომით თამაშისას დათუნა უყვება ნუცის, რომ დედა ასეთი ცომისგან აცხობს ნამცხვრებს, ოღონდ ის ცომი უფრო ფუმფულაა.

გადავწყვიტე, ბავშვებისათვის შემეთავაზებინა ცომი საფუარით და საფუარის გარეშე. ცომის მოზელვის შემდეგ მოვათავსეთ ისინი სხვადასხვა ჯამში.

გაფუებული ცომის დანახვისას არ დამავიწყდება მათი გაფართოებული თვალები და მრავალხმოვანი კივილი: დიანა! ანა! ჩქარაااა!.. უშველეეეე!.. გადმოდის!

ბაღის აღმზრდელ პედაგოგი ანა

ღია კითხვების დასმა მოცემული კურიკულუმის მიხედვით, ბავშვების აზროვნების და მეტყველების განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია „ღია კითხვები“, ანუ კითხვები, რომელთაც აქვს არა ორი სავარაუდო პასუხი (დახურული კითხვა), არამედ შეიცავს კითხვით სიტყვას (რა, როგორ და ა.შ.) და წაახალისებს ბავშვების აზროვნებას. სპეციალისტები გვირჩევენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მეტად გამოვიყენოთ კითხვები “რა?” და “როგორ?” მაგალითად: “როგორ აკეთებ ამას?”, “როგორ მუშაობს ეს?” , “რას ნიშნავს ეს?” და ა.შ. უფრო იშვიათად კი გამოვიყენოთ შეკითხვა “რატომ?”, რადგან მასზე პასუხის გაცემა გაცილებით რთულია ამ ასაკის ბავშვებისთვის.

გამოწვევების დაგეგმვისთვის გამოგადგებათ მესამე თავის ქვეთავში - : „ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშემწყობი გამოცდილებები“ - წარმოდგენილი საქმიანობების ფორმები.

პროექტის მეთოდი

ბავშვების ინტერესების „მიყოლისა“ და გამოწვევების შექმნის ერთ-ერთ სტრატეგიად პროექტის მეთოდი მოიაზრება.

ხშირად ბავშვის რაიმე ინტერესი გაზიარებულია სხვა ბავშვების მიერაც. ხანდახან ინტერესი ბავშვების პატარა ჯგუფს ერთად უჩნდება, რაც ნათლად ჩანს დაკვირვების დროს ბავშვების მოქმედებებსა და მათ საუბრებში. ზოგჯერ ინტერესი ისე ვრცელდება, რომ ერთი საკითხი ბავშვების დიდ ჯგუფს

მოიცავს, შეიძლება სრულ ჯგუფსაც კი. ასეთ დროს საგანმანათლებლო პერსონალს პროექტის მეთოდის გამოყენება შეუძლია.

ქვემოთ დეტალურად არის განხილული პროექტის მეთოდის მნიშვნელობა - რა საფეხურებისგან შედგება და როგორ წარვმართოთ ეს საინტერესო პროცესი.

პროექტის მეთოდი - გულისხმობს მუშაობის პროცესს, როცა გათვალისწინებულია ბავშვების ინტერესები და აგებულია მათთვის საინტერესო საკითხების შესაბამისად. ეს პროცესი შეიძლება რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე გაგრძელდეს.

ეს არის განმეორებითი ციკლი, რომელიც იწყება შეკითხვით ან ჰიპოთეზით (ვარაუდით), რომელსაც ბავშვი წამოჭრის ან დაკვირვების დროს გამოვლენილი ინტერესით.

პროექტის მეთოდით მუშაობის პროცესს ხშირად შემდეგ საფეხურებად ჰყოფენ:

I. პროექტის საკითხის შერჩევა, დაგეგმვა, კითხვების ჩამოყალიბება;

II. პროექტის იდეის განვითარება, კვლევა;

III. შეჯამება, დოკუმენტირება;

1. პროექტის საკითხის შერჩევა, დაგეგმვა, კითხვების ჩამოყალიბება

პირველი ფაზა, თავის მხრივ, იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

- **პროექტის საკითხის შერჩევა;**
- **წინასწარი დაგეგმვის რუკის შედგენა;**
- **ბავშვების ინტერესის გამოცდა და კითხვების ჩამოყალიბ**ება.

პროექტის საკითხის შერჩევა

ადრეული ასაკიდან ბავშვები აყალიბებენ საკუთარ თეორიებს სამყაროს მოწყობის შესახებ. ბავშვების თეორიები ყოველთვის სერიოზულად უნდა მივიღოთ, დავეხმაროთ, თავიანთი ნააზრევის კვლევაში, ხელი შევუწყოთ მათთვის საინტერესო საკითხებზე მუშაობაში.

ხანდახან ბავშვების მიერ წამოწეული საკითხები გვაბნევს და უცხოა ჩვენთვის, თუმცა ეს საკითხები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მათთან ერთად ხალისით ვიკვლიოთ და ვისწავლოთ.

ვინაიდან პროექტის საკითხის შერჩევისას ბავშვების ინტერესებს წამყვანი როლი აქვს, სხვადასხვა ლიტერატურასა თუ მეთოდოლოგიურ რესურსებში მოცემული კონკრეტული თემები შეიძლება გამოუსადეგარი იყოს ჩვენთვის. ამიტომ, ასეთ დროს უფრო ეფექტურია კოლეგებთან ერთად ბავშვების იდეების განხილვა და იმაზე მსჯელობა, როგორ ვიმოქმედოთ საპასუხოდ.

ბავშვებმა, რომლებთანაც წლების მანძილზე პროექტის მეთოდს იყენებდით, უკვე მოზრდილ ასაკში, შესაძლებელია, თვითონ გამოიჩინონ ინიციატივა მათთვის საინტერესო საკითხებზე პროექტის განხორციელებით. თუმცა ასე არ იქნება ყოველთვის, ამიტომ პროექტის საკითხის შერჩევის საუკეთესო გზა ბავშვებზე დაკვირვება და მათი ინტერესების აღმოჩენაა. გასათვალისწინებელია: ვიდრე საკითხის განვრცობას და პროექტისთვის გამოყენებას გადავწყვეტთ, წინასწარ უნდა განვსაზღვროთ, რამდენად შესაბამისია ის ბავშვების ასაკობრივი ჯგუფისთვის, რამდენად იძლევა მრავალფეროვანი გამოწვევების შექმნისა და კვლევის საშუალებას. თუ ეს ასე არ არის, მაშინ პროექტის დაწყება ნაკლებად მიზანშეწონილია და უნდა ვიფიქროთ ბავშვების ინტერესის დაკმაყოფილების ალტერნატიულ სტრატეგიებზე.

არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებსაც სპეციალისტები გვთავაზობენ პროექტის საკითხის შესარჩევად. აუცილებელი არ არის, რომ საკითხი ყველა მოცემულ კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს, თუმცა, თუ უმეტესობას ვერ აკმაყოფილებს, უმჯობესია სხვა სტრატეგიის გამოყენება.

საკითხის კონკრეტულობა

რაც უფრო კონკრეტულია თემა, მით უფრო მარტივია ბავშვებისთვის მისი გაგება და მასზე კონცენტრირება. ამიტომ, უმჯობესია, არ განვაზოგადოთ საკითხები და შევეცადოთ, იყოს კონკრეტული, ფორმულირება კი - შეკითხვის სახით ჩამოყალიბებული. მაგალითად, კონკრეტული თემებია: "როგორ მუშაობს სახანძრო მანქანა?", „რატომ მოძრაობენ საათის ისრები?", „ვინ ცხოვრობს ტყეში?", ზოგადი თემებია: „სამაშველო სამსახურები", „დრო", „ჩვენ და ბუნება".

საკითხის კავშირი ბავშვის რეალურ გამოცდილებასთან

იმისათვის, რომ ბავშვები უფრო მეტი ინტერესითა და სიღრმისეულად ჩაერთონ პროექტში, მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა ან გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, შერჩეულ საკითხს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს ბავშვების რეალურ გამოცდილებებთან.

რესურსების ხელმისაწვდომობა

თუ კონკრეტულ საკითხზე არ არსებობს შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსი, რომელსაც პროექტის დროს გამოვიყენებთ, პროექტზე მუშაობა შეიძლება ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდეს. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ, არის თუ არა ხელმისაწვდომი ამ საკითხთან დაკავშირებული რესურსები, მაგალითად: არის თუ არა ახლოს ადგილი ექსკურსიისთვის, არიან თუ არა შესაბამისი სპეციალისტები, რომლებსაც მოვიწვევთ ჯგუფში და ა.შ.

საკითხზე ინფორმაციის პირველწყაროდან მიღების შესაძლებლობა

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, პირდაპირ და მაქსიმალურად დამოუკიდებლად იკვლიონ საგანი ან მოვლენა შემდეგი საშუალებებით: შეხებით, მოსმენით, გასინჯვით, ახლოს ნახვით, გადაადგილებით, ჩახატვით, მასზე ექპერიმენტირებით. თუ ისინი მხოლოდ სხვისი მოთხრობილი ამბებით, ნახატებით, წიგნებით ან სხვა „არაპირდაპირი" საშუალებებით იღებენ ინფორმაციას საკითხზე, ეს ნაკლებად სასარგებლოს ხდის პროექტს და ვერ უზრუნველყოფს ბავშვების ინტერესის სრულად დაკმაყოფილებას.

მრავალფეროვან საქმიანობებში ჩართვის შესაძლებლობა

იმისათვის, რომ პროექტი იყოს საინტერესო და სახალისო, პროექტის საკითხი უნდა იძლეოდეს სხვადასხვაგვარ საქმიანობებში ჩართვის შესაძლებლობას.

ამიტომ, საკითხის შერჩევისას, ჩვენ უნდა დავფიქრდეთ შეძლებენ თუ არა ბავშვები ამ პროექტზე მუშაობისას მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვას და განსხვავებული მასალების გამოყენებას.

სასწავლო მიზნების გათვალისწინება

მნიშვნელოვანია, რომ პროექტზე მუშობისას ბავშვები იძენდნენ იმ კომპეტენციებს, რაც სტანდარტით არის განსაზღვრული. შესაბამისად, პროექტის საკითხი იმის მიხედვით უნდა შევარჩიოთ, თუ რამდენად შესაძლებელია პროექტზე მუშაობის პროცესში სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა.

წინასწარი დაგეგმვის რუკის შედგენა

ბავშვების პროექტის საკითხად გამოსადეგი ინტერესის დადგენის შემდეგ, უნდა შევადგინოთ წინასწარი გეგმა, რომელიც, როგორც წესი, რუკის სახით კეთდება. პროექტის საკითხი იწერება ფურცლის შუაში და წრითაა შემოხაზული. შემდეგ ვიხსენებთ, რა კითხვები გაუჩნდათ ან შეიძლება დაებადოთ ბავშვებს ამ საკითხთან დაკავშირებით? სტანდარტის მიერ განსაზღვრულ რა კომპეტენციებზე შეიძლება გავიდეთ ამ საკითხზე მუშაობისას? რა მასალა და აქტივობები შევთავაზოთ ბავშვებს თემის გასაღრმავებლად და შესასწავლად? ეს ყველაფერი მოკლედ ჩამოვწეროთ და დავაკავშიროთ მთავარ წრესთან.

წარმოდგენილი ნიმუში ასახავს აღმზრდელ-პედაგოგის მიერ წინასწარ დაგეგმილ რუკას საკითხზე "ფეხსაცმელი". რუკაზე წარმოდგენილია როგორც ბავშვების მიერ წამოჭრილი მათთვის საინტერესო საკითხები, ისე-კომპეტენციები და აქტივობების ტიპები. თუმცა პროექტის მიმდინარეობისას გამოჩნდა, რომ ბავშვები უფრო მეტად ფეხსაცმლის შეკეთების თემით დაინტერესდნენ, ამიტომ პროექტის საკითხიც შეიცვალა და „ფეხსაცმლის შეკეთებად" გადაკეთდა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ დაგეგმვის რუკის ცვლილება შეიძლება პროექტის მიმდინარეობისას. მას შეიძლება დაემატოს ახალი საკითხი ან შეკითხვა, რომელსაც ბავშვები პროექტის მსვლელობისას წამოჭრიან. შესაძლოა, დაემატოს ახალი აქტივობა, რომელსაც ბავშვების ინტერესების შესაბამისად დავგეგმავთ. რუკას შეიძლება დავამატოთ პროექტის განმავლობაში შეძენილი ახალი ცოდნა, რაც შეიძლება ხდებოდეს ერთჯერადად ან ყოველი აქტივობის განხორციელების შემდეგ - შესაბამის საკითხთან მივუთითოთ, რა ახალი ინფორმაცია მივიღეთ.

ბავშვების ინტერესის გამოცდა და კითხვების ჩამოყალიბება

პროექტის საკითხის შერჩევის, მისი გავრცობისა და პროექტის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია თქვენ მიერ დასმული და ბავშვების მიერ ჩამოყალიბებული კითხვები.

ბრაზილიელი სპეციალისტი პაულო ფრეირი წერს: როცა ბავშვები კითხვას გვისვამენ, ჩვენ გვაქვს გამზადებული პასუხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, გადასცემს ინფორმაციას, თუ რა უნდა იცოდნენ ბავშვებმა, მაგრამ თანამედროვე სპეციალისტები თანხმდებიან - ასეთი "განათლება" სულაც არ არის განათლება. ამის საპირისპიროდ უნდა ეცადოთ, ბავშვებს შეუბრუნოთ კითხვა და სთხოვოთ საკუთარი მოსაზრების გაზიარება. როგორც წესი, თუ ბავშვები სვამენ კითხვას, მათ აუცილებლად აქვთ ვარაუდიც. სწორედ ასე ყალიბდება ჰიპოთეზები.



პროექტის მიმდინარეობისას უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვების ინტერესების კითხვებად ჩამოყალიბება. უფროსი ასაკის ბავშვები ადვილად სვამენ შეკითხვებს, პატარებთან კი კითხვის დასმა შეიძლება გადაიზარდოს ისტორიის მოყოლაში. თქვენ შეგიძლიათ, დაეხმაროთ ბავშვებს კითხვის ფორმულირებაში და უთხრათ, მაგალითად:

ეს არის, რისი გარკვევაც გინდა?

გაინტერესებს, რა.....?

გაინტერესებს, როგორ.....?

არ უნდა მოგერიდოთ თქვენი კითხვების დასმაც:

მაინტერესებს, როგორ...?

მაინტერესებს, სად ....?

და ა.შ.

ეს შეგიძლიათ გააკეთოთ ინდივიდუალურად, ბავშვების მცირე ან დიდ ჯგუფებთან და გამოკვეთოთ ბავშვების სპეციფიური კითხვები პროექტის საკითხთან დაკავშირებით.

მაგალითად, ზოგს შეიძლება აინტერესებდეს ფეხსაცმლების სახეობები, სხვას - მაღაზია, ნაწილს კი - მათი შეკეთება. აქედან გამომდინარე, კითხვების დახარისხება სხვადასხვა კატეგორიებადაა შესაძლებელი.

კითხვები აუცილებლად უნდა ჩაიწეროთ, გადაიტანოთ ფორმატზე რუკების ან სიების სახით და მიუწეროთ ბავშვების სახელები. მეტი თვალსაჩინოებისთვის, უმჯობესია, კითხვებს გაუკეთდეს გრაფიკული მინიშნებები შეკითხვასთან დაკავშირებული ჩანახატის სახით.

კითხვების ჩამოყალიბებასთან ერთად, ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს, ანუ ჰიპოთეზებს, რაც ასევე უნდა ჩავინიშნოთ ფორმატზე .







რა ვვირდებოდეს

1. როგორ დადის თევზი წყალში?
2. რატომ არის სხვადასხვა ფერის?
3. რა აქვს ქვემოთ? (გულისხმობს ფარფლს)
4. თვალები რო ამოაძრო და პირიც ჩავარდება და ზვიგენი შეჭამს?
5. რისთვის სჭირდებათ ქვები, ბალახები და ჯოხები წყალში?
6. წყალში სცივათ?
7. რას ჭამენ თევზები?
8. სხვა თევზები როგორ ჩნდებიან?
9. წყალში სცივათ?
10. წყლიდან რომ ამოიყვანო მოკვდება?

ეს ძაფია (მიუთითებს ძუაზე)
ეს ის არ არის კაუჭას რომ აქვს პიტერ პენში?
ეს შიგნით რა არის?
ცხვირი სად ააქვს?



2. პროექტის იდეის განვითარება, კვლევა.

ძირითადი შეკითხვების ჩამოყალიბების შემდეგ იწყება პროექტის შემდეგი - მეორე ფაზა.

მეორე ფაზა არის აქტიური კვლევისა და საქმიანობების დრო, როცა ბავშვები იწყებენ საკუთარ კითხვებზე პასუხების მოძიებას კვლევების და ცდების საშუალებით.

რეჯიო ემილიას ბაღების დამფუძნებელი ლორის მალაგუცი თავის ლექსში "ასი ენა" საუბრობს ბავშვების მიერ საკუთარი თავის გამოხატვის ას და მეტ ენაზე.

ბავშვს აქვს ასი ენა

ასი ხელი

ასი აზრი

ასი გზა ფიქრის, თამაშის და ლაპარაკის

ასი გზა მოსმენის, გაოცების, სიყვარულის

ასი სიხარული სიმღერის და გაგების

ასი აღმოსაჩენი სამყარო,

ასი საოცნებო სამყარო

ბავშვს აქვს ასი ენა და ასი ასი ასზე მეტი...

ლორის მალაგუცი

პროექტის მიმდინარეობის პროცესში მნიშვნელოვანია, ბავშვებს შევუქმნათ საშუალებები და შევთავაზოთ მრავალფეროვანი მასალა საკუთარი იდეების გამოსახატად.

ამისათვის კი კარგი იქნება, მივუბრუნდეთ ჩვენ მიერ წინასწარ დაგეგმილ რუკას და გავამდიდროთ იგი ბავშვების მიერ შემოთავაზებული იდეებითა და

საკითხებით, შემდეგ კი დავგეგმოთ გამოცდილებები რომელიმე შერჩეული ფორმის მიხედვით (იხ.დაგეგმვის ფორმები).

ქვემოთ მოცემულია პროექტის მიმდინარეობის მეორე ფაზის ძირითადი კომპონენტები.

- **ექსკურსია;**
- **ფიზიკური გარემოს გადაწყობა;**
- **საინტერესო მასალის შეთავაზება;**
- **სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება.**

გაითვალისწინეთ, რომ ზემოჩამოთვლილი ზოგიერთი კომპონენტები ხშირად ფარავს ერთმანეთს. მაგალითად, სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება თავისთავად მოიაზრებს საინტერესო მასალის შეთავაზებასაც და გამოწვევების შექმნასაც.

ექსკურსია

ექსკურსია კვლევის ერთერთი საშუალებაა და შეიძლება რამდენჯერმე განხორციელდეს პროექტის როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე ფაზების დროს. არ არის აუცილებელი ყველა ბავშვის ერთად წასვლა ექსკურსიაზე - შეიძლება ბავშვების გაყოფა მათი ინტერესების შესაბამისად და პატარა ჯგუფებად გაყვანა სხვადასხვა ადგილას.

ერთი მხრივ, ექსკურსია მიზნად ისახავს, უფრო აქტუალური და რეალური გავხადოთ პროექტის საკითხი, მეორეს მხრივ კი, ექსკურსიის მიზანია, ბავშვებმა რეალურ გარემოში ნახონ, როგორ მუშაობს რაღაც, გამოსცადონ საკუთარი ვარაუდები, გაიღრმავონ ინტერესი ახალი კითხვების დასმით. ექსკურსიაზე წასვლამდე მისი გონივრული დაგეგმვაა საჭირო. დაეკითხეთ საკუთარ თავს და დაუსვით ქვემოჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებული კითხვები:

უსაფრთხოების ზომები.

- არის თუ არა ადგილი უსაფრთხო პატარებისთვის?
- იქნება თუ არა ბავშვების მეთვალყურეობა ადვილი იმ დროს, როცა ისინი იკვლევენ ექსკურსიის ადგილს?
- შესაძლებელი იქნება თუ არა ბავშვების დაცვა მანქანების მოძრაობისგან, სხვადასხვა მექანიზმებისგან, ღია წყლისგან ან სხვა სახის საფრთხისგან?

კვლევა.

- არის თუ არა ექსკურსიის ადგილზე ისეთი საგნები ან აღჭურვილობა, რომელსაც ბავშვი თვითონ დააკვირდება და გამოიკვლევს?
- შეუძლიათ თუ არა ხელით შეხება და მანიპულირება, ექპერიმენტების ჩატარება?
- არის თუ არა ადგილზე ისეთი ხელსაწყოები, მოწყობილობები, საშუალებები, რომლებიც მიიქცევენ ბავშვის ყურადღებას და გამოიწვევენ მათ ინტერესს?
- არის თუ არა ადგილზე ისეთი კონკრეტული საგნები, რომლებთანაც ბავშვებს შეუძლიათ ინტერაქცია? არის თუ არა საგნები, რომლებსაც შეიძლება შეეხონ, გადააადგილონ, გასინჯონ, უსუნონ ან მოუსმინონ?
- არის თუ არა საგნები, რომლებიც შეიძლება ჩახატონ ან უფრო ახლოს შეისწავლონ?

ექსპერტები.

- არის თუ არა ადგილზე მასპინძელი, რომელსაც შეუძლია ექსპერტის ფუნქციის შესრულება და ბავშვების შეკითხვებზე პასუხის გაცემა?
- არის თუ არა ვინმე ადგილობრივი თანამშრომლებიდან, ვისაც აქვს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება?

ნივთები.

- არის თუ არა რაიმე ნივთი (იარაღი, აღჭურვილობა, პროდუქცია და ა.შ.), რომელიც შეიძლება ითხოვოთ და წამოიღოთ ჯგუფში უფრო კარგად შესასწავლად?

ეს ყველაფერი შეგიძლიათ გაარკვიოთ სატელეფონო ზარით ან ადგილზე მისვლით და წინასწარ დათვალიერებით. ძალიან მნიშვნელოვანია წინასწარ გასაუბრება თანამშრომლებთან, რომლებიც დაგხვდებიან ექსკურსიის ადგილზე - იქნება ეს მუზეუმის გიდი თუ მაღაზიის გამყიდველი. თქვენ უნდა შეეცადოთ, აუხსნათ მათ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის კვლევა და შეკითხვების დასმის წახალისება.

ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ სამსახურში ბაღის ბავშვების გამასპინძლების გამოცდილება, შეიძლება წარმოდგენაც კი არ ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რას შეეკითხებიან ბავშვები. ზოგჯერ ბავშვების შეკითხვების წინასწარი ცოდნა უადვილებს ექსპერტებს მათთან ურთიერთობას, თუმცა შეკითხვების წინასწარი გაცნობა ყოველთვის არ არის აუცილებელი და საჭირო. ზოგიერთი ექსპერტი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, როცა უშუალოდ ბავშვის მიერ ბუნებრივად დასმულ შეკითხვას პასუხობს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ექსკურსიის დროს მასპინძლებმა იცოდნენ, რომ ბავშვებისათვის პირდაპირი მოკლე ლექციური ტიპის საუბარს ნაკლები სარგებელი აქვს და ისინი უკეთ სწავლობენ, როდესაც შეკითხვებზე იღებენ პასუხს და თავად მონაწილეობენ ადგილზე მიმდინარე პროცესებში.

ექსკურსიისთვის საჭირო რესურსებია:

- პატარა დაფები ჩანახატებსა და ცხრილებზე სამუშაოდ;
- ტექნიკა: მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა ან ხმის ჩამწერი;
- საწერი და სახატავი საშუალებები;
- ჩანთები, ყუთები ან სხვა კონტეინერები მასალის შესანახად.

მნიშვნელოვანია, ექსკურსიაზე ყოფნის დროს ბავშვებმა ჩაინიშნონ საკუთარი დაკვირვებები და მონაცემები, რაც დაეხმარება მათ საკვლევ საკითხზე კონცენტრირებასა და დეტალებზე დაკვირვებაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სავარაუდო ჩამონათვალი - რას შეიძლება დააკვირდნენ და/ან ჩაინიშნონ ბავშვებმა სხვადასხვა პროექტის დროს.

	მაღაზია	წყალი	საავადმყოფო
ნაწერი	პროდუქციის სახელწოდებები; თანამშრომლების პოზიციები.	ნიშნები, წარწერები.	თანამშრომლების პოზიციები; წარწერები გარემოში.
ჩანახატი	პროდუქცია	ნავები თევზები	ადამიანები აღჭურვილობა
ანაბეჭდები	კედლები, ურიკის ბორბლები	მდინარის ხეები, ქვები	კედლები იატაკი ფაქტურებიანი ლეიბები
ციფრები	ფასები პროდუქციის ნომრები	ხეების ცხოველების რაოდენობა	ექიმები და ექთნები დრო
ზომები	სიგრძე და სიგანე ჩანთები	მანძილი საგნებს შორის ნავის სიგრძე ნაბიჯები ტბორის გარშემო	ოთახები დისტანციები
დიაგრამები	სახეობები	რუკები გეგმები	ოთახები
პროცესები	ჩალაგება ჩანთებში, განაწილება დახლებზე, გადახდა.	წყლის მოძრაობა, გზის გაკვალვა, მოტივტივე ნივთები.	რეგისტრაცია და ამოწერა. სად მიდის ანკეტები. რენტგენი.
ფოტოები	ადამიანები, მოქმედებები, ტექნიკა	ნავი, ხიდი, წყალი.	აღჭურვილობა, პროცესები.
წამოსაღები ნივთები	ჩანთები, ბროშურები, აბრები.	რიყის ქვები და ხის ტოტები	ბინტი, ნიღბები, ხელთათმანები

ექსკურსიის შემდეგ, ჯგუფში დაბრუნებულებმა, სთხოვეთ ბავშვებს, მოყვნენ და ხელახლა გაანალიზონ, რა ნახეს და აღმოაჩინეს. მოიშველიეთ ის დაკვირვებები რომლებიც გააკეთეს ადგილზე, დაეხმარეთ ახალი კითხვების ჩამოაყალიბებაში.

ფიზიკური გარემოს გადაწყობა

ერთ-ერთი მეთოდი, რომლითაც პროექტზე მომუშავე ბავშვების ხელშეწყობა შეგიძლიათ, ფიზიკურ გარემოში ცვლილებების შეტანაა. კარგი იქნება რომელიმე სივრცის პროექტის თემატიკაზე დაყრდნობით მოდიფიცირება. მაგალითად: გაქვთ სივრცე, სადაც არის წარმოსახვით-როლური თამაშების ადგილი. თუკი, ჩვეულებრივ, ეს ადგილი „სახლობანასთვისაა“ მოწყობილი, სახანძროს პროექტზე მუშაობისას მას დავცლით რაღაც ნივთებისგან და შევიტანთ შესაბამის აღჭურვილობას. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ მხოლოდ ვახალისებთ, ბიძგს ვაძლევთ ამ პროცესს პირველი ფაზის ბოლოს და მეორეს დასაწყისში, შემდეგ კი, კვლევის დროს, ხელი ვუწყობთ ბავშვებს, თვითონ შექმნან და გაამდიდრონ ასეთი სათამაშო სივრცეები.

“თვითმფრინავი”

“ფოტოგრაფის ატელიე”

“ვაშლი”



საინტერესო მასალის შეთავაზება

ბავშვების ინტერესის გაღრმავებისა და კვლევის ხელშეწყობის შემდეგი კომპონენტი არის პროექტის საკითხთან დაკავშირებული ახალი და

საინტერესო რესურსის შეტანა ჯგუფის სივრცეში. ასეთი რესურსის მაგალითებია: ჩიტის ბუდე, ტელეფონის აპარატი, საბეჭდი მანქანა თუ ფოთლების კოლექცია.

სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება

ყურადღებით დააკვირდით და იფიქრეთ, შესაძლებელია თუ არა ბავშვების კითხვაზე პასუხის გასაცემად და ვარაუდის (ჰიპოთეზის) გადასამოწმებლად

სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება - მანიპულაცია ნამდვილი ნივთებითა და საგნებით იმგვარად, რომ ბავშვებმა შეძლონ შედეგის თვალსაჩინოდ დანახვა.

სამ-ოთხწლიანების ჯგუფში, პროექტის „ქათამი“ მიმდინარეობისას, ბავშვებს გაუჩნდათ კითხვები, რას ჭამენ ქათმები და თამაშობენ თუ არა სათამაშოებით. ამის გასარკვევად, დაუყარეს ქათამს სხვადასხვა საჭმელი და აკვირდებოდნენ, რას აკენკავდა.

ექსკურსიაზე საქათმეში ბავშვებმა წაიღეს სხვადასხვა სათამაშო და დაუდეს ქათმებს, შემდეგ კი აკვირდებოდნენ, ითამაშებდნენ თუ არა ამ სათამაშოებით ქათმები.

მახსენდება მეორე პროექტი მცენარეებზე: ბავშვებს აინტერესებდათ, რაზე გაიზრდება ხორბალი - ქვაზე, მიწაზე თუ რძეში? მათ ჰქონდათ საშუალება, ექსპერიმენტის გზით დაედგინათ პასუხი.

სხვა პროექტის ფარგლებში, ექსპერიმენტის მეშვეობით დავადგინეთ, რატომ ვდებთ წყალში მოტეხილ ღეროს. ნამდვილი ექსპერიმენტი გამოვიდა, სადაც ორი ღერო შევადარეთ ერთმანეთს - ერთი - წყალში ჩადებული და მეორე - წყალში წინასწარ გაჩერების გარეშე დარგული. დაკვირვების შედეგად ბავშვებმა ნახეს, რომ წყალში ჩადებული ტოტი დაფესვიანდა, უწყლოდ კი გახმა.

დირექტორი მაკა

ამ გამოწვევების შექმნისას და კვლევის პროცესშიც მუდმივად უნდა დააკვირდეთ ბავშვებს, ჩაინიშნოთ მათი შედეგები და კითხვები ახალი გამოწვევების დასაგეგმად. ეს ციკლი მეორდება და გრძელდება ბავშვების ინტერესის საბოლოო დაკმაყოფილებამდე.



3. შეჯამება

პროექტის მესამე ფაზაში გადასვლის ნიშნები შეიძლება იყოს შემდეგი:

- **ბავშვებს აღარ აქვთ შეკითხვები, მათი ინტერესი დაკმაყოფილებულია, ენთუზიაზმი კი -ჩამქრალი.**
- **ამ ეტაპზე კვლევის გასაგრძელებლად საჭიროა ბავშვებისათვის რთული კომპეტენციები.**

ზოგჯერ გამოცდილ პრაქტიკოსებსაც კი ჰგონიათ, რომ პროექტის საკითხის მიმართ ინტერესის დაკარგვა პროექტის წარუმატებლობას გამოხატავს.

პროექტის მიმდინარეობისას ინტერესის კლება ბუნებრივი პროცესია და მიგვანიშნებს მესამე ფაზაზე გადასვლის მოახლოებაზე.

მესამე ფაზა შედგება საფეხურებისაგან, რომლებსაც საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვებთან ერთად ახორციელებს:

- **პროექტის მიმდინარეობის გახსენება და შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვა;**
- **შემაჯამებელი ღონისძიების ჩატარება'**
- **პროექტის მიმოხილვა, მიზნებისა და შედეგების გააზრება.**

პროექტის მიმდინარეობის გახსნება და შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვა

პროექტის პირველი და მეორე ფაზების დასრულების შემდეგ, ბავშვებთან ერთად გადავხედავთ პროექტის დასრულებულ ეტაპებს და ერთად შევაჯამებთ, რა ვიცოდით და გვაინტერესებდა, როგორ ვიკვლიეთ საკითხი და რა შედეგი მივიღეთ. ამ ყოველივეს გასახსენებლად ჩვენ შეგვიძლია:

თუკი კვლევის პროცესში, ბავშვებთან ერთად სისტემატიურად ვუბრუნდებოდით დაგეგმვის რუკებს და ვამატებდით შეძენილ ცოდნასა და ინფორმაციას, კიდევ ერთხელ გადავხედოთ რუკებს ერთობლივად.

თუ პირველადი რუკა არ შეცვლილა პირველი ფაზის შემდეგ, შეგვიძლია შეჯამებისას მივუთითოთ, რა გაიგეს და ისწავლეს ბავშვებმა. სასურველია, ეს ინფორმაცია განსხვავებული ფერით აღვნიშნოთ რუკებზე.

როდესაც ბავშვებთან ერთად ვიხსენებთ პროექტის პროცესს, უმჯობესია,

მათ ვაჩვენოთ პროექტის მანძილზე შეგროვებული მასალა, რადგან მსჯელობა და საუბარი - რა ისწავლეს ბავშვებმა - მათთვის უფრო მარტივია, როცა საკუთარ ნამუშევრებს, კონსტრუქციებსა და ფოტოებს უყურებენ.

ჩვენ ვეხმარებით პროცესის გახსენებაში კითხვების დასმის გზითაც. მაგალითად: *„რა გიპასუხა, ----- როცა ჰკითხე ----- ?“ ან „რა მოხდა, როცა ------?“*

მას შემდეგ, რაც ბავშვებთან ერთად მიმოვიხილავთ პროექტის მიმდინარეობას და შედეგს, შეგვიძლია შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვაზე ვიფიქროთ. შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვასა და შესრულებაში ბავშვების ჩართვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის პირველ ფაზებში. ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ გაუზიარონ სხვებს ცოდნა და ნამუშევრები.

ბავშვებს შეიძლება ჰკითხოთ, რა შეიძლება გააკეთონ, გავლილი პროექტის უკეთ დასამახსოვრებლად : *„ახლა ამდენი რამ ვიცით სახანძრო მანქანების შესახებ. რას ფიქრობთ, როგორ გავუზიაროთ ეს ცოდნა მშობლებს? ან ჯგუფ „ჭიამაიებს?“*

თუ ბავშვებს არ აქვთ იდეები შეგიძლიათ სთხოვოთ მათ შექმნან ნამუშევარი, სადაც გამოსახავენ ყველაფერს რაც ისწავლეს საკითხის გარშემო, ან შესთავაზოთ წიგნის დამზადება პროექტზე მუშაობის შესახებ.

შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება უფროსი ასაკის ბავშვებში უფრო მარტივია, რადგან მათ შეიძლება უკვე ჰქონდეთ საკუთარი „მუშაობის“ შედეგების გაზიარების გამოცდილება, მაგალითად, მათ შეიძლება უკვე დაუმზადებიათ წიგნი ან კოლაჟი, ან გამოსულან „მოხსენებით“ მსმენელების წინაშე.

პატარებთან კი მეტი მუშაობა და მოთმინება არის საჭირო.

კარგად დაგეგმილი და მოფიქრებული შემაჯამებელი აქტივობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის სხვა საქმიანობები. ბავშვები ამ დროს იხსენებენ და იაზრებენ, რა გზა გამოიარეს, რა შედეგს მიაღწიეს და ამით გარკვეულწილად იძენენ საკუთარი შესაძლებლობების რწმენას.

შემაჯამებელი აქტივობა ასევე ეხმარება მშობლებს და სხვა სტუმრებს

(თუკი ასეთი სტუმრები მოწვეული არიან აქტივობაზე), დაინახონ პროექტზე მუშაობის შედეგად ბავშვების მიერ შეძენილი გამოცდილება და კომპეტენციები.ისინი იგებენ მეტს იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები.

შეიძლება ფიქრობდეთ, რომ პროექტი უნდა დასრულდეს დიდი ღონისძიებით, მაგრამ წიგნის დამზადება ან საგამოფენო პანოს მოწყობა შესაძლოა უფრო პროდუქტიული და მნიშვნელოვანი შემაჯამებელი აქტივობა გამოდგეს, ვიდრე დიდი ღონისძიება.

დაპატიჟეთ მშობლები გამოფენის დასათვალიერებლად, წაახალისეთ ბავშვები, თავიანთ ოჯახის წევრებს დამოუკიდებლად გააცნონ საკუთარი ნამუშევრები და მოუყვნენ მათ შესახებ. ჩვენ ასევე შეგვიძლია გავატანოთ დამზადებული წიგნები მშობლებს, რათა უკეთ დაათვალიერონ სახლში ბავშვებთან ერთად. თუ ბავშვებმა ერთი წიგნი დაამზადეს, შეგვიძლია მორიგეობით გავატანოთ თითოეულს სახლში.

თუ კი ბავშვებმა მოაწყვეს სივრცე როლური თამაშისათვის, როგორიცაა, ვთქვათ, კაფე ან საავადმყოფო, შემაჯამებელი აქტივობა შეიძლება იყოს როლური თამაში. ამ აქტივობაზე შეიძლება მშობლების მოწვევაც. თუ მათ სურვილი ექნებათ, შეგვიძლია მშობლებიც ჩავრთოთ აქტივობაში და ბავშვებთან ერთად ვათამაშოთ.

არსებობს შემაჯამებელი აქტივობების რამდენიმე ვარიაცია:

- ✓ **ნამუშევრების გამოფენა;**
- ✓ **პროექტზე მუშაობის პროცესის ამსახველი ფოტოების გამოფენა;**
- ✓ **ანგარიშების წარდგენა;**
- ✓ **პატარა დადგმის, წარმოდგენის ჩატარება;**
- ✓ **კონცერტი;**
- ✓ **კოლაჟების, წიგნების წარდგენა;**
- ✓ **პრეზენტაცია.**

ერთ-ერთი პროექტის დროს ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ მუზეუმით და გადაწყვიტეს გაეკეთებინათ პროექტი „ხელოვნების მუზეუმი“. პროექტის განმავლობაში მათ დაამზადეს ხელოვნების ნიმუშები და გამოფინეს ისინი ბაღის დერეფანში, დანიშნეს მუზეუმის დათვალიერების ტურები, გაყიდეს ბილეთები და თვითონ ეწეოდნენ გიდობას მშობლებისა და სხვა ჯგუფებისთვის.

ერთ შემთხვევაში ბავშვებმა პროექტის ფარგლებში ავტომანქანის დიდი მაკეტი გააკეთეს და შემაჯამებელი აქტივობის სახით ეს მაკეტი ჰოლში გამოფინეს. სხვა პროექტის დასასრულს ბავშვებმა წარმოადგინეს საბალეტო წარმოდგენა.

დირექტორი ეკა

ღონისძიებაზე შეიძლება დავპატიჟოთ პროექტში მონაწილე ექსპერტები ან სხვა სტუმრები, რომლებსაც ბავშვები შეხვდნენ კვლევის ეტაპზე და ექსკურსიის გიდები. შემაჯამებელ აქტივობას ენთუზიაზმით ეკიდებიან ბავშვებიცა და მშობლებიც. ამასთან ერთად, ასეთი ტიპის აქტივობა ხელს უწყობს ერთობის ჩამოყალიბებას.

ბავშვების განვითარების ხელშეწყობისთვის ასევე შეგიძლიათ, გამოიყენოთ სხვადასხვა საქმიანობა და გამოცდილება, რომელიც წარმოდგენილი და აღწერილია შემდეგ თავში.

თავი 3. ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშემწყობი გამოცდილებები

წინა თავებში ჩვენ მიმოვიხილეთ ის ძირითადი სტრატეგიები, რომლებსაც მოცემული კურიკულუმის პრინციპებიდან გამომდინარე ვიყენებთ ბავშვებთან მუშაობისას. მოცემულ თავში წარმოდგენილია იმ საქმიანობების და გამოცდილებების სხვადასხვა ფორმები, რომლითაც ბავშვები არიან დაკავებულნი ბაღში. ასევე, განხილულია ამ საქმიანობების მიზანი და ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ესა თუ ის კონკრეტული ფორმა უწყობს ხელს. ამ თავის თითოეულ ქვეთავში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საგანმანათლებლო პერსონალმა ხელი შეუწყოს ბავშვების განვითარებას საქმიანობებისა და გამოცდილებების ამ ფორმების საშუალებით. ამ მხრივ, თავში მოცემული ინფორმაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის სფეროებთან, თემატურ მიმართულებებთან. ქვემოთ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, შეძლებთ ბავშვის მიერ გამოვლენილი მისწრაფებების განსაზღვრას და საგანმანათლებლო პროცესის ისე ორგანიზებას, რომ ხელი შეუწყოთ ბავშვის განვითარებას მრავალფეროვანი საქმიანობებისა და რესურსის შეთავაზებით.

კონსტრუქციული თამაში

რა არის კონსტრუირება

კონსტრუირებას ვუწოდებთ ბავშვის ქმედებას, როცა ის სხვადასხვა მასალის გამოყენებით ცდილობს შექმნას სამგანზომილებიანი ობიექტი, ააშენოს დიდი

ან პატარა ზომის კონსტრუქცია ესთეტური ან პრაქტიკული დანიშნულებით. ცდილობს განახორციელოს საკუთარი ჩანაფიქრი ან მიბაძოს რაიმე არსებულ ნიმუშს. კონსტრუირების საშუალებით შეიძლება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს შედეგების მიღწევა, ის ხელს უწყობს მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, შემეცნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას ბავშვებში.

როგორ ამოვიცნოთ კონსტრუირებით დაინტერესებული ბავშვი?

პირველ ეტაპზე, ბავშვებს ერთი ადგილიდან მეორეში გადააქვთ კუბები ან სხვა მასალა, მოსინჯავენ მათ სიმძიმეს და ფაქტურას. დაინტერესდებიან, როგორ შეიძლება დადგეს ესა თუ ის საშენი მასალა და როგორ უკავშირდება ერთმანეთს ეს ობიექტები. ამ დროს ბავშვები ეცნობიან მასალის ძირითად თვისებებს, რასაც შემდეგ გამოიყენებენ ამ მასალით კონსტრუქციების შესაქმნელად.

ბავშვები აწყობენ მწკრივში კუბებს, გირჩებს, ჯოხებს, აკეთებენ გზებს, ცდილობენ სივრცის მასალით შემოსაზღვრას, აწყობენ სხვადასხვა დეკორატიულ და სიმეტრიულ ფორმებს. ისინი ამას აკეთებენ მასალის ამოწურვამდე. ბავშვებისთვის ეს არის მათი შემოქმედებითი ხედვის გამოხატვა.

შემდეგ ეტაპზე ბავშვები აწყობენ ერთმანეთზე კუბებს, აგებენ კოშკებს და ხიდებს, ქმნიან სხვადასხვა რთულ სტრუქტურებსა და კონსტრუქციებს, იყენებენ მრავალფეროვან მასალას საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

რას დავაკვირდეთ?

კონსტრუირებისას არ არსებობს სწორი ან არასწორი მეთოდები, ბავშვები აგებენ იმას, რაც სურთ, დაკვირვება კი დაგვეხმარება განსაზღვრაში - რა საფეხურზეა ბავშვი.

მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ:

- რამდენად მარტივ ან რთულ კონსტრუქციებს აგებს?
- რამდენად იყენებს მრავალფეროვან მასალას?
- ცნობს თუ არა ბავშვი სხვადასხვა ფორმებს და შეუძლია თუ არა მათი დახარისხება?
- საუბრობს თუ არა ბავშვი საკუთარ კონსტრუქციებზე და როგორ პასუხობს კითხვებს?

როგორ ვქმნით გამოწვევებს?

იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ ბავშვებში კონსტრუირებით დაინტერესებას, შესთავაზეთ ბავშვებს მრავალფეროვანი ღია მასალა. პირველ რიგში, ეს არის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხის კუბები.

ხის კუბების ფორმები შეიძლება იყოს როგორც სტანდარტული გეომეტრიული ფორმების, ისე -განსხვავებული და ორიგინალური. ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ დიდი ზომის კუბებით შენება, ასევე მნიშვნელოვანია, გვქონდეს საკმარისი რაოდენობის მასალა, რათა ბავშვებმა თავისუფლად შეძლონ საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელება.

კუბების გარდა, კონსტრუირებისთვის ბავშვებს უნდა შესთავაზოთ სხვადასხვა ტიპის მეორადი და ბუნებრივი მასალა. ასევე, კონსტრუირების დროს ბავშვებს უნდა შეეძლოთ, ბაღში არსებული სათამაშოებისა და რესურსის თავისუფლად გამოყენება.

ფოტოზე წარმოდგენილია მრგვალ მაგიდაზე, ბავშვების მიერ შექმნილი კომპოზიცია სხვადასხვა მასალის გამოყენებით. მუშაობის დროს ბავშვებმა სხვადასხვა სივრციდან მოიტანეს მასალა, რომელიც საჭიროდ ჩათვალეს. ეს მასალა არის ნიჟარები, გირჩები, სათამაშოები, ბამბუკის ჯოხები და ხის გადანაჭრები, ქსოვილები და სხვა ნივთები. ბავშვებმა ეს ყველაფერი განალაგეს მაგიდაზე გარკვეული თანმიმდევრობით.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების განვითარებას კონსტრუირების საშუალებით?

კონსტრუირების დროს შეგვიძლია ბავშვების განვითარების სხვადასხვა სფეროს უნარებს შევუწყოთ ხელი. ამისათვის ჩვენ დაგვჭირდება მათთვის გარკვეული გამოწვევების ანუ სასწავლო მომენტების შექმნა კონსტრუქციაზე მუშაობის პროცესში. მაგალითად, ბავშვების მიერ შექმნილ ნამუშევრებზე საუბრით და მათი აღწერის წახალისებით ჩვენ ხელს ვუწყობთ მეტყველების განვითარებას. წიგნიერების უნარის განვითარების მიზნით, ჩვენ ასევე ვთავაზობთ ბავშვებს წიგნებს სხვადასხვა ნაგებობების გამოსახულებით. კონსტრუქციების გასაფორმებლად ნაბეჭდი ასოებისა და სიტყვების გამოყენებით (მაგალითად, აბრები და საგზაო ნიშნები) ბავშვები ასევე

ივითარებენ წიგნიერებასთან დაკავშირებულ უნარებს. ქვემოთ არის მოცემული რამდენიმე რჩევა, რომლებიც დაგვეხმარება სხვადასხვა უნარის განვითვითარების ხელშეწყობაში.

სთხოვეთ ბავშვებს, გადათვალონ ესა თუ ის მასალა (კუბები, ნიჟარები, გირჩები და სხვა). ჰკითხეთ, მათი აზრით, რამდენი დასჭირდებათ და შემდეგ გადაამოწმონ ვარაუდი. წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ კონსტრუქციაში გამოყენებული რაიმე კანონზომიერება ან მასალის თანმიმდევრობა (ფოთოლი, კენჭი, ფოთოლი, კენჭი...). ჩვენ ასევე შეგვიძლია, შევთავაზოთ მათ აგებული კონსტრუქციის დახატვა.

ესაუბრეთ ბავშვებს მასალის ზომაზე, ფორმასა (სამკუთხედი, კუბი, ცილინდრი და სხვა) და განლაგებაზე (ქვეშ, გვერდზე, ზემოთ, წინ და სხვა). ასევე სხვადასხვა რესურსის ფაქტურასა და თვისებებზე (გლუვი, პრიალა ხაოიანი). წაახალისეთ ბავშვები, გაზომონ კონსტრუქციები სხვადასხვა საზომი საშუალებით: თოკი, ჯოხი და ა.შ.

წაახალისეთ ბავშვები, შექმნან სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ცხოველებისა და ადამიანებისთვის, გაიყვანონ კომუნიკაციები და შექმნან გამწვანება. გააცანით მათ ფოტოები და წიგნები სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნების განსხვავებული ნაგებობებისა და არქიტექტურის ნიმუშების გამოსახულებებით.

წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ ბორბლების, ამწეების და პანდუსების მუშაობის მექანიზმებსა და პრინციპებს. შესთავაზეთ ბავშვებს ტექნოლოგიური საშუალებები, როგორიცაა ფოტოაპარატი, რომ გადაიღონ თავიანთი ნამუშევრები; კომპიუტერი, რომ შექმნან გეგმები და პროექტები, პრინტერი, რომ ამობეჭდონ საჭირო მასალა.

კონსტრუირების წახალისების საუკეთესო სტრატეგია ბავშვებთან საუბარია. დაუსვით მათ ღია კითხვები და სთხოვეთ, აღწერონ საკუთარი ნამუშევარი. მნიშვნელოვანია, რომ თქვენი უკუკავშირი ბავშვის ნამუშევრებზე „კარგიას“ ან „ყოჩაღის“ ნაცვლად იყოს კონსტრუქციის კონკრეტული აღწერა. მაგალითად: „პატარა კუბები ჩაამწკრივე და დიდით გადახურე არა? ნიჟარები და კენჭები კი შიგნით შეაწყვე.“

წაახალისეთ ბავშვები, გადაჭრან მარტივი პრობლემები. დასხედით მათ გვერდით ხალიჩაზე და დაუსვით წამახალისებელი კითხვები, შესთავაზეთ ახალი კონსტრუქციების ფოტოები, ესაუბრეთ იმაზე, რასაც აშენებენ - უნახავთ თუ არა, ყოფილან თუ არა ასეთ ნაგებობაში და ა.შ.

სამაგიდო თამაშები

რა არის სამაგიდო თამაშები

სამაგიდო თამაშები მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა მანიპულატივები, ფაზლები, ასაწყობები, ასევე სხვადასხვა ტიპის წესებიანი თამაშები: ლოტო, მემო, შაში და სხვა. ასეთ თამაშებში ჩართვა ბავშვებს შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებსა და მცირე ჯგუფებში. სამაგიდო თამაშები ხელს უწყობს ბავშვების სოციალური, ემოციური, ნატიფი მოტორიკისა და სააზროვნო უნარების განვითარებას.

როგორ ამოვიცნოთ სამაგიდო თამაშებით დაინტერესებული ბავშვი?

სამაგიდო თამაშები ფუნქციური თამაშის მომდევნო ეტაპია. ბავშვები პირველად, რამდენიმე თვის ასაკიდანვე, იწყებენ ფუნქციურ თამაშს სხვადასხვა საგნებით მათი ფიზიკური თვისებების გაგების მიზნით. პატარები აკვირდებიან, როგორ გამოიყურება საგანი, როგორია შესახებად, როგორი ფაქტურა აქვს, რამდენად დიდი ან პატარაა, რამდენად მძიმე ან მსუბუქია, რა ფორმა ან ფერი აქვს.

შემდეგი ეტაპი კონსტრუქციული სამაგიდო თამაშებია, როცა ბავშვები გარკვეული ტიპის კონსტრუქციების სხვადასხვა მასალით შექმნას ცდილობენ - პატარა ზომის ხისა და პლასტმასის კუბებით, ლეგოთი, მოზაიკით. ისინი ქმნიან ნახატებს ნიმუშის მიხედვით და/ან საკუთარი ფანტაზიით.

რაღაც ახლის შექმნის შემდეგ ბავშვები იწყებენ მის გამოყენებას წარმოსახვითი თამაშისთვის, მაგალითად: ლეგოს კონსტრუქციებში ჩასვამენ პატარა ფიგურებს და გაითამაშებენ რაიმე როლებს ან აგებული მძივებით გააკეთებენ ყელსაბამს და იტყვიან, რომ მიდიან წვეულებაზე.

შემდეგ ეტაპზე ბავშვები იწყებენ სამაგიდო წესებიანი თამაშების თამაშს. ეს თამაშები კარგი საშუალებაა გარკვეული წესების გააზრებისა და მათი დაცვის სწავლისთვის. როგორც წესი, ასეთი თამაშები რთულია 3-4 წლის ასაკის ბავშვებისათვის. ხშირად ისინი იგონებენ საკუთარ წესებს, მაგალითად, ვინ იქნება პირველი ან - გამარჯვებული და ა.შ.

რას დავაკვირდეთ?

დააკვირდით იმ მნიშვნელოვან უნარებს, რომელსაც ბავშვები ამჟღავნებენ სამაგიდო თამაშებისას:

- დამოუკიდებლად ირჩევენ და იყენებენ მასალას;

- თამაშობენ ფუნქციურ, კონსტრუქციულ, წარმოსახვით და წესებიან თამაშებს;
- ივითარებენ ხელისა და თვალის კოორდინაციას და ნატიფ მოტორიკას;
- მასალასთან მუშაობისას იყენებენ ლოგიკურ სააზროვნო უნარებს: დახარისხება, კანონზომიერება, გაზომვა, შედარება, თვლა;
- ურთიერთობენ სხვებთან და უყვებიან, რას აკეთებენ თამაშის დროს.

როგორ ვქმნით გამოწვევებს?

შესთავაზეთ ბავშვებს მრავალფეროვანი, საინტერესო და ასაკობრივად შესაბამისი რესურსი სამაგიდო თამაშებისთვის. ასეთი რესურსი არის მასალა, რომელიც იწყობა რაიმე წესის დაცვით, გარკვეული პრინციპის მიხედვით. ასეთია სხვადასხვა ტიპის ფაზლები, ფორმების დასახარისხებელი ყუთები, პირამიდები, შესაკრავების ნაკრებები, მრავალფეროვანი კონსტრუქტორები და სხვა.

გამოწვევების შექმნისათვის ასევე ვთავაზობთ ბავშვებს ღია მასალას, რომელსაც არ აქვს გამოყენების სწორი ან არასწორი გზა. ის, ბავშვის ფანტაზიის კვალდაკვალ, შეიძლება დახარისხდეს სხვადასხვა თვისების (ფერის, ზომის, ფორმის) მიხედვით, აიწყოს კანონზომიერებები და ნახატები ან გამოყენებული იყოს სხვა მიზნისთვის. ასეთი მასალებია ლეგო, პატარა ფერადი კუბები, სხვადასხვა ზომის მძივები და ასაცმელი თასმები, გეომეტრიული ფიგურები, ერთმანეთში ჩასასმელი და ასაწყობი სხვადასხვა ფორმები.

ასეთივე მასალაა სხვადასხვა ნივთების კოლექციები, ე.წ. „დაკარგული ნაწილები“, რაც ძალიან კარგი საშუალებაა ბავშვების შემოქმედებითი აზროვნების ხელშესაწყობად: ბოთლის თავსახურები, გასაღებები, ღილები, პატარა ფიგურები, ყუთები, ბოლტები, კორპის საცობები და ა.შ. ღია მასალის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ფიზიკური გარემოს თავშია წარმოდგენილი.

შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ტიპის სამაგიდო წესებიანი თამაშები. ეს თამაშები შეიძლება იყოს შეძენილი ან თქვენ მიერ ერთობლივად დამზადებული. ესენია: ლოტო, დომინო, კონცენტრაციის და მეხსიერების თამაშები, კარტი და სხვა წესებიანი თამაშები, რომლებსაც მრავლად გვთავაზობენ მწარმოებლები.

მნიშვნელოვანია, რომ გამოწვევები რომლებსაც ქმნით, იყოს საინტერესო, მაგრამ არც ისე რთული და შეესაბამებოდეს ბავშვების განვითარებას. მაგალითად, თავიდან უმჯობესია, გამოიყენოთ 4-10 ნაწილიანი ფაზლები ხელის მოსაკიდებლებით, შემდეგ - 10-20 ნაწილიანი, მოგვიანებით კი - 20-30 + ნაწილით.

ასევე ლეგოს და კუბების შერჩევისას თავიდან დაიწყეთ დიდი ზომის ნაწილებით, მოგვიანებით უფრო პატარა, შემდეგ კი შეგიძლიათ შესთავაზოთ სრული ასორტიმენტი აქსესუარებით.

წესებიანი თამაშებიდანაც ბაგაში შეარჩიეთ მარტივი ფერებისა და ნახატების თამაშები, მოგვიანებით კი - ისეთი გართულებული წესების თამაშები, როგორიცაა მემო, ბინგო, ლოტო, დომინო ასოებისა და ციფრების გამოსახულებებით და სხვა.

ბავშვების ასეთ აქტივობებში ჩართვა შეგიძლიათ მარტივად წაახალისოთ, თუ დროს დაუთმობთ ამ თამაშებზე საუბარს. ბავშვების მოტივაცია იზრდება, როდესაც ესაუბრებით მათ თამაშზე და აჩვენებთ, რომ ეს თამაში ღირებულია.

ასეთი აქტივობების დროს ბავშვებს შეიძლება დასჭირდეთ თამაშის წესების და ხერხების დეტალურად ახსნა. მაგალითად, „ფაზლების აწყობა უფრო გაადვილდება, თუ გადმოვაბრუნებთ ყველა ნაწილს ნახატის მხარეს, ჯერ ვიპოვით და ავაწყობთ ნახატის კიდეებს“. ჰკითხეთ ბავშვებს, რა მოეწონათ და რა გაუჭირდათ ყველაზე მეტად.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების განვითარებას სამაგიდო თამაშის საშუალებით?

დაეხმარეთ ბავშვებს მეტყველების უნარების განვითარებაში თამაშის დროს მათთან კომუნიკაციით. აღწერეთ სიტყვებით მასალის თვისებები და ნახატები, წაუკითხეთ თამაშის სახელები ყუთებზე, გაამახვილეთ ყურადღება მაგნიტური ასოებისა და ციფრების მნიშვნელობებზე - „ნახე, შენი სახელი გამოვიდა ნ-ი-ა.“

დაეხმარეთ ბავშვებს რიცხვების მნიშვნელობებში გარკვევაში, როცა ითვლიან სხვადასხვა ნივთებს, გამოიყენეთ მათემატიკური ცნებები: მეტი, ნაკლები, ტოლი და სხვა.

წაახალისეთ ბავშვები, ააწყონ სხვადასხვა ორნამენტები, პატარა მანქანები ან პატარა კუბები; აკინძონ მძივები სხვადასხვა თანმიმდევრობით - თეთრი, ლურჯი, მწვანე, თეთრი ლურჯი, მწვანე. ღია მასალით ააწყონ სხვადასხვა ფორმის ნახატები. ეს მათ სხვადასხვა კანონზომიერების ამოცნობაში დაეხმარება.

გაამახვილებინეთ ყურადღება პატარა ფიგურების განსხვავებულ გეომეტრიულ ფორმებზე. ჰკითხეთ, რითი ჰგავს და განსხვავდება ერთმანეთისგან ეს ფიგურები. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ შექმნან ცხრილები სხვადასხვა მასალის დახარისხების შემდეგ.



შეიტანეთ სამაგიდო თამაშები, რომლის თამაშის დროსაც ბავშვები გამოიყენებენ ადგილის განსაზღვრებების (წინ, უკან, დასაწყისი, ბოლო) ცოდნას.

კონსტუქტორების აწყობისას, ესაუბრეთ ბავშვებს ისეთ ცნებებზე, როგორიცაა მიზიდულობა და ბალანსი.

შეიტანეთ სამაგიდო თამაშები (ფაზლები, მემო, ლოტო და სხვა) მცენარეების, ცხოველების ფრინველების გამოსახულებებით.

დაეხმარეთ ბავშვებს რიგისა და თამაშის წესების დაცვაში.

ბავშვების ფიქრის, დაგეგმვისა და ორგანიზების უნარები უფრო მეტად განვითარდება, თუ თქვენ ჩაერთვებით და უკუკავშირს მისცემთ უშუალოდ თამაშის დროს და არა მას შემდეგ, რაც სამაგიდო თამაში დასრულებულია და სახეზე გარკვეული შედეგი გვაქვს (დასრულებული ფაზლი, აწყობილი მოზაიკა, ლოტოში გამარჯვებული და სხვა).

მოძრავი თამაში

რა არის მოძრავი თამაში ?

მოძრავი თამაშები ბავშვების მთელი სხეულის მოძრაობას, მხვილი მოტორიკის და კოორდინაციის აქტიურ ჩართვას მოითხოვს. სიარული, სირბილი, ხტუნვა, ცოცვა, ველოსიპედის ტარება, ბურთით თამაში, ხელითა და ფეხით კენწვლა, სროლა - ეს და კიდევ მრავალი სხვადასხვა სახის აქტივობა შეიძლება გამოყენებული იყოს მოძრავი თამაშების დროს.

როგორ ამოვიცნოთ მოძრავი თამაშით დაინტერესებული ბავშვი?

ბავშვები სულ ადრეული ასაკიდანვე აქტიური მოძრაობით ცდილობენ წინააღმდეგობების დაძლევას და საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების გამოცდას.

იმისათვის, რომ ვნახოთ ინტერესდებიან თუ არა ბავშვები მოძრავი თამაშებით, ჩვენ თავდაპირველად ვთავაზობთ მათ მარტივ თამაშებს, რომლებიც განვითარებისთვის შესაბამის ფიზიკურ აქტივობებს მოითხოვს. ეს შეიძლება იყოს მარტივი ხელებისა და ფეხების მოძრაობა, კოტრიალი, ხტუნაობა და ა.შ.

მომდევნო ეტაპზე შეიძლება გართულდეს როგორც მოძრაობები, ისე თამაშის წესები. გაითვალისწინეთ ბავშვების შესაძლებლობები და შეეცადეთ, აქტივობები არც ისე მოსაწყენი იყოს, არც მარტივი და არც ძალიან რთული ან დაუძლეველი ბავშვებისთვის.

რას დავაკვირდეთ?

მოძრავ თამაშებში ჩართულ ბავშვებს ჩვენ ვაკვირდებით:

- რამდენად ხშირად ერთვება ბავშვი მოძრავ თამაშებში?
- როგორ ივითარებს ბავშვი მსხვილ მოტორიკას, დარბის, ხტუნაობს, ცოცავს, თამაშობს ბურთით და ა.შ.?
- როგორ იცავს ბავშვი წესებს და იღებს სიამოვნებას თამაშისგან?

როგორ ვქმნით გამოწვევებს?

ბავშვებისთვის აუცილებელია ყოველდღე დაკავდნენ ისეთი აქტივობებით, რომლებიც მოითხოვს მათი მსხვილი მოტორიკის ჩართვასა და განვითარებას. ამის კარგი საშუალება კი მოძრავი თამაშებია.

იმისათვის, რომ ბავშვებმა ითამაშონ ასეთი თამაშები, შესთავაზეთ მათ თავისფულად სირბილისა და მოძრაობის ადგილი. ეს შეიძლება იყოს სპეციალური სივრცე როგორც შენობაში, ისე ეზოში.

სხვა თამაშების მსგავსად, მოძრავი თამაშების შემთხვევაშიც გამოწვევების შექმნისას მრავალფეროვან მასალას და რესურსს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, მოძრავი თამაშის წახალისებისათვის შესთავაზეთ ბავშვებს ისეთი მრავალფეროვანი მასალა, როგორიცაა:

- სხვადასხვა ფაქტურის სასიარულო ფორმები სენსორული განვითარებისთვის;
- დახრილი და ვიწრო დაფები წონასწორობის დასაცავად;

- სახტუნაო ბურთები და ბატუტები;
- ძალიან დიდი ზომის მსუბუქი სამშენებლო მასალა (მუყაოს, ქსოვილის ან ქაფის მასალით);
- ქსოვილის ან სხვა მასალის გასაძრომები და გვირაბები;
- დიდი ზომის მუყაოს ყუთები, თოკები და სახტუნაოები;
- სხვადასხვანაირი ბურთები;
- კეგლი და სატრიალო რგოლები; აღჭურვილობა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებისთვის ;
- სამთვლიანი ველოსიპედები, სასრიალოები, საქანელები და საძრომიალოები, როგორც ოთახისათვის, ისე ეზოსთვის.

გაამხნევეთ ბავშვები და ხელი შეუწყვეთ, რომ მონაწილობა მიიღონ სხვადასხვა ტიპის მოძრავ თამაშებში - როგორც ინდივიდუალურად, ისე პატარა და დიდ ჯგუფებში.

შესთავაზეთ ახალი და სახალისო თამაშები, რომლის წესებსაც თავდაპირველად კარგად აუხსნით. ჩაერთეთ და ითამაშეთ მათთან ერთად და ასევე წაახალისეთ, რომ ითამაშონ დამოუკიდებლად.



უსაფრთხოება:

ბავშვები შეიძლება არასწორად აფასებდნენ სიტუაციას და თავის შესაძლებლობებს, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას. მაგალითად, ისინი შეიძლება გადმოხტნენ ძალიან დიდი სიმაღლიდან ან თამაშში ჩართულებმა გაქანებულ საქანელას ზედმეტად მოუახლოვდნენ. ამიტომ ბავშვების დაშავების ან სხვა არასასურველი სიტუაციის თავიდან არიდების მიზნით, ყოველთვის გყავდეთ ბავშვები მხედველობის არეში, გაითვალისწინეთ და აუხსენით მათ რამდენიმე წესი, რომელიც დაეხმარებათ საფრთხის თავიდან აცილებაში - მაგალითად, იმისთვის, რომ არ შეუქმნან ერთმანეთს საფრთხე, არ ჰკრან ხელი და არ დაეჯახონ ერთმანეთს, უნდა დაიცვან დისტანცია.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების განვითარებას მოძრავი თამაშის საშუალებით?

წაახალისეთ, განივითარონ მეტყველება თამაშის დროს ახალი სიტყვების ჩართვითა და იმ მოქმედებების აღწერით, რომლებსაც ასრულებენ. თამაშის ნაწილი შეიძლება იყოს რაიმე სახალისო გათვლა ან ლექსი.

წაახალისეთ, დაითვალონ, შექმნან გეომეტრიული ფორმები მოძრაობით; შესაბამისი მასალით შექმნან კონსტრუქციები, რომელთაც მოძრავი თამაშის დროს გამოიყენებენ. მოძრავი თამაშები ძალიან კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ბავშვებმა გაიაზრონ და გამოიყენონ ცნებები „წინ“, „უკან“, „მარჯვნივ“, „მარცხნივ“ და სხვა.

დაეხმარეთ მათ თამაშის წესების დაცვაშიც - დაიცვან რიგი და თანმიმდევრობა, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს მათი სოციალური უნარების განვითარებას.

რა არის მუსიკა და ცეკვა?

ბავშვი დაბადებიდან ისმენს სხვადასხვა სახის ხმაურს, აყურადებს განსხვავებულ ჟღერადობებს, თავად გამოსცემს სხვადასხვა ხმას და მოგვიანებით ამოიცნობს ახლობლების ხმებს, სიამოვნებს ან არ სიამოვნებს ამა თუ იმ ხმაურით გამოწვეული ხმები, ცდილობს მუსიკის აყოლას სხეულის მოძრაობით და რიტმული მონახაზის შექმნას საგნებით, რომლებიც ხმას გამოსცემენ. უფრო მოზრდილ ასაკში მღერის, თავად იგონებს მელოდიებს, უცვლის ტექსტს ნაცნობ სიმღერას, ცეკვავს სხვადასხვა მუსიკაზე, სიამოვნებს მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა, ცეკვის ყურება, შეუძლია საუბარი იმ გრძნობებზე, რომელსაც აღძრავს მასში მუსიკა და გადმოსცემს ამ გრძნობებს სხეულის მოძრაობით.

ზემოთ აღწერილი საქმიანობების განხორციელებისას ბავშვი ჩართულია სამუსიკო ხელოვნებაში.

მუსიკა და ცეკვა მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის. ცეკვა საშუალებას აძლევს ბავშვს, იყოს აქტიური, განივითაროს ფიზიკური უნარები. მუსიკა და ცეკვა ბავშვის თამაშის შემადგენელი კომპონენტებია. ხელოვნების ეს დარგები ხელს უწყობს პოზიტიური განწყობის შექმნას, თვითშეფასებისა და წარმოსახვის ფორმირებას.

რას ვაკვირდებით?

როდესაც ბავშვები მღერიან, უსმენენ მუსიკას ან ცეკვავენ, ჩვენ ვაკვირდებით:

- როგორ ცდილობს ბავშვი, აყვეს მუსიკას ხმით ან სხეულის მოძრაობით?

- როგორ ქმნის რიტმს იმ ნივთების გამოყენებით, რომლებიც გარკვეულ ხმებს გამოსცემენ?
- როგორ ბაძავს ცხოველებს ხმითა და მოძრაობით?
- როგორ განასხვავებს ჩქარ/ნელ რიტმსა და ხმამაღალ/ხმადაბალ მუსიკას?
- როგორ ინტერესდება სხვადასხვა ტიპის საკრავებით?
- როგორ ცდილობს მუსიკალური საკრავების აჟღერებას და როგორ უსმენს მათ?
- როგორ ახერხებს საკრავების ამოცნობას მათი ჟღერადობის მიხედვით?
- როგორ იმეორებს მელოდიას, ცეკვის ილეთებს?
- როგორ აყოლებს მელოდიაზე შარფებს, ლენტებს, სხვადასხვა ინსტრუმენტს?
- როგორ იმპროვიზირებს, ქმნის მელოდიას, რიტმს, იგონებს ტექსტს სიმღერისთვის ან მელოდიას ცვლის ახლის გამოსაგონებლად?

რას ვაკეთებთ სამუსიკო ხელოვნების, ცეკვის ხელშესაწყობად?

ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მუსიკისა და ცეკვის აქტვობების ჩატარება იქნება შესაძლებელი - ანუ უნდა არსებობდეს სივრცე, სადაც ბავშვი თავისუფლად იმოძრავებს და თავს უსაფრთხოდ იგრძნობს, რადგან დაცემისას არაფერი დაიზიანოს.

კარგი იქნება, ამგვარი აქტივობებისთვის მოწყობილ სივრცეში დავაგოთ ხალიჩა, რომელსაც გამოვიყენებთ მაშინაც, როცა ბავშვები მოისმენენ ან შექმნიან მუსიკას. ასეთი აქტივობებისას გამოგვადგება სხვადასხვა სიმაღლის ზედაპირები ინსტრუმენტების დასაწყობად. ეს შეიძლება იყოს ტუმბო, ვთქვათ, დოლის ან ქსილოფონის დასადებად.

სასურველია, ოთახში გვქონდეს დიდი სარკე, რომელშიც ბავშვი ცეკვისას

საკუთარ გამოსახულებას სრულად დაინახავს. სივრცეში იატაკი უნდა იყოს სწორი, ერთგვაროვანი, რათა ბავშვმა შეძლოს თავისუფლად მოძრაობა, სრიალი და ფეხშიშველი ცეკვა.

მუსიკის მოსმენის, შექმნისა და ცეკვის წახალისებისთვის გამოგვადგება შემდეგი რესურსები:

- სხვადასხვაგვარი მუსიკალური საკრავები, ეს შეიძლება იყოს:
  - ქართული ხალხური საკრავები - სალამური, ფანდური, ჩონგური, დაირა, დოლი, ჭიანური, გუდასტვირი, დიპლიპიტო და ა.შ.
  - სხვადასხვა ქვეყნის ხალხური საკრავები - მარაკასი, კალიმბა, სიტარა, უკულელე, ტამტამი, ბანჯო და ა.შ.
  - კლასიკური საკრავები - ვიოლინო, ფლეიტა და ა.შ.
  - ე.წ. არატრადიციული საკრავები რიტმის შესაქმნელად - ქვაბების სახურავი, ჯოხები, ხისა და ლითონის კოვზები და ა.შ.
- ლენტები, ქსოვილის ნაჭრები, სხვადასხვა სახის კოსტუმები (ხალხური, თეატრალური), ქუდები, ნიღბები და ა შ.
- სხვადასხვა ჟანრის მუსიკის ჩანაწერები - ტრადიციული ქართული მუსიკა, მსოფლიო ხალხთა მუსიკა, კლასიკური მუსიკა, ჯაზი, როკი, რეპი, ჰიპ-ჰოპი, პოპი, ქანთრი, ბლუზი, საბავშვო მუსიკა და ა.შ.
- ჩანაწერები სხვადასხვა სახის ხმაურებით - წყლის ჩხრიალი, ქარი, ჩიტები, კარის ჭრიალი, ქვიშის ხრაშუნი და ა.შ.
- ხელნაკეთი საკრავები - საჩხარუნოები, დოლი, ქსილოფონი და ა.შ.

წიგნებთან ურთიერთობა

რა არის წიგნებთან ურთიერთობა?

წიგნებსა და ანბანთან ურთიერთობა გულისხმობს ბავშვისთვის დაგეგმილ ისეთ აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია აზრების მეტყველების საშუალებით გამოხატვასთან, ნაბეჭდის, ხელნაწერის ამოცნობასა და წერის განვითარებასთან, ლიტერატურის გაცნობასა და მისგან სიამოვნების მიღებასთან.

როგორ დავინახოთ, რომ ბავშვი წიგნებით, ანბანით ინტერესდება?

ბავშვები სთხოვენ უფროსებს საყვარელი წიგნების წაკითხვას. წიგნის კითხვისას ისინი უფროსთან ერთად იმეორებენ წიგნში ამოკითხულ და ხშირად ნახსენებ ფრაზებს. მაგალითად, „კომბლე რა კაციაო...“

ბავშვები ინტერესდებიან წიგნიერებით, თუ წიგნის კითხვას იმიტირებენ, „უკითხავენ“ სხვებს, ფურცლავენ წიგნს თავიდან ბოლოსკენ და თითს აყოლებენ ნაწერს. შესაძლოა, უფროს ასაკში ბავშვები წიგნებს იყენებდნენ საკუთარ შეკითხვებზე პასუხების გასაცემად.

როდესაც ბავშვები მიუთითებენ რაიმე წარწერაზე და გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რა წერია ტექსტში ან სვამენ შეკითხვას ნაწერის შინაარსის შესახებ, მიიჩნევა რომ ისინი წიგნიერებასთან დაკავშირებული აქტივობებით არიან დაინტერესებულნი. მსგავს დასკვნას ვაკეთებთ მაშინაც, როდესაც ვამჩნევთ, თამაშის დროს როგორ აკეთებენ წერის იმიტაციას - ვითომ წერენ.

წიგნიერებით დაინტერესების კიდევ ერთი ნიშანია ბავშვის მიერ მეტყველებაში გამოყენებული ის ახალი სიტყვები ან ფრაზები, რომლებიც დაამახსოვრდა საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წაკითხული წიგნებიდან და/ან მარტივი რითმები, რომლებსაც თავად იგონებს; იყენებს ანბანურ მასალას რაიმე სიტყვის ასაწყობად, ითხოვს საყვარელი მოთხრობის წაკითხვას, მიუთითებს და ასახელებს ნაცნობი ნივთებისა და საგნების სახელწოდებას; ჯგუფური შეხვედრის დროს ჰყვება თავისი გამოცდილების შესახებ.

რას დავაკვირდეთ?

წიგნებით და ანბანით დაინტერესება თითქმის ყველა აქტივობისა თუ საქმიანობის დროს შეიძლება გამოვლინდეს. დაკვირვება კი დაგვეხმარება განსაზღვრაში, თუ რა საფეხურზეა ბავშვი ამ მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ:

- რამდენად მდიდარია ბავშვების ლექსიკური მარაგი?
- სწავლობენ თუ არა ახალ სიტყვებს და იყენებენ თუ არა მათ მეტყველებაში?
- რამდენად გამოარჩევენ ბავშვები მეტყველებაში ცალკეულ ბგერებს?
- რამდენად შუძლიათ სიტყვების განსხვავებულად დაშლა?
- რამდენად ცნობენ ბავშვები ნაბეჭდს, -ხვდებიან, რომ მას აქვს გარკვეული შინაარსი?
- რამდენად ამახვილებენ და ინტერესდებიან ასოებით, ცნობენ თუ არა ზოგიერთ მათგანს?
- მოსწონთ თუ არა წიგნების თვალიერება?
- როგორ ექცევიან წიგნებს - როგორ უჭირავთ, ფურცლავენ, ათვალიერებენ?
- უყვართ თუ არა ზღაპრების მოსმენა და რამდენად ესმით მოსმენილის შინაარსი?
- აქვთ თუ არა წერის მცდელობა?

როგორ ვქმნით გამოწვევებს?

ბავშვების ანბანითა და წიგნიერებით დასაინტერესებლად, უნდა შევთავაზოთ მათ მრავალფეროვანი წიგნები: მოთხრობები, ზღაპრები, ლექსები, ენციკლოპედიები, დასურათებული ლექსიკონები, დიდი ზომის ილუსტრირებული და ისეთი წიგნები, რომლებსაც თქვენ წაუკითხავთ.

წიგნების შერჩევისას გასათვალისწინებელია ბავშვების ასაკი და ინტერესები. სულ პატარებს უყვართ მარტივი ამბები მათთვის ნაცნობ ყოფით თემებზე და ისეთი ტექსტები, რომლებშიც მეორდება ფრაზები და არის დიალოგები ფერადი, ნათელი ილუსტრაციებით.

შედარებით უფროსებს მეტ ხანს შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება და უყვართ შედარებით რთულსიუჟეტიანი წიგნები. ამასთანავე, მოსწონთ ამბები შორეულ და ზღაპრულ ქვეყნებზე.

წიგნებს უდიდესი როლი აკისრია ბავშვების ინტერესების გაღვივებასა და დაკმაყოფილებაში, ექსპერტული ცოდნის მიღებაში, ამიტომ წიგნების გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღში. სხვა წიგნებთან ერთად შეიძინეთ ისეთი წიგნები, რომლებშიც ნამდვილი სურათები ან ნატურალისტური ნახატებია. ეს შეიძლება იყოს ბოტანიკური ატლასი ან წიგნი მანქანის აგებულებაზე. ამგვარი თემატური წიგნებით შეძლებთ სხვადასხვა ინტერესის მქონე ბავშვების ცოდნის გაღრმავებას მათთვის საინტერესო ფაქტებსა და შეკითხვებზე პასუხების მოძიებით. თუკი ბავშვები ინტერესდებიან, ვთქვათ, თევზებით, წიგნები თევზებზე შეიძლება იყოს როგორც კონსტრუირების კუთხეში, (რათა, სურვილის შემთხვევაში, ბავშვებმა მოაწყონ თევზების საცხოვრებელი გარემო (მდინარე, ტბა ან აკვარიუმი), ისე - მეცნიერების კუთხეში, რათა იქ დააკვირდნენ თევზების აგებულებას, ნახონ, რითი იკვებებიან და ა.შ.

წაკითხული წიგნის ინსცენირებისას ბავშვებს შეუძლიათ როგორც ხელისა და თითის თოჯინების, ისე ფლანელის ან მაგნიტური დაფის გამოყენება შესაბამისი ფიგურებით.

ინტერესის გასაღვივებლად, შესთავაზეთ ბავშვებს მრავალფეროვანი აუდიომასალა: კასეტები, დისკები მოთხრობების, ზღაპრების და ლექსების ჩანაწერებით.

- ჩანაწერები თვითონ ბავშვების მონაწილეობით.
- მასალა საწერად:
  - სხვადასხვანაირი ფანქრები და კალმისტრები;
  - წერილების ფურცლები და კონვერტები;
  - ანბანისა და ციფრების შტამპები და მელანი;
  - გაზეთები და ჟურნალები, თაბახის, მუყაოს ფურცლები;
  - სახვრეტელა, სტეპლერი, მშრალი წებო, შპალერის ნაჭრები წიგნის ყდებისთვის, მაკრატლები, სკრეპები, ფანქრის სათლელები;
  - სხვადასხვაგვარი დახაზული და ცარიელი ფურცლები;

ეს მასალა ყველაზე ინტენსიურად წარმოსახვითი თამაშების დროს გამოიყენება, ამიტომ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებისათვის ამ ტიპის თამაშებისას. თუ ჯგუფში გაქვთ წარმოსახვითი თამაშის სივრცე, იქვე დაალაგეთ ტელეფონის წიგნები, მენიუ, გაზეთები, ბლოკნოტები, რვეულები, კონვერტები, საწერი საშუალებები და ნაბეჭდი მასალა, რომელსაც ბავშვები წარმოსახვითი თამაშის დროს გამოიყენებენ.



ფოტოებზე და ილუსტრაციებში გამოსახულია წარმოსახვითი თამაშები, რომლის დროსაც ბავშვები იყენებენ სხვადასხვა მასალას განვითარებისთვის.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების განვითარებას წიგნებისა და ანბანის საშუალებით?

შექმენით ისეთი გარემო, რომელიც წაახალისებს ბავშვების ერთი - ერთზე საუბარს. გამოყავით პატარა სივრცეები, სადაც ბავშვები შეძლებენ მცირე ჯგუფებში ან წყვილებში თამაშსა და მუშაობას.

აღწერეთ მოქმედებები, რომლებსაც ბავშვები ასრულებენ და გამოიყენეთ ახალი სიტყვები:

„შენ გინდა მუხლუხოს გამოძერწვა თიხისგან, ამიტომ გაიმზადე დაფა და გადაშალე ეს წიგნიც - მანდ არის სურათი, რომელიც დაგეხმარება“.

გააცანით ახალი სიტყვები ჯგუფური შეხვედრისას ან კითხვისას და გამოიყენეთ სხვადასხვა სტრატეგია ამ სიტყვების ასახსნელად. მაგალითად, აჩვენეთ ნახატები და ფოტოსურათები; გამოიყენეთ მიმიკა, ჟესტები და ხმის ინტონაცია; ამღერეთ ბავშვებს მარტივი სიმღერები და გაამეორებინეთ პატარა ლექსები და გათვლები.

დღის განმავლობაში, სხვადასხვა საქმიანობისას, გაამახვილეთ ყურადღება ბგერებზე - „თინიკო და თამუნა თქვენი სახელი თ-ზე იწყება.“

ყურადღებით აირჩიეთ წიგნი, რომელიც ბავშვებს უნდა წაუკითხოთ. წინასწარ წაიკითხეთ და გაივარჯიშეთ ხმამაღლა კითხვაში. დარწმუნდით, რომ ყველა ბავშვი კომფორტულად ზის და ხედავს წიგნს. ისაუბრეთ ავტორსა და ილუსტრატორზე. გამოიყენეთ ექსპრესიული კითხვის ისეთი ტექნიკები, როგორიცაა ხმის შეცვლა და ჟესტები. ასევე აჩვენეთ ილუსტრაციები და პერიოდულად გააყოლეთ თითი ნაბეჭდს.

ჩართეთ ბავშვები კითხვის პროცესში სხვადასხვა მეთოდით. მაგალითად; სთხოვეთ, შეავსონ გამოტოვებული სიტყვები - „რწყილი ახტა .... „ შეკითხვები „ვინ?“, „რა?“, „რატომ?“, „როგორ?“ წაახალისებს ბავშვების კითხვის პროცესში ჩართვას. ისინი ასევე დაინტერესდებიან კითხვით, თუ წაკითხულს მათ რეალურ გამოცდილებასთან დავაკავშირებთ: „დიტო, შენ ყოფილხარ ტყეში?“ სთხოვეთ ბავშვებს ზღაპრის მნიშვნელოვანი მონაკვეთების მოყოლა: „გახსოვთ, რა მოხდა, როცა მგელმა სახლს შეუბერა?“

წაკითხვის შემდეგ მოათავსეთ წიგნი თაროზე, რომ ბავშვებმა თვითონ შეძლონ მისი დათვალიერება. პირადი მაგალითით აჩვენეთ წიგნთან სწორი მოქცევა.

გაამახვილეთ ბავშვის ყურადღება ასოებსა და სიტყვებზე, რომლებიც გვხვდება გარემოში.

დაფაზე წერისას აღნიშნეთ, საიდან საით ვწერთ. სასვენი ნიშნების დასმისას აღნიშნეთ: „მოდი, აქ მძიმეს დავსვამ, რომ სხვებმა კითხვისას შეისვენონ“.

გამოფინეთ ანბანი ბავშვის თვალის სიმაღლეზე.

სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ ესა თუ ის სიტყვა ან ასო ნიმუშის მიხედვით წიგნში. შემდეგ გადაუღონ ფოტო წარწერებს, რომლებიც შეხვდებათ ექსკურსიისას ან „გადაიხატონ“ რაიმე სიტყვა ნიმუშის მიხედვით. მაგალითად, ექსკურსიის დროს ნანახი მაღაზიის სახელის ფოტოთი დაამზადონ აბრა სათამაშო მაღაზიისთვის, შექმნან საგზაო ნიშნები სათამაშოდ, გადაიწერონ მცენარეების სახელები ჰერბარიუმისათვის და სხვა.

წაახალისეთ ბავშვები, საკუთარ კითხვებსა და ინტერესებზე პასუხები წიგნებში მოიძიონ. მაგალითად, შესთავაზეთ, იპოვონ ეზოში ნანახი პეპელა მწერების წიგნში ან შეადარონ დაშლილი საათის აგებულება ენციკლოპედიაში ნანახ საათის აგებულებას და ა.შ.

კვლევა და აღმოჩენები

რა არის კვლევა და აღმოჩენები ?

ბავშვები ეცნობიან მეცნიერების ელემენტებს მათ გარშემო სამყაროზე დაკვირვებით და მისი კანონზომიერების აღმოჩენით. ბავშვები ცდიან ნივთებს, აკვირდებიან და იკვლევენ, შეისწავლიან, როგორ მუშაობენ ისინი, ატარებენ ექსპერიმენტებს, მანიპულირებენ სხვადასხვა მასალით, სვამენ შეკითხვებს და ეძებენ პასუხებს. ისინი იკვლევენ და აკეთებენ აღმოჩენებს. მოცემულ კურიკულუმში კვლევა წამყვანი საქმიანობაა ბავშვებისთვის

და ყველა აქტივობის ფორმას გასდევს თან. ამ თავში კი გამოვყოფთ სამ კატეგორიად დაყოფილ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირებულ საქმიანობებს:

- ფიზიკური მეცნიერება;
- მეცნიერება სიცოცხლის შესახებ;
- დედამიწა და გარემო.

როგორ ამოვიცნოთ კვლევითა და აღმოჩენებით დაინტერესებული ბავშვი?

სულ პატარა ასაკიდან ბავშვები იწყებენ მათ გარშემო არსებული გარემოს, მასალებისა და ნივთების თვისებების შესწავლას. ნივთის ხელში მოსინჯვით, პირში ჩადებით, დაგდებით, გაგორებით ბავშვი სწავლობს, როგორია ნივთი შეხებით, გემოთი, სუნით, რა ხმას გამოსცემს, ტყდება თუ არა და ა.შ. ერთი და იგივე მანიპულაციის რამდენჯერმე გამეორებით ბავშვი კიდევ და

კიდევ მოსინჯავს თავისი აღმოჩენის მუდმივობას და მის სიზუსტეს. ასეთ თამაშს ფუნქციურ თამაშსაც ეძახიან და ის პირველი ექსპერიმენტია, რომელსაც ბავშვი ატარებს.

მოგვიანებით, გარემოზე დაკვირვებით ბავშვები ეცნობიან ისეთ ცნებებს, როგორიცაა წონა, ფერი, ფორმა, ტემპერატურა. ისინი სწავლობენ, როგორი თვისებები აქვთ, როგორ გადაადგილდებიან და იცვლებიან საგნები, როგორია ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლები და გარემო მათ ირგვლივ.

რას დავაკვირდეთ?

დააკვირდით ბავშვებს საგნების ფიზიკური თვისებების აღმოჩენისას. მაგალითად, როცა კუბებისგან სასრიალოს აკეთებენ მანქანის ჩამოსაგორებლად, კალეიდოსკოპში იხედებიან, მაგნიტით მიიზიდავენ ლითონის საგნებს ან როცა ხატვისას ამბობენ: „შეხედე, ყვითელი საღებავი ლურჯს შეერია და მწვანე გახდა“.

დააკვირდით, როგორ აღმოაჩენენ ბავშვები მეცნიერებას სიცოცხლის შესახებ. ეს ხდება მაშინ, როცა ბავშვები ზრუნავენ ჯგუფში არსებულ მცენარეზე ან ცხოველზე; ინტერესდებიან მათი სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობებით, რას ჭამენ, როგორ იზრდებიან და მრავლდებიან, რითი გვანან და განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულები; ამბობენ „ჩვენს ზაზუნას მთელი დღე სძინავს, ალბათ, ღამით იღვიძებს“ ; რწყავენ მცენარეს ან ამჩნევენ დამჭკნარ ფოთლებს; აღმოაჩენენ, რომ მათი გულისცემა აჩქარებულია სირბილის შემდეგ და კიდევ ბევრი სხვა საქმიანობისას.

აღმოჩენებს დედამიწისა და გარემოს შესახებ ბავშვები აკეთებენ მაშინ, როდესაც ინტერესდებიან, როგორია მიწა ჩვენ გარშემო; არის თუ არა წყალი, ბალახი, ქვიშა, ქვები, ტბები, წყალსაცავები, მდინარეები, მთები, უდაბნოები, მინდვრები. დედამიწისა და გარემოს შემეცნებას ემსახურება შეკითხვები - რა შეგიძლია დაინახო ცაში? როგორ ზემოქმედებს ციური სხეულები შენს გარშემო არსებულ გარემოზე? რა არის ამინდი და როგორ მოქმედებს ის ჩვენზე?როგორ შეგიძლია იზრუნო გარემოზე? როცა ბავშვები თამაშობენ ჩრდილებით, საუბრობენ იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ დილა-საღამოს; ამატებენ მიწაში წყალს, რათა მოზილონ ტალახის ნამცხვარი, ხატავენ ტროტუარზე წყლით და შენიშნავენ, რომ ნახატი გაშრა, ამ შემთხვევაშიც ბავშვები აკეთებენ აღმოჩენებს დედამიწისა და გარემოს შესახებ.

როგორ ვქმნით გამოწვევებს ?

კვლევის პროცესში აქტიურად ჩასართავად და პროცესით დასაინტერესებლად აუცილებელია ბავშვებისთვის მრავალფეროვანი და სწორად ორგანიზებული მასალების შეთავაზება, და მათი მეშვეობით გამოწვევების პროვოცირება.

მასალის ორგანიზება შეგიძლიათ ჯგუფის ერთ-ერთ კუთხეში. კუთხის მოსაწყობად დაგჭირდებათ მაგიდა, თარო მასალების შესანახად, ლანგრები აქტივობებისთვის, ქაღალდი და საწერი საშუალებები, წიგნები, ჟურნალები და პლაკატები მეცნიერებაზე. მასალის ორგანიზების თაობაზე უფრო დეტალური და ვრცელი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ფიზიკური გარემოსთვის დათმობილ თავში.

ცოცხალ ბუნებაზე დასაკვირვებლად ბავშვებს დასჭირდებათ შემდეგი მასალა: მცენარეები, მარცვლები, ბოლქვები, ქოთნები ნიადაგით, ბუნებრივი მასალების კოლექცია; ფოთლები, გირჩები, ქვები, ნიჟარები, ბუმბულები, ძვლები, ძველი რენტგენის ფირები ადამიანის ან ცხოველების ძვლების და კბილების გამოსახულებით, ფონენდოსკოპი და მიკროსკოპი.

ფიზიკურ თვისებებზე დასაკვირვებლად შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ზომის მაგნიტები, მეტალისა და სხვა ნივთიერებისგან დამზადებული პატარ-პატარა ნივთები, სასწორი, გირები, გამადიდებელი შუშა, სხვადასხვა სითხით სავსე ბოთლები, ნივთები დასაშლელად, განსხვავებულიზომისა და მასალის ბურთები, სარკეები, კალეიდოსკოპები, ფანრები, თერმომეტრები, სახრახნები, ბორბლები, სინჯარები, კოლბები, კონტეინერები, პინცეტები და პიპეტები, სხვადასხვა სითხეები და ისეთი უვნებელი ნივთიერებები, როგორიცაა შაქარი, ფქვილი, მარილი, ზეთი, სოდა და საღებავები.

დედამიწისა და გარემოს შესასწავლად დაგჭირდებათ ტემპერატურის საზომი, ამინდის და სეზონის კალენდრები, ქარის სიჩქარისა და მიმართულების მაჩვენებელი, მიწა, ქვები, წყალი, ნიჟარები, ხის ჯოხები, ძაბრები, წყლის ჭურჭელი, ბადე, საწურები და სხვა.

მასალაზე მუშაობა ბავშვებისთვის საინტერესო რომ გავხადოთ, წავახალისოთ და გამოვიწვიოთ ისინი სხვადასხვა ხერხით. ერთ-ერთი საშუალება საუბარი და ღია კითხვების დასმაა შემდგომი კვლევისთვის: „საინტერესოა, რატომ ტივტივებს წყლის ზედაპირზე ეს დიდი სათამაშო ნავი, ხურდა ფული კი იძირება?“

აღწერეთ ის ფიზიკური ცვლილებებიც, რომლებსაც ხედავთ: „აბა, დააკვირდი - როცა შენს ნახატზე ლურჯი ფერი შეერია ყვითელს, მწვანედ გადაიქცა“.

გამოწვევების შექმნის კიდევ ერთი გზა მასალის შეთავაზებაა. წინასწარ მოამზადეთ გარკვეული ექსპერიმენტის და/ან თამაშისთვის საჭირო მასალა და ბავშვებისათვის თვალსაჩინო და მიმზიდველი ფორმით განათავსეთ. ასეთ ხერხს პროვოკაციასაც ეძახიან. ამ შემთხვევაში მასალა იმგვარადაა ორგანიზებული, თავად კარნახობს ბავშვს, რა გააკეთოს, შესაბამისად, უფროსის მითითება აღარ ხდება საჭირო. კარგად ორგანიზებული მასალა წაახალისებს ბავშვების მიერ დამოუკიდებელ კვლევას. მასალის ორგანიზებისთვის გამოგადგებათ დაფები, ლანგრები, ქილები, სინჯარები ან სპეციალური ოთხკუთხედი პლასტიკატის ნაჭრები, რომლებზეც გაანაწილებთ ნივთებს.

აღჭურვეთ ჯგუფი სხვადასხვა მოწყობილობით, დაშლილი სათამაშოებითა და მექანიზმებით, რაც დაეხმარება ბავშვებს გაგებასა და გარკვევაში - როგორ მუშაობს ესა თუ ის საგანი, ნივთი.

უსაფრთხოება

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ნივთების დაშლისას.

ამ დროს აუცილებელია უფროსის მეთვალყურეობა.

- ***არ დაშალოთ ტელევიზორი, კომპიუტერი და სხვა ნივთები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი წარწერა;***
- ***ყოველთვის გადაჭერით სადენები და ამოიღეთ ელემენტები;***
- ***მოაშორეთ შუშის ნატეხები.***

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების განვითარებას აღმოჩენების საშუალებით?

ბავშვებთან ერთად დათესეთ სხვადასხვა მცენარის მარცვლები, ერთად დააკვირდით, ზრდის პროცესს და სთხოვეთ ბავშვებს, სხვადასხვა მეთოდით ჩაინიშნონ დაკვირვების შედეგები.

აჩვენეთ და ისაუბრეთ ბავშვებთან ცხოველების სახლებზე (თაგვის სორო, დათვის ბუნაგი, ჩიტის და ჭიანჭველების ბუდე, ფუტკრების სკა და ა.შ.) და მათ სასიცოცხლო ციკლზე (დაკვირვება და საუბარი პეპლებისა და ბაყაყების სიცოცხლის ციკლზე).

დაეხმარეთ ბავშვებს,შეისწავლონ ადამიანის სხეული და იზრუნონ ჯანმრთელობაზე („გრძნობ შენს გულისცემას სირბილის შემდეგ?“ „ სტაფილო ისეთი სასარგებლოა შენთვის“).

გაამახვილეთ ყურადღება დღისა და ღამის რიტუალებსა და სეზონურ ცვლილებებზე, როცა ის თვალსაჩინოა: „შეიძლება ითქვას, შემოდგომა უკვე მოვიდა. ფოთლები გაყვითლდა, გაწითლდა.“

ისაუბრეთ ამინდზე ყოველ დღე ეზოში გასვლის წინ: „გიო, ნახე, როგორი ამინდია? ქურთუკების ჩაცმა დაგვჭირდება?“

არ არის აუცილებელი ყველა ამ შეკითხვაზე საპასუხოდ საგანგებო მეცნიერული ექსპერიმენტის ჩატარება. ჯგუფის ყველა სივრცეში შეუქმენით ბავშვებს ისეთი პირობები, რომ განივითარონ კვლევასა და აღმოჩენებთან დაკავშირებული უნარები.

წაახალისეთ ბავშვები, თავიანთი დაკვირვება ჩაინიშნონ გრაფიკულად და ამისთვის შესთავაზეთ მათ ჩანახატების ფურცლები. გრაფიკული ჩანიშვნებით ბავშვები აღნიშნავენ დაკვირვების შედეგებს. მაგალითად, გააკეთონ ჩანახატები მცენარის ზრდის სხვადასხვა ეტაპზე ან ჩაიხატონ ის ცვლილებები, რომლებსაც ესა თუ ის ობიექტი განიცდის. შესაძლოა, დაკვირვების დღიურში ჩახატონ, რასაც ხედავენ ლუპით დაკვირვებისას.

გამოუმუშავეთ ბავშვებს ჩვევა, შეადგინონ მარტივი ცხრილები და გრაფები, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ ექსპერიმენტების ჩატარებისას და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით საგნების დახარისხებისას.





კულინარია

რა არის კულინარია?

კულინარია აერთიანებს ბავშვის ისეთ აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია საკვები პროდუქტების მომზადებასთან, მათ თვისებებზე დაკვირვებასა და ამ პროცესისგან სიამოვნების მიღებასთან. ამ სახალისო საქმიანობების დროს ბავშვებს უვითარდება ბევრი უნარი: დამოუკიდებლობა და კომუნიკაცია, ნატიფი მოტორიკა და შემოქმედებითი აზროვნება, რაოდენობრივი წარმოდგენები და მეტყველება.

როგორ ამოვიცნოთ კულინარიით დაინტერესებული ბავშვი?

თავდაპირველად ბავშვები იწყებენ სხვადასხვა საკვები პროდუქტის შესწავლას და მის თვისებებზე დაკვირვებას შეგრძნებების საშუალებით. ისინი აკვირდებიან ვიზუალურ მხარეს, სინჯავენ ფაქტურას, ყურს უგდებენ, რა ხმას გამოსცემს, როგორი სუნი და როგორი გემო აქვს სხვადასხვა საკვებს. ამავდროულად, ისინი ეხებიან ვაშლის პრიალა კანს, გატეხავენ კვერცხს, ყნოსავენ პურს, გასინჯავენ ჯემს და ა.შ.

საკვების თვისებების შესწავლის შემდეგ ბავშვები იწყებენ ექსპერიმენტირებას და დაინახავენ, როგორ იცვლება პროდუქტები დაჭრის, მოხარშვის, შერევის შემდეგ. მათ უნდათ გაიგონ, როგორ დნება შაქარი კვერცხთან შერევისას ან რა მოსდის ცომს მოზელვის შემდეგ.

ბავშვები ცდილობენ ისეთი საჭმლის მომზადებას, რომლის მირთმევაც შესაძლებელია. ახალი კერძების მოსამზადებლად, შესაძლოა, გამოიყენონ ილუსტრირებული რეცეპტებიც.

რას დავაკვირდეთ?

დააკვირდით, მონაწილეობს თუ არა ბავშვი კულინარიის აქტივობებში - რას აკეთებს,რა უნარებს იყენებს მუშაობისას. ამასთანავე, მიაქციეთ ყურადღება, იჩენს თუ არა ინიციატივას, დამოუკიდებლად ირჩევს საქმიანობას თუ დავალების ან შეთავაზების მოლოდინშია.

თვალი ადევნეთ, მიჰყვება თუ არა რაიმე რეცეპტს ან ინსტრუქციას, შეუძლია თუ არა ხელსაწყოების დამოუკიდებლად გამოყენება, ასრულებს თუ არა კერძის მომზადებას, თანამშრომლობს თუ არა სხვა ბავშვებთან.

როგორ ვქმნით გამოწვევებს?

კულინარიულ საქმიანობებში ბავშვების ჩასართველად და მათი ხელშეწყობისთვის, უპირველეს ყოვლისა, ხელმისაწვდომ ადგილას განათავსეთ ჭურჭელი, აღჭურვილობა და პროდუქტები, რომლის გამოყენებასაც ისინი თავისუფლად შეძლებენ.

თუ სივრცე ამის საშუალებას გაძლევთ, გამოყავით სპეციალური ადგილი კულინარიისთვის, სადაც მოათავსებთ სამუშაო მაგიდასა და საჭირო ნივთებს. ასეთ სივრცეში ბავშვები დამოუკიდებლად შეძლებენ საკვების მომზადებას. ასეთი სივრცის არარსებობის პირობებში, გამოიყენეთ ის ადგილი და მაგიდები, სადაც ბავშვები მიირთმევენ და იქ მოათავსეთ საჭირო ნივთები.

სასურველია, რომ კულინარიის აღჭურვილობა კარგი ხარისხის, მოსახერხებელი და მრავალფეროვანი იყოს: სხვადასხვა ზომის თასები და ჯამები, ხის, პლასტმასის, რკინის კოვზები და ჩამჩები, მრგვალთავიანი ბლაგვი დანები, კარგი ხარისხის ერთჯერადი ჭურჭელი, ბოსტნეულის სახეხები და საწურები, სხვადასხვანაირი მოსარევ-ასათქვეფი საშუალებები, სარწყავი კოვზები და ჭიქები, ცომის საჭრელი ფორმები, ნამცხვრის ფორმები, გამოსაცხობი ლანგრები, გასატარებელი, ალუმინის ფოლგა, ცომის გასაბრტყელებლები, მიქსერი, დასაჭრელი დაფები, წინსაფრები და ა.შ.

დაგჭირდებათ გამოსაცხობი ღუმელი და დენის ქურაც, რომელსაც უსაფრთხო ადგილზე დადგამთ. ამ მოწყობილობებთან მუშაობა მხოლოდ უფროსების ზედამხედველობითა და დახმარებითაა ნებადართული. მალფუჭებადი პროდუქტების შესანახად გამოიყენეთ ბაღის მაცივარი, სხვა პროდუქტები კი მოათავსეთ კულინარიის სივრცეში.

უსაფრთხოება!

უსაფრთხოების წესების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულინარიული საქმიანობისას. ყველა მჭრელი ნივთი და ელექტრომოწყობილობა უნდა მოთავსდეს ბავშვებისგან დაცულ ადგილას და გამოიტანოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეთვალყურეობა შეგიძლიათ.

დაიცავით საკვების დამუშავების, კვების ჰიგიენისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესები.

მასალის შეთავაზებამდე ისაუბრეთ ბავშვებთან უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

აუცილებლად გაითვალისწინეთ ბავშვების ინდივიდუალური ჯანმრთელობის საკითხები (ალერგია და საკვებთან შეუთავსებლობა).

გამოწვევების შესაქმნელად გამოიყენეთ დასურათებული მარტივი რეცეპტების ბარათები, რომელთა დამზადებაც ბავშვებთან ერთად შეგიძლიათ. კერძის მომზადებამდე წაუკითხეთ ბავშვებს რეცეპტი, წინასწარ მოამზადეთ ყველა საჭირო ინგრედიენტი და რეცეპტის ბარათთან ერთად განათავსეთ მაგიდაზე, რომელზეც ბავშვები კერძს მოამზადებენ.

ერთ-ერთი ხერხი ბავშვის განვითარების ხელშესაწყობად არის საუბარი და ღია კითხვების დასმა კულინარიის დროს. თავდაპირველად, აღწერეთ, რას აკეთებს ბავშვი; შემდეგ ბავშვს ჰკითხეთ, რას და რატომ აკეთებს. ბავშვის კრიტიკული აზროვნების წახალისება შესაძლებელია მსგავსი შეკითხვების დასმით: „შენი აზრით, რატომ მუქდება ვაშლი?“, „რაში შეიძლება გამოვიყენოთ ლიმონის ქერქი?“, „ყველაზე ძალიან რისი გაკეთება მოგეწონა?“ და ა.შ.



მომზადების შემდეგ წაახალისეთ ბავშვები, გააწყონ მაგიდა, მეგობრებთან ერთად მიირთვან მომზადებული კერძი, შემდეგ კი იზრუნონ ადგილის დასუფთავებაზე, გამოყენებული ნივთების გარეცხვაზე, გამშრალებასა და დალაგებაზე.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების განვითარებას კულინარიის საშუალებით?

მართალია, კულინარიული საქმიანობისას ბუნებრივად ვითარდება ბევრი უნარი, თუმცა ჩვენ შეგვიძლია კონკრეტული ქმედებებითაც შევუწყოთ ხელი ამ უნარების განვითარებას.

ბავშვების მეტყველების გასავითარებლად აქტიურად გამოიყენეთ რეცეპტების ბარათები.

ამავდროულად, მოათავსეთ შესაბამისი წიგნები კულინარიასა და სხვადასხვა საკვების მომზადებაზე კულინარიის კუთხესთან. გაამახვილეთ ყურადღება საჭმლის ყუთების წარწერებზე.

კულინარიული საქმიანობისას, პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა საშუალების მოფიქრებით, დაეხმარეთ ბავშვებს მათემატიკური უნარების განვითარებაში.

შესთავაზეთ მათ გეომეტრიული ფორმის ცომის საჭრელები და სთხოვეთ სხვადასხვა ფორმის ცომების საცხობ ლანგარზე მოთავსება, რაოდენობის გაზომვა, სხვადასხვა პროდუქტის პატარა სასწორზე აწონვა, დაანგარიშება - რამდენი სუფრის კოვზი ფქვილი სჭირდება ნამცხვარს.

წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ, როგორ იცვლება სხვადასხვა ნივთიერება შერევისას. მაგალითად, როგორ სქელდება ცომი ფქვილის დამატებისას, როგორ გარდაიქმნება ჟელატინის ფხვნილი ჟელედ, როგორი გემო აქვს ლიმონათს შაქრით და შაქრის გარეშე, როგორ იყინება ნაყინი და დნება შოკოლადი.

პატარა ქოთნებში დაათესინეთ ბავშვებს მწვანილი, რათა დააკვირდნენ მცენარის ზრდის პროცესს.

შეიტანეთ რეცეპტების ბარათების სიაში სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული საკვების რეცეპტები.

გააცანით ბავშვებს ეკოლოგიის საკითხები - დაახარისხეთ ნარჩენები საკვების, ქაღალდის, პლასტიკატის, შუშისა და მეტალისათვის განკუთვნილ ნაგვის ყუთებში.

შესთავაზეთ მათ საკუთარი ნამცხვრების საკვები დეკორაციებით მორთვა.

წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ სხვადასხვა ტექნოლოგია საკვების მოსამზადებლად.

რა არის დრამატული თამაში

დრამატული თამაში, რომელსაც ხშირად როლურ ან წარმოსახვით თამაშსაც ეძახიან, არის ბავშვის ქცევა, რომლის დროსაც რაიმე როლში გარდასახვას, არსებულისგან რადიკალურად განსხვავებული სიტუაციის, გარემოს წარმოდგენასა და ამ წარმოდგენის შესაბამის თამაშს ცდილობს.

დრამატულ თამაშში ჩართული ბავშვები იღრმავებენ ცოდნას და ივითარებენ სხვადასხვა ღირებულ ცხოვრებისეულ უნარს, რის გამოც თამაშის ამ ტიპს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის განვითარებისთვის. ამიტომ ის განსაკუთრებულად უნდა იყოს ხელშეწყობილი.

რას დავაკვირდეთ?

დააკვირდით ბავშვებს, თუ როგორ იყენებენ და ივითარებენ იმ უნარებს, რომლებიც მნიშვნელოვანია დრამატულ თამაშში ჩართვისთვის:

როლური გარდასახვა

თავდაპირველად ბავშვი მარტივად ბაძავს ახლობლების (დედა, მამა, და, ძმა და სხვა) რამდენიმე ნაცნობ მოქმედებას (აძინებს ბავშვს, აჭმევს ბოთლით). შემდგომ ბავშვი იაზრებს როლის მნიშვნელობას და ამბობს, მე დედა ვარ, კითხულობს გაზეთს, მიდის მაღაზიაში, ირჩევს როლებს გარე სამყაროდან (პოლიციელი, ექიმი, მეხანძრე და ა.შ.) და ბაძავს მათ მოქმედებებს.

ნივთების გამოყენება

თავდაპირველად ბავშვი იწყებს ნივთებით თამაშს, ვითომ კრეფს და ლაპარაკობს ნამდვილი ან სათამაშო ტელეფონით. შემდგომში იყენებს რაიმე ნივთს წარმოსახვითი ნივთის სანაცვლოდ, მაგ.: კუბს, როგორც

მობილურ ტელეფონს. იყენებს ამ ნივთებს თამაშის სხვადასხვა საჭირო ეპიზოდებში - ვთქვათ, ურეკავს ექიმს, რადგან ბავშვი ავადაა.

მოქმედებების იმიტაცია

თავდაპირველად ბავშვი ბაძავს მარტივ მოქმედებებს, აკეთებს ამ მოქმედებებს ცალკეულ ეპიზოდებში, მაგალითად, ამოძრავებს უთოს წინ და უკან. შემდგომში ამ მოქმედებებს აკეთებს თამაშის დროს საჭირო ეპიზოდებში. მაგალითად, აუთოვებს კაბას, რომ კონცერტზე ჩაიცვას.

დროის ხანგრძლივობა

თავდაპირველად თამაში გამოიხატება მხოლოდ ხანმოკლე ერთეული მოქმედებით, მოგვიანებით კი ბავშვი თამაშობს ათ წუთზე მეტი დროის განმავლობაში.

ინტერაქცია

თავდაპირველად ბავშვი თამაშობს მარტო ან პარალელურად სხვა ბავშვებთან კომუნიკაციის გარეშე. შემდგომში კი ბავშვი შედის ინტერაქციაში და თამაშობს ერთობლივად სხვა ბავშვებთან, არის მძღოლი ან მგზავრი ავტობუსში, ყიდულობს ბილეთებს და ასე შემდეგ.

ვერბალური კომუნიკაცია

თავდაპირველად ბავშვის ვერბალური კომუნიკაცია დაკავშირებულია ნივთებთან, „მომიტანე ბურთი“,ან „ჯერ მე ავიღე ეს მანქანა“. შემდგომში კი ერთვება დიალოგში თამაშის თემიდან გამომდინარე (მაგ.: „რას მიირთმევთ, გაქვთ ხაჭაპური?“ დიახ, ხაჭაპური და წვენები“)

როგორ ვქმნით გამოწვევებს?

დრამატული თამაშისთვის ჯგუფში უნდა გამოიყოს სივრცე და აღიჭურვოს ისეთი მასალით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვების წარმოსახვითი უნარების განვითარებას. ბავშვებმა უნდა შეძლონ მასალისა და მოწყობილობების თავისუფლად გადაადგილება და გამოყენება.

მაქსიმალურად შეუწყვეთ ხელი ბავშვების მიერ მიღებული გამოცდილების გამოვლენას დრამატული თამაშის საშუალებით. ეს შეიძლება გააკეთოთ სივრცის მოწყობითა და შესაბამისი ატრიბუტების შეტანით. ბავშვებს

უნდა ჰქონდეთ როლებში გარდასახვის და თამაშის საშუალება, რისთვისაც საჭიროა:

- ბავშვის ზომის სათამაშო სამზარეულოს ავეჯი: ღუმელი, ონკანი, სკამი და მაგიდა, საუთოო მაგიდა, უთო, საშრობი, თოჯინების ეტლი, საწოლი, დიდი ზომის სარკე, მაღაზიის დახლი, სალარო აპარატი, თეჯირი.
- სხვადასხვა ზომის, სეზონისა და მოდელის ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, აქსესუარები და სამკაული.
- სათამაშო ჭურჭელი და სამზარეულოს აქსესუარები, თოჯინები, საქაღალდე, ბლოკნოტი, საფულე, ხელჩანთა, პლასტმასის საკვები, ნამდვილი საკვების ცარიელი ყუთები და ქილები.
- ნამდვილი ძველი ნივთები: ტელეფონი, ფოტოაპარატი, მაღვიძარა, კლავიატურა, ფენი, საბეჭდი მანქანა.
- კალენდარი, ტელეფონების წიგნი, რეცეპტების წიგნი.
- სახლის აქსესუარები: ფარდა, სუფრა, ხალიჩა, ქოთნის მცენარეები.

სათამაშოების გარდა მნიშვნელოვანია ისეთი ღია მასალა, რომელთა გამოყენებასაც ბავშვები საკუთარი ფანტაზიით შეძლებენ და დაამზადებენ სხვადასხვა საჭირო მოწყობილობას თამაშისთვის - ქსოვილის დიდი ნაჭრები, მუყაოს ყუთები, თოკები და სხვა.

საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად და თამაშებში გამოსაყენებლად ასეთი მასალებისგან ბავშვებს დიდი მაკეტების შექმნა შეუძლიათ.

გარემოს შექმნა პროექტორის გამოყენებითაცაა შესაძლებელი. გაუშვით კედელზე სლაიდი რაიმე შესაბამისი ხედით. მაგალითად, წყალქვეშა სამყაროს, კოსმოსის, ქალაქისა და სოფლის ხედები, მდინარისა და მთების პეიზაჟი თუ სხვა.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების განვითარებას დრამატული თამაშის საშუალებით?

ბავშვების მეტყველების განსავითარებლად, კარგი იქნება, თუ დაასახელებთ და ხშირად გაიმეორებთ დრამატული თამაშისთვის საჭირო ახალი რეკვიზიტების სახელებს (ცეცხლმაქრი, ჩემოდანი, თერმომეტრი და ა.შ.). წაუკითხეთ ბავშვებს ისეთი ამბები, რომლებსაც გამოიყენებენ დრამატულ თამაშებში (ვიზიტზე ექიმთან, ფეხსაცმელების მაღაზიაში და ა.შ.).

ნაბეჭდის, ნაწერის, ასოებისა და სიტყვების გასაცნობად, თამაშის დროს შესთავაზეთ ბავშვებს მრავალფეროვანი საწერი საშუალებები: ბლოკნოტები, სიები, საკანცელარიო ნივთები, კონვერტები, ჟურნალები და ა.შ. ჩაერთეთ თამაშში და აჩვენეთ, როგორ გამოიყენონ თამაშისას საწერი საშუალებები.

თამაშისას შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ტიპის ნაბეჭდი მასალის - სატელეფონო ცნობარი, სამზარეულოს რეცეპტების წიგნი, გაზეთები, ჟურნალები - გამოყენება.

თამაშის დროს სხვადასხვა საკითხზე ყურადღების გამახვილებით ეხმარებით ბავშვებს პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებაში. ჰკითხეთ, რა შეიძლება გამოიყენონ საჭმლის იმიტაციისათვის; როგორ მოიქცნენ, თუ ორივეს ექიმობა უნდათ და ა.შ.

გამოიყენეთ რეკვიზიტები მათემატიკური უნარების გასავითარებლად: ფული, სასწორი, სალარო, კალკულატორი და დასვით ასეთი ტიპის კითხვები: „რამდენი თეფში გვჭირდება მაგიდის გასაშლელად?“

წაახალისეთ ბავშვების ინტერესი გაზომვის მიმართ საზომი საშუალებების შეთავაზებით: სახაზავი, სიმაღლის საზომი, სამკერვალო სანტიმეტრი, ქვიშის საათი, დიდი სასწორი.

მეცნიერული უნარების გასავითარებლად შეიტანეთ თამაშების ადგილას ცოცხალი მცენარეები, იმსჯელეთ სასარგებლო საკვებზე - „სტაფილოს და ჭარხლის წვნიანი გავუკეთოთ დათუნას, უფრო სასარგებლოა“.

თამაშისას რუკისა და მოგზაურობების აღჭურვილობების, ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციული რეკვიზიტების შეთავაზებით ბავშვები ეცნობიან სხვადასხვა ხალხსა და მათ კულტურას.

თამაშისთვის საჭირო რეკვიზიტების დამზადებით ბავშვები ივითარებენ შემოქმედებით უნარებს. არ უკარნახოთ ბავშვებს, რისი გაკეთება შეუძლიათ. წაახალისეთ მათი ფანტაზია კითხვების დასმითა და მრავალფეროვანი მასალის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით.

ხელი შეუწყვეთ ტექნოლოგიური უნარების განვითარებას მრავალფეროვანი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით - ფოტოაპარატი, სხვადასხვანაირი ტელეფონი, საბეჭდი საშუალებები, კალკულატორი და კომპიუტერი ასეთი საშალებების მაგალითებია.

მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ: დრამატული თამაშები განსხვავდება ინსცენირებისგან. დრამატული თამაშის დროს ბავშვებს არ ვაძლევთ პირდაპირ ინსტრუქციებს: " შენ დედა იყავი და ბავშვებს სადილი მოუმზადე" ან არ ვთხოვთ, დადგან სცენები სხვადასხვა ზღაპრიდან: " მოდი, სამი დათვის ზღაპარი გავითამაშოთ". ჩვენ უბრალოდ ვაძლევთ მათ თავისუფალი თამაშის საშუალებას, ხოლო მრავალფეროვანი მასალის შეტანითა და შესაფერისი გარემოს მოწყობით ხელს ვუწყობთ სხვადასხვა უნარის განვითარებას.

თუკი დაკვირვებისას აღმოაჩენთ, რომ ბავშვების თამაში ჩიხში შედის და უჭირთ სიუჟეტის განვითარება, შეგიძლიათ შესთავაზოთ გამოსავალი ან ჩაერთოთ, როგორც მოთამაშე გარკვეული როლის მორგებით. მაგალითად, ასე: „ექიმო, გიო რომ გასინჯე, ფილტვების ანთება ხომ არ აქვს? რეცეპტი ხომ არ გამოვუწერო? თუ ჯერ რენტგენის გადასაღებად წავიყვანო?"

დაკვირვებისას, შესაძლოა, შეესწროთ იმგვარ თამაშსაც, რომელიც არ მოგწონთ და დისკომფორტს გიქმნით. არ არის გამორიცხული, ბავშვები ბაძავდნენ უფროსების ქცევას, რომელიც შეუფერებელია მათი ასაკისათვის. ასეთ დროს შეგიძლიათ ჩაერთოთ თამაშში და ყურადღება გადაატანინოთ სხვა რამეზე. მაგალითად, ასე: „ძალიან მომშივდა. აბა, სადილს ვინ გამიმზადებს? უი, პროდუქტები გაგვითავდა? მოდი, მაღაზიაში წავიდეთ."

თუკი ბავშვები აგრესიას გამოხატავენ, ეჩხუბებიან ან ცემენ თოჯინას, შეეცადეთ, არ განსაჯოთ და უბრალოდ შესთავაზოთ ურთიერთობის სწორი ფორმა: „შენ შვილს აღარ უნდა ჭამა და ტირის? შენი აზრით, როგორ გაჩერდება?" თუკი ბავშვი ვერაფერს მოიფიქრებს, მიაწოდეთ იდეა: „ასეთ დროს ზოგიერთი დედა თავის შვილს ეხუტება და ნაზად არწევს ხოლმე".

აღმზრდელები ხშირად გამოთქვამენ წუხილს ბავშვებში აგრესიული თამაშების (ომი, ჩხუბი და ა.შ.) გამო, რაც წახალისებულია ტელევიზორში ან კომპიუტერში ნანახი ბრძოლის სცენებიდან. ამ შემთხვევაში ყურადღება გაამახვილეთ პოზიტიურ როლებზე (ადამიანების დახმარება და გადარჩენა) და შესაბამის გმირებზე (მეხანძრე, სუპერმენი და ა.შ.).

ისეთი შემთხვევებისას, როდესაც უკმაყოფილო მშობლები გსაყვედურობენ, რადგან არ სურთ მათმა ვაჟიშვილებმა თოჯინებით ითამაშონ, აუხსენით, რომ ამ ასაკში ბავშვები დრამატულ თამაშს სამყაროს უკეთ შესამეცნებლად იყენებენ და ბაძავენ მათთვის ძვირფას ადამიანებს (მაგ. მამა, რომელიც არწევს უმცროს ძმას დასაძინებლად), ივითარებენ სხვადასხვა უნარებს, რაც სრულიად ნორმალური ქცევაა ამ ასაკში.

სენსორული თამაშები

ბავშვები და სენსორული თამაშები

სენსორული თამაშები ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობაა, რომლის დროსაც უვითარდებათ შეგრძნებები და შეიმეცნებენ გარესამყაროს. სენსორული თამაშია ტალახის ზელვა, გვირაბების ქვიშაში გაყვანა, საღებავების ერთმანეთში შერევა, სათამაშოების რეცხვა, საპნის აქაფება, ცილის თქვეფა და გასინჯვა, სუნელების დაყნოსვა, სხვადასხვა ტიპის ხმაურისა და მუსიკის მოსმენა, ნაირ-ნაირ ფერთა და სხვადასხვაგვარი სიმძლავრის განათების აღქმა, შუქჩრდილებზე დაკვირვება, საკვების დაგემოვნება. სენსორული თამაშები დაკავშირებულია შეხებასთან, მოსმენასთან, ყნოსვასთან, გემოს გასინჯვასთან და დანახვასთან.

ამგვარი თამაშები ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ, შემეცნებით განვითარებას და, თერაპიული დატვირთვის გამო, უქმნის მას პოზიტიურ განწყობას. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბაღებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სენსორულ თამაშებს და არ იყენებენ მათ. სენსორული თამაშების უგულვებელყოფის ძირითად მიზეზად სახელდება ფაქტი, რომ ამ ტიპის თამაში „ჭუჭყიანია“ და საგანმანათლებლო პერსონალისთვის ის მხოლოდ დროის დაკარგვა და ფუჭი, არაპროდუქტიული საქმიანობაა, რაც არასწორია, რადგან სენსორული თამაშები თავის ტვინის იმ ნეირონების დაკავშირებას უწყობს ხელს, რომლებიც მომავალში სწავლის ხელშემწყობია.

რას დავაკვირდეთ?

ვაკვირდებით:

- როგორ უსმენს და ამოიცნობს ბავშვი ხმაურს;
- განასხვავებს ხმამაღალ, ხმადაბალ, ნელ, სწრაფ მელოდიას;
- როგორ ეხება და სინჯავს სხვადასხვა ზედაპირისა და მასალის საგნებს;
- როგორ ცდილობს ნივთების შეხებით ამოცნობას;
- განასხვავებს ფაქტურებს (პრიალა, ხორკლიანი, ნესტიანი, ხავერდოვანი და ა.შ.);
- თამაშობს „ჭუჭყიან თამაშებს“ (წყლით, ქვიშით, მიწით და სხვა) და რეაგირებს სხვადასხვა შეგრძნებაზე (ტემპერატურა, გემო და ა.შ.)
- ყნოსავს საგნებს და ცდილობს ყნოსვის შეგრძნების საშუალებით საგნების ამოცნობასა და დახარისხებას;
- უსინჯავს გემოს სხვადასხვა საკვებს, ასახელებს და განასხვავებს გემოებს;
- აღიქვამს სხვადასხვა ტიპის განათებას და ფერებს;
- აღიქვამს სინათლეს, სიბნელეს, ნახევარტონებს, მკვეთრ, ნათელ, მუქ, მკრთალ ფერებს.



რას ვაკეთებთ სენსორული თამაშების ხელშესაწყობად?

სენსორულ თამაშებში ბავშვის ჩართვის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია შესაბამისი ფიზიკური გარემო:

- ადგილი, რომლის ჩაბნელება და სხვადასხვა ტიპის განათების დამონტაჟებაა შესაძლებელი;
- სივრცე შესაბამისი აღჭურვილობით, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სენსორული მასალით (ქვიშა, თიხა, წყალი და ა.შ.) თამაში როგორც მაგიდასთან, ისე იატაკზე, რომელიც ადვილად იწმინდება სველი წესით;
- სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ, მოუსმინონ სხვადასხვა ხმებს ან თავად ააჟღერონ საგნები, მუსიკალური ინსტრუმენტები;

სენსორული თამაშების და სტიმულირებისთვის გვჭირდება შემდეგი რესურსები:

- ჩვეულებრივი და მაგნიტური ქვიშა;
- წყალი, ყინული, ქაფი;
- თიხა, პლასტილინი, საძერწი ცომი;
- სიმინდის ფქვილი, სახამებელი;
- სხვადასხვა სახის ბურღული - მანი, ხორბალი, ბრინჯი, წიწიბურა და ა.შ.
- სხვადასხვა კონსისტენციის, მათ შორის - ხელით სახატავი საღებავი;
- სენსორული წიგნები;
- სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის ქსოვილი;
- სხვადასხვა ფერის, ფორმისა და მასალის კუბები;
- სხვადასხვა ტიპის განათება;

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რესურსისა, დაგვჭირდება შესაბამისი ინვენტარი:

- სინათლის მაგიდა;
- სუნელებით სავსე ჭურჭელი;
- ბუნებრივი მასალა - ბალახი, მიწა, ფოთლები, წიწვები, გირჩები და ა.შ.;
- სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი.

ტექნოლოგიების გამოყენება

რა არის ტექნოლოგიების გამოყენება?

ტექნოლოგიების გამოყენება არის სწავლება იარაღების, მანქანების, ხალსაწყოების, კომპიუტერების და სხვა ტექნიკის შესახებ. ტექნოლოგიების გამოყენება ეხმარება ბავშვს პრობლემების მარტივად გადაჭრაში. ბავშვები სწავლობენ ტექნოლოგიის გამოყენებას მათ მუშაობაზე დაკვირვებით.

სკოლამდელი ბავშვი სახლსა და ბაღში სწავლობს არსებული მარტივი ტექნიკის იმ დანიშნულებით გამოყენებას, რომლითაც მას სახლში და ბაღში იყენებენ. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისთვის ტექნოლოგიები შეიძლება სამყაროსთან კონტაქტის საშუალება იყოს.

როგორ ამოვიცნოთ ტექნოლოგიებით დაინტერესებული ბავშვი?

თუკი ბავშვი ინტერესდება და არკვევს, რა სახის ინსტრუმენტი სჭირდება კონსტრუქციების ასაშენებლად, იყენებს კომპიუტერის მაუსს, სთავაზობს უფროსს ვიდეოს გადაღებას სეირნობისას, „მაღაზიობანას“ თამაშისას ვითომ–ვითომ იყენებს საქონლის სკანერ აპარატს, აღწერს, როგორ იყენებდნენ კომპიუტერს სახანძრო სადგურში, ესე იგი თქვენ წინაშე ტექნოლოგიებით დაინტერესებული ბავშვია.

რას დავაკვირდეთ?

როდესაც ბავშვი ჩართულია ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში, ჩვენ ვაკვირდებით:

- როგორ იყენებს კომპიუტერის მაუსს, კლავიატურას, სენსორულ ეკრანს;
- იყენებს თუ არა სახატავ პროგრამას ნახატის შესაქმნელად;
- შეუძლია თუ არა ჩართოს და გამორთოს ტელევიზორი;
- როგორ იწერს რაიმე ამბავს ხმის ჩამწერზე და მოსმენას სთხოვს სხვებს;
- კრეფს თუ არა საკუთარ სახელს ან რაიმე სიტყვას კლავიატურაზე;
- იცის თუ არა, რომ სახატავად საჭიროა ფანქარი და საღებავი, ამბის დასაწერად - საწერი კალამი, ხოლო მწერებზე დასაკვირვებლად - გამადიდებელი შუშა;
- იყენებს თუ არა ადეკვატურად ლუპას, თეფშებიან სასწორს, ბინოკლს და ა.შ.

როგორ ვქმნით გამოწვევებს?

ბავშვების მიერ ტექნოლოგიების გამოყენების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, გვქონდეს სხვადასხვა სახის ხელსაწყო და ტექნიკა, რომლის გამოყენებაც უსაფრთხოა ბავშვებისთვის.

შეიტანეთ ჯგუფში სათამაშო ტელეფონი, კამერა, მიკროფონი, გამადიდებელი შუშა, თეფშებიანი სასწორი, ბინოკლი, რათა ბავშვებმა შეძლონ ამ ხელსაწყოებით მანიპულირება.

აჩვენეთ ბავშვებს, უსაფრთხოდ როგორ გამოყენონ ტექნოლოგიები - როგორ ჩართონ ვიდეო, აუდიო მაგნიტოფონი, ტელევიზორი და გააცანით მოხმარების წესები.

განათლების ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ კომპიუტერი არ არის გამართლებული სკოლამდელი ასაკისათვის, თუმცა კვლევების თანახმად, თუ კომპიუტერს გამიზნულად და ასაკისთვის შესაბამისად გამოვიყენებთ, ძალიან მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაში დაეხმარება ბავშვს. ეს უნარებია: სტრუქტურირებული ცოდნა, გრძელვადიანი მეხსიერება, ვერბალური და

არავერბალური უნარები, პრობლემის გადაჭრა, აბსტრაქტული აზროვნება, სოციალური უნარები და ა.შ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც კომპიუტერის სწორად და დასახული მიზნების შესაბამისად გამოყენებას, ისე მისი განთავსების წესებს ჯგუფში.

კომპიუტერის ეკრანი უნდა უთანაბრდებოდეს ბავშვის თვალის სიმაღლეს, რათა მათ არ მოუწიოთ ზევით ყურება. თვალი ეკრანიდან დაახლოებით 50 სანტიმეტრით უნდა იყოს დაშორებული. კლავიატურა და მაუსი უნდა განათვასოთ ბავშვის იდაყვის სიმაღლეზე. კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი პროგრამები უნდა იყოს ნახატისა და წარწერის სახით.

ბავშვებს კომპიუტერის გამოყენება შეუძლიათ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოსაძიებლად (მაგალითად, როცა სჭირდებათ ფოტომასალები ექსპერიმენტების ჩატარებისას და კვლევისას, რაც ეხმარება ბავშვებს კითხვებზე საპასუხოდ), შემეცნებითი და განმავითარებელი თამაშების სათამაშოდ და სხვა. უაღრესად მნიშვნელოვანია ხარისხი იმ პროგრამებისა, რომლებსაც იყენებენ ბავშვები თამაშებისთვის. მხოლოდ გრაფიკული

გამოსახულება და გახმოვანება არ არის ხარისხის ინდიკატორი, გასათვალისწინებელია შინაარსი. იმ შემთხვევაში, თუკი ტენდენცია საშიშად გეჩვენებათ და თვლით, რომ კომპიუტერის გამო ბავშვები ნაკლებად არიან ჩართული სხვა ტიპის თამაშებსა და საქმიანობებში, შეზღუდეთ ეკრანთან გატარებული დრო.

ისაუბრეთ ბავშვებთან მათ გამოცდილებაზე და წაახალისეთ, აღწერონ, გაგიზიარონ, რას აკეთებენ კომპიუტერთან „მუშაობისას“. ხელი შეუწყვეთ, ისწავლონ მეტი კომპიუტერის და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების განვითარებას ტექნოლოგიების საშუალებით?

მეტყველების განვითარებისთვის შეარჩიეთ სპეციალური პროგრამები, რომლებშიც მოცემულია ანბანი, სიტყვები და ნახატები. აჩვენეთ ბავშვებს ელექტრონული საბავშვო წიგნები და მიეცით ბეჭდვის საშუალება.

რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარებისთვის, შეარჩიეთ თამაშები ციფრებსა და გეომეტრიულ ფორმებზე.

ბავშვებს კომპიუტერის გამოყენება შეუძლიათ ცხოველებისა და მცენარეების შესახებ გაკეთებული ვებ-გვერდების დასათვალიერებლად, საინტერესო შემეცნებითი ვიდეოების სანახავად; შესაძლოა, დააკვირდნენ ზოოპარკის

ზოგიერთ მაცხოვრებელს ან აკვარიუმებს, შეამოწმონ ამინდი სპეციალური საიტების მეშვეობით და ა.შ.

დაეხმარეთ ბავშვებს ელექტრონული ფოსტით გამოყენებით სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებაში და მათთან ინტერაქციისთვის. შესაძლოა, ბავშვებმა მოიფიქრონ საინტერესო შეკითხვები, რომლებსაც დაუსვამენ თანატოლებს.

გამოიყენეთ კომპიუტერი მუსიკის საბაზისო კომპონენტების გასაცნობად და მიეცით ბავშვებს საშუალება, სპეციალური პროგრამის მეშვეობით თავად შეთხზან მუსიკა.

გააცანით ბავშვებს ხელოვნების ნიმუშები, წაახალისეთ, ითამაშონ ფერით, ფორმებით და შუქ-ჩრდილებით.

ვიზუალური ხელოვნება

ბავშვები და ვიზუალური ხელოვნება

ბავშვი ადრეული ასაკიდანვე აკვირდება საგნებს, ათვალიერებს, აღიქვამს მათ ფერს, ფორმას, ზომას, ცდილობს კვალი დაატოვებინოს ფანქარს ფურცელზე და აკვირდება ამ ნაკვალევს. უფრო მოგვიანებით იწყებს მიზანმიმართულ ჯღაბნას, ხოლო შემდგომ მარტივი, სქემატური ფორმების გამოსახვას.

ამასთან ერთად, ბავშვი მოსინჯავს სხვადასხვა სამხატვრო მასალას: შეურევს ერთმანეთს ფერებს, ინტენსიურ ფერს აზავებს წყლით და აკვირდება შედეგს; ცდილობს, საღებავი ფურცელზე დაიტანოს ფუნჯით, ზოგჯერ - ჯოხით, ერთად შეკრული ბალახით ან ფოთლებით; სურს, საგნებს ნაკვალევი

დაატოვებინოს ქვიშაში, მიწაზე, საძერწ მასალაზე; ჭრის, ზელს პლასტილინს, ურევს ფერებს, უმაგრებს სხვადასხვა დეტალს გამოძერწილ ფორმებს; აწებებს ფურცელზე მცირე ზომის საგნებს, ფურცლებს, ქსოვილებს.

ნამუშევრის შექმნასთან ერთად ბავშვი აკვირდება სხვის შემოქმედებას, ცდილობს, გაიმეოროს მონასმი და ფერი. ის საუბრობს იმ ემოციებზე, რომელსაც აღძრავს მასში სხვისი ნამუშევარი, ან იმ განწყობებზე, რომელიც, მისი ვარაუდით, ჰქონდა მხატვარს.

ზემოთ აღწერილი საქმიანობების განხორციელებისას, აღნიშნული მასალის შემოქმედებითად გამოყენებისას, ბავშვი ჩართულია ვიზუალურ ხელოვნებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მისი სრულფასოვანი განვითარებისთვის.

ვიზუალური ხელოვნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებაში. ხელოვნების საშუალებით ვითარდება მისი წვრილი მოტორიკა, კომუნიკაციური და სოციალურ-ემოციური უნარები, და მეტყველება. ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, გადაჭრას პრობლემა, იყოს

შემოქმედებითი, მოსინჯოს ახალი იდეები, გამოსცადოს მასალა, შეიტყოს კულტურული მრავალფეროვნების შესახებ. ვიზუალური ხელოვნება კარგი საშუალებაა ბავშვის თვითშეფასებაზე პოზიტიური ზემოქმედებისთვის, დამოუკიდებლობის განვითარებისთვის, არჩევანის გაკეთების შესწავლისთვის, კონცეტრაციისა და სიბეჯითის გაღრმავებისთვის.

ადრეულ ასაკში ვიზუალური ხელოვნება ორი მიმართულებით ხორციელდება - ბავშვი თავად ქმნის ნამუშევარს და აღიქვამს სხვების მიერ შექმნილს. აქედან გამომდინარე, ამ კურიკულუმის ფარგლებში, ბავშვებს უნდა მიეცეთ სხვადასხვა მასალის გამოყენებით ვიზუალური ხელოვნების ნიმუშების შექმნის საშუალება - ეს შეიძლება იყოს სამხატვრო მასალა, მეორადი, ან ბუნებრივი მასალა. ბავშვს ასევე უნდა შევთავაზოთ ვიზუალური ხელოვნების ნიმუშები - მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციები, ფოტოები, ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების ნიმუშები, დასურათებული წიგნები, ღია ბარათები, პოსტერები, რათა შეძლოს სხვისი ხელოვნების და შემოქმედების აღქმა.

რას ვაკვირდებით?

ვაკვირდებით:

- როგორ ნაკვალევს ტოვებს ბავშვი ფანქრით, ფუნჯით;
- როგორ ხატავს სხვადასხვა ფიგურებს, მარტივ კომპოზიციას;
- როგორ გამოხატავს ხაზის, ფორმისა და ფერის საშუალებით ემოციას, გრძნობებს, ფიქრებს;
- რომელ მასალას ირჩევს უმეტესად, რას ანიჭებს უპირატესობას;
- როგორ იყენებს სხვადასხვა მასალას (როგორც სამხატვროს, ისე -მეორადსა და ბუნებრივს);
- რა ფორმით და უმეტესწილად რომელი მასალით ცდილობს საკუთარი აზრის გამოთქმას;
- რამდენად თავისუფლად იყენებს მასალებს საკუთარი იდეების გამოსახატად.

რას ვაკეთებთ ვიზუალური ხელოვნების ხელშესაწყობად?

ვიზუალური ხელოვნებით დაინტერესებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი სივრცის მოწყობა როგორც ჯგუფის ოთახში, ისე -ეზოში, რაც სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ ბავშვებს ჯგუფის ოთახის ნებისმიერ ადგილას ჰქონდეთ ხატვის საშუალება - კუბების სივრცეში, დრამატულ სივრცეში

და ა.შ. ქვევით აღწერილი სივრცის მოწყობის სტრატეგიები ეხება როგორც ჯგუფს, ისე - ეზოს.

სივრცე, სადაც ბავშვი ვიზუალური ხელოვნებით დაკავდება, აუცილებლად კარგად უნდა იყოს განათებული და სხვადასხვა ტიპის განათების დამატების საშუალებს იძლეოდეს. ბავშვმა უნდა შეძლოს ზოგჯერ ბუნებრივ განათებაზე ხატვა, ხანაც - სპეციალურ, ხელოვნურ ან ულტრაიისფერ განათებაზე. შესაძლოა, შემოქმედებითი საქმიანობებისთვის სივრცეში საჭირო გახდეს სარკეების დამატება.

ვიზუალური ხელოვნების სივრცე სხვადასხვა სიბრტყეებით უნდა იყოს აღჭურვილი - ეს შეიძლება იყოს მაგიდა, კედელი, იატაკი, მოლბერტი ან სინათლის მაგიდა.

ბავშვის ვიზუალურ ხელოვნებაში ჩასართავად დაგვჭირდება სხვადასხვა ტიპის საქმიანობების განხორციელება:

- ბავშვებისთვის მრავალფეროვანი ტექნიკებისა და მასალის გამოყენების შეთავაზება (შტამპებით ბეჭდვა, პაპიე-მაშე, ტრაფარეტით ბეჭდვა და ა.შ.);
- ხელოვანის ან ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშების გაცნობა.

ვიდრე ვიზუალური ხელოვნებისთვის საჭირო რესურსზე ვისაუბრებთ, ხაზი გავუსვათ ღია თაროებზე რესურსების ორგანიზებულად განთავსების მნიშვნელობას - აუცილებელია მასალის ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე დალაგება. ეზოსთვის მიზანშეწონილია „ხელოვნების სკივრის“

გამოყენება - ყუთი, რომელშიც მოვათავსებთ ეზოსთვის განკუთვნილ სახატავ მასალას.

აქვე გთავაზობთ ჩამონათვალს ვიზუალური ხელოვნებისთვის საჭირო იმ რესურსებისა, რომლებიც მუდმივად უნდა გვქონდეს მომარაგებული:

- სამხატვრო მასალა: სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფუნჯები, საღებავები - აკვარელი, გუაში, აკრილი, სხვადასხვა ფაქტურისა და ფერის ქაღალდი;
- მასალა ძერწვისთვის: ფერადი პლასტილინი, თიხა, მარილიანი ცომი, საძერწი დაფები, ჩხირები ფორმის გამოსაყვანად;
- ბუნებრივი რესურსი: სხვადასხვა სახის მარცვლეული, ბურღულეული, ყავის მარცვლები, კვერცხის ნაჭუჭი, გამხმარი ფოთლები, ყვავილები, ნიჟარები და ა.შ. მეორადი რესურსი: საათის ნაწილები, საქსოვი ძაფები, ქსოვილის ნაჭრები, ღილები, ძველი ბიჟუტერია, მეორადი შპალერი და ა.შ.
- სხვადასხვა მასალა: ბინტი ან მარლა, ბამბა, ბრჭყვიალები, სათევზაო ბადე, მაქმანები, ხის სამაგრები, ფაფუკი მავთულის ღეროები, ზონრები, ბაფთები, ბაწარი და ა.შ.
- წიგნები მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციებით.

თავი 4. შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგება

წინა თავებში გავეცანით იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ვიყენებთ ბავშვების გასაცნობად და მათი ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების დასადგენად. ამასთანავე, ვნახეთ, რა მეთოდოლოგიური სტრატეგიებით ვპასუხობთ მათ ინტერესებს სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად. თუმცა, ვინაიდან ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და უნიკალური შესაძლებლობები აქვთ, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ შევეხოთ იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მოვარგოთ ბაღში მიმდინარე პროცესები ცალკეული ბავშვის თავისებურებებს. ამის საშუალება კი კურიკულუმის ინდივიდუალიზაციაა.

როგორც პირველი წიგნის დასაწყისში განიმარტა, კურიკულუმის ინდივიდუალიზაცია ბაღში მიმდინარე ყველა პროცესის ყოველი ბავშვის თავისებურებებზე, შესაძლებლობებზე, განვითარების დონეზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებას გულისხმობს. ინდივიდუალიზაციის წარმატებულად წარმართვისთვის საგანმანათლებლო პერსონალი კარგად უნდა იცნობდეს ბავშვებს. საკითხზე - როგორ გავიცნოთ ბავშვები, - წინა თავებში დეტალურად ვისაუბრეთ. აქ კი განვიხილავთ ინდივიდუალიზაციის მეტად მნიშვნელოვან ეტაპს, რომელსაც ადაპტირება ეწოდება. ადაპტირება სწორედ ის საფეხურია, როდესაც ჩვენ გარკვეული ცვლილებები შეგვაქვს პროცესებში დადგენილი ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების მიხედვით. მეტი თვალსაჩინოებისთვის, უპრიანია, ადაპტირების სტრატეგიები კონკრეტული შემთხვევების მიხედვით განვიხილოთ და ვნახოთ, როგორ იქცევა საგანმანათლებლო პერსონალი სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისა და შესაბამისი გამოცდილებების შეთავაზებისთვის.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საჭიროება შეიძლება იმდენი იყოს, რამდენი ბავშვიცაა ჯგუფში, სურათის უფრო ნათლად დასანახად, განვიხილავთ რამდენიმე ჯგუფს, რომლებსაც სხვადასხვა საჭიროებები შეიძლება

გააჩნდეთ. ქვემოთ მოცემული სია არ არის სრული და მოიცავს მხოლოდ რამდენიმე სპეციალურ საჭიროებას, რომლებიც შედარებით ხშირად გვხვდება პრაქტიკაში.

1. **ბავშვები, რომელთათვისაც ქართული არის მეორე ან უცხოური ენა**
2. **ბავშვები, რომელთაც გადატანილი აქვთ კონკრეტული ტრავმა**
3. **განსაკუთრებული მონაცემების მქონე ბავშვები**
4. **განვითარების სირთულეების მქონე ბავშვები**
5. **რთული ქცევის მქონე ბავშვები**
6. **მორცხვი ბავშვები**
7. **სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები**

რთულად წარმოსადგენია, მაგრამ თეორიულად შესაძლებელი, რომ ამ საჭიროებების მქონე არც ერთ ბავშვს არ შევხვდეთ პრაქტიკაში. უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ გვყავდეს ბავშვები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ - მაგალითად ისინი, რომლებიც არაქართულენოვანი და განსხვავებული კულტურის მატარებელი ოჯახებიდან მოდიოდნენ, გადატანილი ჰქონდეთ ემოციური ტრავმა, ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ ოჯახში იზრდებოდეს და ამავდროულად, ქცევითი დარღვევები აღენიშნებოდეს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: რომელიმე ჯგუფისათვის ბავშვის მიკუთვნება მხოლოდ პირობითია. ამა თუ იმ ჯგუფში ბავშვების „განაწილება“ მხოლოდ ჩვენთვის გვჭირდება, რათა სწორად დავგეგმოთ, კონკრეტულ ბავშვს მოვარგოთ და გაგვიადვილდეს საუკეთესო გამოცდილების შეთავაზება. დაუშვებელია ბავშვების დაყოფა საჭიროებების მიხედვით და ცხადია, არასდროს მოვიხსენიებთ ბავშვებს მათი საჭიროებების მიხედვით.

ბავშვებს, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული, უფრო მეტი და ინტენსიური დახმარება სჭირდებათ ჩვენგან საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოსავლენად. ვინაიდან საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა, ხშირად გვხვდება ასეთი ბავშვებიც, რომლებიც, შესაძლოა, ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და ცხოვრობენ ისეთ ადგილებშიც, სადაც ქართველი და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები გვერდიგვერდ სახლობენ. ასევე, ვხვდებით ეთნიკურად ქართველ ბავშვებს, რომელთა ოჯახებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ და ცოტა ხნის წინ დაბრუნდნენ საქართველოში. შესაბამისად ამ ბავშვებისთვისაც ქართული შეიძლება მეორე ან უცხო ენა იყოს. ასევე გვაქვს შერეული ეთნიკური ოჯახების შემთხვევები, როდესაც დედა ქართველია და მამა არაქართველი ან პირიქით. ამ ბავშვების განსაკუთრებული საჭიროება შეიძლება იმაში გამოიხატებოდეს, რომ მათ არ იციან ან ცუდად იციან ის ენა, რომელზეც მიმდინარეობს პროცესები ბაღში. ქართული ენის ცუდად ცოდნა ან არ ცოდნა გარკვეულ სირთულეებს იწვევს ბაღში. ბავშვები ნაკლებად არიან ჩართული სწავლისა და განვითარების ხელშემწყობ პროცესებში, უჭირთ საკუთარი პოტენციალის გამოვლენა და ურთიერთობების დამყარება; ეძნელება ახსნა, რა უნდა, რა უჭირს, შესაბამისად, შესაძლოა, მისი მოთხოვნები და საჭიროებები მუდმივად უგულებელყოფილი იყოს, რაც კიდევ უფრო აღიზიანებს ბავშვს და მის ქცევაზე აისახება.

უაღრესად მნიშვნელოვანია, ბავშვი ხედავდეს, რომ ბაღში მისი მშობლიური ენა და ოჯახური გარემო არ არის უგულებელყოფილი და ყველა პატივს სცემს მას. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ბავშვს მივცემთ ქართულთან ერთად მშობლიურ ენაზე ლაპარაკის საშუალებასაც. ამ ბავშვის ერთ-ერთი ძლიერი მხარე სწორედ სხვა, არაქართული ენის ცოდნაა, რისი გამოყენებაც შეგვიძლია სხვადასხვა საქმიანობაში, რაც ბავშვისთვის კარგი წახალისება და ამავდროულად, სხვა ბავშვებისთვისაც რაღაც ახლის სწავლის შესაძლებლობაა.

როდესაც ჯგუფში ისეთი ბავშვი ან ბავშვები არიან, რომელთათვისაც ქართული მეორე ან უცხოური ენაა, ორი მნიშვნელოვანი მიზნის დასახვა

შეგვიძლია: 1. მისი ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა და 2. ქართული ენის კომპეტენციების გაღრმავების ხელშეწყობა. ამ მიზნების მისაღწევად რამდენიმე სტრატეგიის გამოყენება შეგვიძლია:

კონკრეტული საგნები და ჟესტები

საუბართან ერთად, მაქსიმალურად გამოვიყენოთ არავერბალური კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა ჟესტები, მიმიკა და ვიზუალური მასალა. კომუნიკაციის დამყარების დროს გარკვევით დავასახელოთ საგნები/ცნებები და მივუთითოთ კონკრეტულ/რეალურ საგნებსა ან შესაბამის ვიზუალურ მასალაზე (სურათები, ნახატები, ფოტოები, პლაკატები).

ინსტრუქციები

ვერბალურ ინსტრუქციასთან ერთად, ბავშვს ვაჩვენოთ, რა უნდა გააკეთოს, რისთვისაც შესაძლოა, გვქონდეს წინასწარ გამზადებული ვიზუალური მასალა, რომელიც ასახავს დროში განსახორციელებელ მოქმედებას ან გავუკეთოთ დემონსტრირება ქცევას.

ენობრივად მდიდარი გარემო

დაწესებულებაში არსებული ვიზუალური მინიშნებები გაკეთებულია როგორც ქართულ, ისე - ბავშვების მშობლიურ ენაზე. უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვების მშობლიერ ენაზე შექმნილი მასალების მოპოვება, რათა გამოცდილების მიღება ორივე ენაზე შეძლონ.

საკვანძო სიტყვა მშობლიური ენიდან

ვისწავლოთ რამდენიმე სიტყვა ბავშვის მშობლიურ ენაზე. შევარჩიოთ ის სიტყვები და მოკლე წინადადებები, რომლებიც დაგვეხმარება მასთან კომუნიკაციაში. შესაძლებელია, რამდენიმე სიტყვა ბავშვებსაც ვასწავლოთ ბავშვის მიკუთვნებულობის განცდის გასაღრმავებლად.

ჩვენს რეგიონში ბევრი აზერბაიჯანული წარმოშობის ოჯახი ცხოვრობს. ამიტომ ჯგუფში მყავდა რამდენიმე ბავშვი, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ. იმისათვის, რომ ბავშვებს კარგად ეგრძნოთ თავი, გადავწყვიტე რამდენიმე აზერბაიჯანული სიტყვის სწავლა. საკვანძო სიტყვები „გამარჯობა“, „ნახვამდის“, „მადლობა“, „დედა მალე მოვა“ და ერთი მარტივი აზერბაიჯანული საბავშვო სიმღერა თანასოფლელისგან ვისწავლე. სხვა სიტყვები კი თავად ბავშვებისგან ვისწავლე.

ყოფილი აღმზრდელი ნატალია

სტიმულის მიცემა

როდესაც ბავშვები გარკვეულწილად იწყებენ ენის სწავლას და ქართულად ურთიერთობას, უნდა მივცეთ სტიმული, არ მივუთითოთ და შევუსწოროთ შეცდომა. უფრო ეფექტური მაგალითის მიცემაა. ვთქვათ, ბავშვი მოგმართავთ თხოვნით "კარანდაში მინდა" ერთი შეხედვით, ბავშვისთვის სწორად მეტყველების სწავლებისთვის მიზანშეწონილი ასეთი პასუხის გაცემაა: "კარანდაში" არ უნდა თქვა, თქვი ფანქარი, აბა გაიმეორე? ყოჩაღ! მაგრამ ასეთი პასუხი ნაკლებად ეფექტურია და მას ქართულად საუბრის მოტივაციას უკარგავს. ამიტომ, უმჯობესია, ვუპასუხოთ: "შენ გინდა ფანქარი? აი, აქ არის ფანქარი." შემდგომ კი ეცადეთ კონკრეტული სიტყვის სხვადასხვა წინადადებაში ხშირი გამოყენება. „მომაწოდე ფანქარი“, „აჰა, აიღე ფანქარი“, „წითელი ფანქარი ხომ არ გინდა?“ და ა.შ.

წიგნის კითხვა

წიგნის კითხვისას, მასში მოთხრობილი ამბის განსახიერება, სასურველია სათამაშოებით ან ბავშვებთან ერთად. ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე, შეგვიძლია თავად მოვიფიქროთ ნაკლებ პერსონაჟიანი ამბავი, რომელსაც წავუკითხავთ ან მოვუყვებით ბავშვებს და თან გავათამაშებთ.

საუბრის წახალისება

პირველ ეტაპზე, აღმზრდელმა შესაძლოა გამოიყენოს „მოქმედების აღმწერი“ საუბარი ბავშვთან. ქართულ ენაზე საუბრის წასახალისებლად აღმზრდელმა შეიძლება ხშირად მიმართოს ბავშვს და შედარებით მარტივი, მისთვის გასაგები, ბავშვის ქართული ენის ფლობის დონიდან გამომდინარე ფორმულირებული შეკითხვები დაუსვას.

ბავშვები, რომელთაც გადატანილი აქვთ ტრავმა

ხშირად ადამიანებისა და ოჯახების ცხოვრებაში ხდება მოვლენები, რაც მათ ფსიქოლოგიურ თუ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. ასეთ მოვლენებს ტრავმატულ მოვლენებს ვუწოდებთ. სამწუხაროდ, ასეთ მოვლენებში ბავშვებიც ხვდებიან და ეს გარკვეულ კვალს ტოვებს მათზე. ამიტომ, ჩვენ, ბავშვებთან და ბავშვისთვის მომუშავე სპეციალისტები, უნდა ვიცნობდეთ ასეთ შემთხვევებში მათი დახმარებისა და ხელშეწყობის გზებს. ტრავმატული მოვლენა შეიძლება მრავალნაირი იყოს - მათ რიცხვს განეკუთვნება მშობლების დაშორება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, რომელიც გულისხმობს ნაცნობ გარემოსთან განშორებას და ახალ გარემოსთან შეგუების პროცესს, ახლობლის ან ოჯახის წევრის გარდაცვალება, ბუნებრივი

კატასტროფები (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ხანძარი და სხვა), სამხედრო კონფლიქტი, რომელმაც შეიძლება საბოლოო ჯამში ოჯახების გახლეჩვა ან მათი საცხოვრებლიდან იძულებით მოშორება გამოიწვიოს. ტრავმაგადატანილ ბავშვებს ასევე განეკუთვნებიან ძალადობის მსხვერპლი ბავშვები - იქნება ეს ოჯახის წევრის მიერ განხორციელებული ფიზიკური ძლადობა მათ მიმართ თუ სხვა სახის ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც შეიძლება როგორც ოჯახის შიგნით, ისე მის გარეთაც აწყდებოდეს ბავშვი. ეს ყოველივე ძალიან რთული გადასატანი შეიძლება აღმოჩნდეს სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის, რადგან ამ ასაკში მისთვის ყველაზე სტაბილური და უსაფრთხო გარემო ირყევა და თითქოს ნგრევას იწყებს. ხშირად უფროსებს გვგონია, რომ ბავშვები ვერ ხვდებიან, რა ხდება და შესაბამისად, მათზე ამ მოვლენებს გავლენა არ აქვთ, თუმცა ეს ასე არ არის და ფაქტი, რომ ბავშვები მკაფიოდ ვერ გამოხატავენ მწუხარებას, ხშირად დიდ პრობლემებს ქმნის და სხვა სახით გამოიხატება. ტრავმატული მოვლენა, დიდი ალბათობით, ხელს შეუშლის ბავშვების სოციალურ და ემოციურ განვითარებას. უფრო მეტიც: ამ მოვლენებმა შეიძლება მისი სწავლისა და განვითარების სხვა სფეროებიც შეაფერხოს, რადგან, თანამედროვე კვლევების თანახმად, ადრეულ ასაკში სოციალურ-ემოციური განვითარება და სწავლა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სხვადასხვა ტრავმატული მოვლენა ყველა ბავშვზე სხვადასხვანაირად აისახება, ამიტომ ძალიან რთულია ყველა ტრავმაგადატანილი ბავშვისთვის ერთი რეცეპტის გამოწერა. აქაც საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ ასეთ ბავშვს, ჩვენზეა დამოკიდებული და, რა თქმა უნდა, იმ ცოდნაზე, რომელიც ბავშვის შესახებ გვაქვს.

პირველ რიგში ვნახოთ, როგორ შეიძლება ვლინდებოდეს ტრავმატული გამოცდილება ბავშვებში. ისევ და ისევ - მრავალნაირად - იმდენნაირად, რამდენი ბავშვიც არსებობს. მაგალითად: კონცენტრირების სირთულე, "ღრუბლებში ფრენა", ჰიპერაქტივობა ან პირიქით - ზედმეტი პასიურობა, ისტერიული ტირილი და სხვა. ჩვენ ასევე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ბავშვი აშკარად ჩამორჩება თანატოლებს განვითარებასა და სწავლის უნარის კუთხით. ისინი შეიძლება იყვნენ განსაკუთრებით აგრესიულები, ხშირად ხვდებოდნენ კონფლიქტურ სიტუაციებში. შეიძლება, მუდმივად სვამდნენ

შეკითხვებს ტრავმატული მოვლენის შესახებ ან პირიქით - აშინებდეთ ამ მოვლენის გახსენება. შეიძლება, ისინი შეშინებული მოგვეჩვენოს - მუდმივად დაცვასა და უსაფრთხო ადგილს ეძებდნენ. შეიძლება, უნებლიე შარდვაც კი შევნიშნოთ ან დავინახოთ, რომ აღარ ავლენს ისეთ უნარს, რომელიც იქამდე ჰქონდა შეძენილი (რეგრესი).

პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს შექმნა

პოზიტიური და უსაფრთხო გარემო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ამ ბავშვებისათვის. ამიტომ ზემოთ აღწერილი პოზიტიური, თბილი, მოსიყვარულე და პატივისცემაზე დაფუძნებული სოციალური და ფიზიკური გარემოს შექმნის სტრატეგიების გამოყენება დაეხმარებათ ბავშვებს სირთულეების გადალახვაში.

სპეციალისტის ჩართვა

რიგ შემთხვევებში, დახმარებისათვის, შესაძლოა, სპეციალისტს მივმართოთ. ის შეიძლება იყოს ფსიქოლოგი, რომელმაც იცის კონკრეტული ტექნიკები და სტრატეგიები, როგორ დაეხმაროს ბავშვებს ტრავმული მოვლენის შედეგების დაძლევაში.

განსაკუთრებული მონაცემების მქონე ბავშვები

ზოგიერთი ბავშვი ავლენს მისი ასაკისთვის უფრო მაღალ კომპეტენციებს. ხშირად მათ ნიჭიერ ბავშვებს ვეძახით. ჩვენ არაერთხელ გვინახავს ბაღში

ბავშვი, რომელიც განსაკუთრებით გამართულად კითხულობს რთულ ტექსტებსაც კი. ამ ბავშვებს განსაკუთრებული მონაცემების მქონე ბავშვებს ვუწოდებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბავშვებს განვითარებული აქვთ სტანდარტის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სფეროს ასაკის შესაბამისი უნარი, მათ სჭირდებათ განსაკუთრებული მხარდაჭერა შემდგომი განვითარებისა და საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად. ჩვენი მიზანიც ხომ სწორედ ბავშვებისთვის საუკეთესო გამოცდილების შეთავაზება და არა მხოლოდ კონკრეტული სფეროს შესაბამისი ინდიკატორის მიღწევაა. აქ მოცემულია რამდენიმე რჩევა, რომელიც შეიძლება გამოგადგეთ განსაკუთრებული მონაცემების მქონე ბავშვების განვითარებისა და სწავლის ხელშესაწყობად.

საინტერესო გარემო

ბავშვებისათვის საინტერესო გარემოს მნიშვნელობაზე არაერთხელ ვისაუბრეთ მოცემულ დოკუმენტში. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა ზემოთ აღწერილი სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს კვლევას, ძიებასა და დამოუკიდებელ სწავლას. განსაკუთრებული მონაცემების მქონე ბავშვების შემთხვევაში, შესაძლოა, დამატებითი რესურსების მოძიება დაგვჭირდეს.

ძლიერი მხარეების შესაბამისი სწავლება

იმისათვის, რომ საბავშვო ბაღში შეთავაზებული საქმიანობები ბავშვისათვის განმავითარებელ გამოცდილებად იქცეს, აუცილებელია შევთავაზოთ მისი ძლიერი მხარეების შესაფერისი სწავლება. შესაბამისად, როდესაც განსაკუთრებული მონაცემების მქონე ბავშვი ჩართულია რომელიმე აქტივობასა ან საქმიანობაში, ჩვენ მუდმივად უნდა ვფიქრობდეთ, რა

კონკრეტული გამოწვევა შევქმნათ, როგორ გავართულოთ აქტივობა, რომ მის განვითარებას მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი.

განვითარების სხვა სფეროების ხელშეწყობა

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ სფეროში ნიჭიერება და გამორჩეულობა არ არის იმის გარანტი, რომ სხვა ყველა სფეროც ასეთივე განვითარებული იქნება. მაგალითად, მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი, შესაძლოა, ფიზიკური ან სოციალური განვითარების დონით საშუალო ან საშუალოზე დაბალ საფეხურზეც კი იყოს. სწორედ ამიტომ, ჩვენ მუდმივად უნდა აღმოვაჩინოთ ის მხარეები, რომელშიც ბავშვს დახმარება სჭირდება და განვითარების ხელშემწყობი გამოწვევები შევთავაზოთ.

*სანდროს განსაკუთრებით კარგად ეხერხება რიცხვებზე სხვადასხვა მოქმედების ჩატარება და შემდეგ ამ რიცხვების გამოსახვა, მაგრამ დაკვირვების საფუძველზე ვამჩნევდი, რომ სანდრო არასოდეს იცავს რიგს, უჭირს დედასთან ყოველ დილით განშორება მიუხედავად იმისა, რომ უკვე **2** წელია ბაღში დადის. მას უჭირს სათამაშოების სხვებისთვის გაზიარებაც და ამის გამო ხშირად მოსდის ბავშვებთან კონფლიქტი. ამიტომ შევეცადე მისი მათემატიკური ნიჭი განვითარების სხვა სფეროების განსავითარებლად გამოეყენებინა. თავიდან დავიწყე სანდროსთვის განსაკუთრებული ინსტრუქციების შეთავაზება სხვადასხვა საქმიანობის დროს. პირველად კამათლებიანი სამაგიდო თამაში გავშალე და რამდენიმე ბავშვთან ერთად დავიწყე თამაში. ინსტრუქციის მიხედვით, მოთამაშემ დაფაზე უნდა გააკეთოს კამათელზე გამოსახული ციფრების ჯამის შესაბამისი რაოდენობის სვლა. სანდროს ვკითხე, ხომ არ უნდოდა ბავშვებთან ერთად თამაში და მათი დახმარება კამათელზე გამოსახული ციფრების შეკრებისას. სანდროც ჩაერთო თამაშში. თუმცა მას ცოტა შეცვლილი ინსტრუქცია მივეცი და შეკრების ნაცვლად უნდა გამოეკლო*

კამათლებზე გამოსახული ციფრები ერთმანეთისთვის. როდესაც ესეც საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა სანდროსთვის, კიდევ უფრო გავართულე ინსტრუქცია.

აღმზრდელი ხათუნა

განვითარების სირთულეების მქონე ბავშვები

როგორც ვიცით, ყველა ბავშვის განვითარება ინდივიდუალურად შეიძლება მიმდინარეობდეს. თუმცა ხანდახან ბავშვების განვითარებაში გარკვეული სირთულეები ვლინდება, რაც მათ უნარებსა და კომპეტენციებზე აისახება. არსებობს სხვადასხვა სახის განვითარების სირთულე. მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს.

ინტელექტუალური განვითარების სირთულეების მქონე ბავშვები

ეს არიან ბავშვები, რომელთა შემეცნებითი უნარები მათი ასაკის შესაბამის საფეხურზე ნაკლებგანვითარებულია. მათთვის, ერთი შეხედვით, მარტივი ინსტრუქციის მიყოლაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით თუ ეს რამდენიმე მოქმედების შემცველი ინსტრუქციაა. მათ ასევე შეიძლება ლოგიკური ბმების, დაგეგმვისა და პრობლემების გადაჭრის მიმართულებითაც სჭირდებოდეთ განსაკუთრებული დახმარება. მათ აბსტრაქტული აზროვნებაც (რაღაცების წარმოდგენა, განზოგადება) ნაკლებად განვითარებული შეიძლება ჰქონდეთ. ხშირად, ინტელექტუალური განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების ადაპტური უნარ-ჩვევებიც შედარებით ნაკლებად განვითარებულია. ადაპტურ უნარებში იგულისხმება საკუთარ თავზე ზრუნვის და მოვლის უნარები, ჭამა, ჩაცმა და გახდა, დაბანა, ტუალეტში სიარული და ჰიგიენასთან დაკავშირებული სხვა უნარები. ისინი

შეიძლება შედარებით ნელა სწავლობდნენ, ასევე უჭირდეთ კონცენტრაცია, სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა. შეიძლება ინტელექტუალური განვითარების პრობლემებს ახლდეს მეტყველების განვითარების ან მოტორული უნარ-ჩვევების შეფერხებაც.

რა თქმა უნდა, შესაძლოა, ინტელექტუალური განვითარების სირთულეების მქონე ყველა ბავშვს არ ჰქონდეს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პრობლემა. ინტელექტუალური განვითარების დარღვევების დონეებზე ინფორმაცია სხვადასხვა სახელმძღვანელოში შეგვიძლია მოვიძიოთ.

მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარების სირთულეების მქონე ბავშვები

მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებს უჭირთ როგორც საკუთარი აზრებისა და სურვილების გამოხატვა, ისე გაგება, თუ რას ეუბნებიან, რასაც, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათი სწავლისა და სოციალიზაციის პროცესზე. ხშირად ასეთი ტიპის სირთულეებს ქცევითი პრობლემებიც ახლავს თან. მეტყველების და კომუნიკაციის განვითარების დარღვევა შეიძლება გამოიხატებოდეს იმაში, რომ ბავშვები საერთოდ ვერ საუბრობენ, არ ესმით, რას ეუბნებიან, ვერ წარმოთქვამენ კონკრეტულ ბგერებს და სხვა.

მოტორული უნარების განვითარების სირთულეების მქონე ბავშვები

მსხვილი მოტორული უნარების განვითარების სირთულეები შეიძლება მარტივად შესამჩნევი იყოს, როდესაც ბავშვებს უჭირთ მოძრაობა და დამოუკიდებლად გადაადგილება ან შეიძლება საერთოდაც ვერ ამოძრავებდნენ ფეხებს, ხელებს ან სხეულის სხვა ნაწილებს. თუმცა ამ

უნარების განვითარების სირთულეებზე სხვა მახასიათებლებიც მიუთითებს. ბავშვებს შეიძლება წონასწორობის შენარჩუნების პრობლემაც ჰქონდეთ ჯდომის დროსაც კი. ისინი შეიძლება ვერ ხტუნაობდნენ ადგილზე და ვერ ურტყამდნენ ფეხით ბურთს. ვერ იჭერდნენ ნასროლ სათამაშოებს. მათ ბურთის გადაგდებაც უჭირთ და ცალ ფეხზე ხტუნვაც. ეს მსხვილი მოტორული უნარების განვითარების სირთულეების მქონე ბავშვების ქცევის მხოლოდ რამდენიმე სანიმუშო მაგალითია და არ არის აუცილებელი, რომ განვითარების მოცემული სფეროს პრობლემა მხოლოდ ამ სახით ვლინდებოდეს.

ნატიფი მოტორული უნარების განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებისთვის კი სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს ხელის მტევნებით სხვადასხვა მოქმედების განხორციელება, მაგალითად, კუბიკების ერთმანეთზე დალაგება, ბურთულების თოკზე აცმა, ფანქრის ჭერა, ფაზლების აწყობა, მარტივი ფიგურების გამოძერწვა, წიგნის გადაშლა, მაკრატლის გამოყენება, ხაზების გავლება და სხვა.

სენსორული უნარების განვითარების სირთულეების მქონე ბავშვები

სენსორული უნარების განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებში მხედველობით, სმენითა და შეხებით (ტაქტილური) აღქმის პროცესი შესაძლოა ვითარდებოდეს ძალიან ნელა, არასრულად ან საერთოდ არ განვითარდეს. გარდა ამისა, სენსორული უნარების განვითარების სირთულე შეიძლება ვლინდებოდეს როგორც ზემგრძნობელობა ანუ ჰიპერსენსიტურობა, ისე - ქვემგრძნობელობა (ჰიპოსენსიტიურობა). ჰიპერსენსიტურობის (ზემგრძნობელობის) დროს ბავშვები უფრო ძლიერად აღიქვამენ მათ გარშემო არსებულ სენსორულ გამღიზიანებელს და შესაბამისად რეაგირებენ. მაგალითად, ბავშვებს შეუძლიათ ისეთი სუნის აღქმა, რომელიც სხვებისთვის შეუმჩნეველია, შეიძლება ხელი ეშლებოდეთ ყოველდღიური ჩვეულებრივი ხმებისაგან (მაგალითად, მაცივრის გუგუნი, ქუჩის ხმაური და სხვა) ან არ სიამოვნებდეთ მკვეთრი მოძრაობები სათამაშო მოედანზე თამაშისას. ქვემგრძნობელობის (ჰიპოსენსიტიურობა) დროს კი პირიქით ხდება და

ბავშვებს დამატებითი სენსორული ინფორმაცია სჭირდებათ სამყაროს აღსაქმელად. ისინი ხშირად ცდილობენ, კარგად შეეხონ საგნებს, შეიძლება ითხოვდნენ მუსიკის ხმამაღლა მოსმენას ან გთხოვდნენ ხმამაღლა საუბარს. ისინი ასევე შეიძლება ნივთებს პირში იდებდნენ ან მუდმივად ჰქონდეთ მოძრაობის მოთხოვნილება.

ეს ბავშვები სამყაროს, ძირითადად, სხვა უნარების მეშვეობით შეიმეცნებენ.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარების სირთულე შეიძლება მრავალნაირად გამოიხატებოდეს, არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომლებიც დაგვეხმარება ბავშვებისთვის პოზიტიური სოციალური, ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოსა და გამოცდილების შეთავაზებაში.

ეფექტური კომუნიკაცია

რაიმეს ახსნის ან საუბრისას ისაუბრეთ მშვიდად და კონკრეტულად. თავი აარიდეთ მეტაფორების და რთული წინადადებების გამოყენებას. ისაუბრეთ მოკლე კონრეტული წინადადებებით. შეეცადეთ, კონკრეტულად დაასახელოთ საგნები. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ვკითხოთ ბავშვს „მოგეწონა, რაც მან გაჩუქა?“, ვკითხოთ „მოგეწონა, ნიკომ რომ ყვავილი გაჩუქა?“როდესაც ბავშვებს რამდენიმე მოქმედებიან ინსტრუქციას ვაძლევთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათ უადვილდება მოკლე ინსტრუქციების გაგება და შესრულება, ამიტომ დავანაწევროთ ინსტრუქცია მოქმედებებად. როცა ჯგუფს ვეუბნებით “გარეთ გასვლის დროც მოსულა, მაგრამ სანამ გავალთ, მივალაგოთ ოთახი და სუფთად დავტოვოთ, რომ დაბრუნებულებს ლამაზი და სუფთა ოთახი დაგვხვდეს”, განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებისთვის რთული იქნება მისი გაგება და უფრო მარტივი ინსტრუქცია უნდა მივცეთ: “სანდრო, სათამაშოები დავალაგოთ, სეირნობის დროა”

განსაკუთრებით სენსორული განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებთან კომუნიკაციისას ვიყენებთ ჟესტებს, მიმიკას და სხეულის ენას. დაგვეხმარება სხვადასხვა ზედაპირიანი საგნებიც და მითითებები.

ჩვენი მათე 5 წლის არის და ძალიან ცუდად ხედავს, ამიტომ ჯგუფის ოთახში მინიშნებები ფერადი და დიდი ნახატებით გავაკეთეთ. მათეს ძალიან უყვარს პატარა წიგნი, რომელიც ბავშვებმა თავად გააკეთეს სხვადასხვა ნამუშევრისგან. მათეს ბუმბულებისგან დამზადებული წითელი წიწილაც მოხვდა წიგნში. ნინიკო ძალიან დაეხმარა მათეს - კვასკვასა წითელი საღებავით დაუხატა მათეს წიწილა ფურცელზე, მათემ კი წითელი ბუმბულები თავად დააწება და ამბავიც ერთად მოიგონეს. მათეს მოსწონს წიწილა, რადგან ყოველთვის სიამოვნებს და ეღიმება ბუმბულზე პატარა თითებით შეხებისას, თუმცა მისი საყვარელი ამბავი პატარა პინგვინზეა, რომელიც პროექტის „თოვლი“ დროს გააკეთეს. პინგვინი შრაშუნა ქაღალდით არის დაწებებული და ფოლგისაგან გაკეთებულ სახლში ცხოვრობს. მათემ ძალიან კარგად იცის ხმების ამოცნობა. მართალია ის ვერ ხედავს ფანჯრიდან ქუჩაში მოძრავ მანქანას, მაგრამ მაინც პირველი ხვდება, მანქანა მოდის. უკვე იმასაც ხვდება, როგორი მანქანაა - სატვირთო, ავტობუსი თუ მსუბუქი. მე ყოველთვის ვცდილობ, გავუმახვილო ბავშვებს ყურადღება სხვადასხვა ხმებზე და ვეკითხები ხოლმე "გესმით ბღუილი? - ეს სატვირთო მანქანის ხმაა. ასე იმიტომ ბღუის, რომ ძალიან დიდია". მათემ სხვა ხმების ამოცნობაც ისწავლა და თავისუფლად შეუძლია თქმა, როგორი ამინდია გარეთ - წვიმიანი თუ ქარიანი.

აღმზრდელი ნუცა

მიმართვა

ძალიან კარგად მუშაობს ხერხი, როდესაც ბავშვთან ურთიერთობას მისი სახელის წარმოთქმით ვიწყებთ და ისინი ხვდებიან, რომ მათ ვესაუბრებით. "სანდრო, მომაწოდე მაკრატელი", "სანდრო, ჩაიცვი ქურთუკი", "სანდრო სადილის დროა". ასე მიმართავს 4 წლის სანდროს მისი აღმზრდელი ბაღში. უყურეთ მას თვალებში, ანუ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, - მის სიმაღლეზე.

რუტინული აქტივობები

შეეცადეთ, ყოველდღიური საქმიანობები მაქსიმალურად თანმიმდევრული იყოს. ინტელექტუალური განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებისთვის თანმიმდევრულობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვიზუალური მინიშნებები

გამოიყენეთ მკაფიო ვიზუალური მინიშნებები. კარგი იქნება, თუ სხვადასხვა ადგილას შესაბამის ნახატებს დააწებებთ ბავშვებისთვის ორიენტაციის გასაიოლებლად. სასურველია, ამა თუ იმ პროცედურის ამსახველი ნახატების გაკვრაც, მაგალითად, საპირფარეშოში ამ ტიპის მინიშნებები გამოიყენეთ.



მსგავსი ნახატების დამზადება და შემდეგ შესაბამის ადგილებში (ქურთუკების, ფეხსაცმლის, ჩანთების დასაწყობი კუთხეები და სხვა) გაკვრა ბავშვებთან ერთადაც შეგიძლიათ.

სანდროს ინტელექტუალური განვითარების სირთულე აქვს. მას ძალიან უყვარს ჩვენი სპეც-პედაგოგი ნია. ნია არასოდეს ეუბნება სანდროს, რომ მან რაიმე არასწორად თქვა. ერთხელ, ნახატის აღწერისას, სანდრომ უთხრა ნიას "კატა ყვითელი გაირბინებდა", რაზეც ნიამ უპასუხა "დიახ, ყვითელი კატა მირბის". სამწუხაროდ, სანდროს აღმზრდელს მაშინ არ ჰქონდა შესაბამისი ტრენინგები გავლილი და ალბათ, ასე უპასუხებდა: "არა, ეს არასწორია, ჯერ უნდა თქვა ყვითელი და შემდეგ კატა. გაირბინებდაც არასწორია, მართებულია მირბის. აბა, გაიმეორე: ყვითელი კატა მირბის". სანდროს არ უყვარდა ასე გამეორება და შედეგიც უმნიშვნელო ჰქონდა. მართალია, მისი აღმზრდელი ძალიან ცდილობდა, მაგრამ შედეგს ვერ აღწევდა და ამბობდა: "არ ვიცი, ამ ბავშვს ვერაფერი მოვუხერხე და ვერ ვასწავლე უმარტივესიც კი".

ჩვენმა სპეც-პედაგოგმა ყველა აღმზრდელს ტრენინგი ჩაუტარა და ინდივიდუალურად ასწავლა მათ მარტივი სტრატეგიები. ახლა სანდრო უკეთ გრძნობს თავს, რადგან მისი აღმზრდელი წინადადებებს შორის პაუზებს აკეთებს, ასეთ შემთხვევაში სანდროს აქვს დაფიქრების დრო -ია ზრებს, რას ეუბნება აღმზრდელი. ამ ბაღში სანდროსთვის ბევრი ნახატია, რაც უადვილებს მას რაღაცების გაგებას და სხვა ბავშვებივით თამაშს.

დირექტორი ნონა

მოდელირება

რაიმეს ახსნის ან საუბრისას თავად იყავით მაგალითი. თუ გინდათ, რომ ბავშვს კოვზის დაჭერა ასწავლოთ, რამდენჯერმე თავად აჩვენეთ და შემდეგ მას დააჭერინეთ. თვითონ სცადოს ჭამა და ნუ ინერვიულებთ, თუ ცოტათი დაისვრება.

გარემოს შესაბამისი მოწყობა შეიძლება ის მარტივი საშუალება იყოს, რითიც ძალიან გავუადვილებთ ბავშვებს აქტივობებში ჩართვას. თუ ბავშვი ეტლით

გადაადგილდება, ავეჯი ისე დავაწყოთ, რომ ნაკლები ბარიერი არსებობდეს მისთვის. სასურველია, მათი მოტორული უნარების განვითარების შესაბამისი, ოდნავ განსხვავებული ინსტრუქცია მივცეთ. მაგალითად,, თუ ბავშვს უჭირს ძერწვა, შედარებით ადვილი ფიგურების გამოძერწვა შევთავაზოთ. ნატიფი მოტორული უნარების განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებს მარტივი ხელშეწყობის პირობებში ზუსტად იმ აქტივობებში ჩავრთავთ, რომელშიც სხვა ბავშვებსაც ვრთავთ. ასეთი მარტივი დახმარებაა, მაგალითად, ფანქარზე "საჭერის" დამაგრება (საჭერის გაკეთება შეგვიძლია ფანქარზე სკოჩის რამდენიმე ფენის დახვევით ან რეზინის ნაჭრის დამაგრებით), ფურცლის მაგიდაზე დაწებება, რათა არ გაცურდეს და სხვა.

სენსორული განვითარების სირთულეების მქონე ბავშვებს განსაკუთრებით სჭირდებათ გარემო და რესურსები, რომლებიც, ერთი მხრივ, მათი შედარებით სუსტი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს და მეორე მხრივ, დაეხმარება მათ სწავლასა და განვითარებაში იმ უნარების გამოყენებით, რომლებიც მათთვის წამყვანია გარე სამყაროს შემეცნების პროცესში. ამიტომ შესთავაზეთ მათ სხვადასხვა სახის ვიზუალური, აუდიო და ტაქტილური მასალები.

ნიკა 3 წლისაა და ცერებრალური დამბლის ისეთი ფორმა აქვს, რომ საერთოდ ვერ ამოძრავებს ფეხებს და ხელების მოძრაობის კონტროლიც უჭირს. ამიტომ ის დიდწილად დამოკიდებულია ჩვენზე. მას ძალიან უყვარს ეზოში თამაში და მხიარულად კისკისებს, როდესაც ეზოში თამაშისას ძიძას ის ხელში აჰყავს და სასრიალოზე სვამს. ჩვენ ყოველთვის ვესაუბრებით მას თამაშის დროს, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს ეხმარება ბავშვს წიგნიერების განვითარებაში. ვეუბნებით: "ნიკა, ახლა შენ ხარ მაღლა, მაღლა, მაღლა. ახლა კი დაბლა, დაბლა, დაბლა". შემდეგ ნიკა ბურთით მოთამაშე ბავშვებს უერთდება და, მიწაზე წამოგორებული, მშვენივრად ანგრევს მის შორიახლოს დალაგებულ ბოთლებს ბურთზე ხელის დარტყმით. ჩვენ კი სხვა ბავშვებთან ერთად ვაგულიანებთ "ყოჩაღ, ნიკა, აბა, ახლა წინ გააგორე, ახლა - უკან". იმედი გვაქვს, რომ ასეთი აქტივობები ხელს უწყობს ნიკას მსხვილი მოტორული უნარების განვითარებას და სივრცის (მაღლა/დაბლა, ქვემოთ/ზემოთ, შიგნით/გარეთ, წინ/უკან) გაგებას. სხვა ბავშვებიც ხშირად მორბიან მასთან, მოაქვთ

ბურთი, რაც ნიკას ძალიან ახარებს. როდესაც ყველა ბოთლს წააქცევენ, ბავშვები ბოთლების გასწორებას იწყებენ შემდეგი რაუნდისთვის, ნიკასაც თავისი წვლილი შეაქვს და მის სიახლოვეში დაგდებულ ბოთლებს აყენებს. ხანდახან უჭირს - განსაკუთრებით, თუ ბოთლი თხელი პლასტმასის არის და ძირიც უსწორმასწორო აქვს, ამიტომ ბოთლში ცოტა ქვიშას ან მიწას ვუყრი, რომ ბოთლი უფრო მძიმე გახდეს და ადვილად დადგეს.

აღმზრდელი თამარა

რთული ქცევის მქონე ბავშვები

რთული ქცევა გამოიყენება ისეთი ქცევის დასახასიათებლად, რომელიც საზიანოა თავად ბავშვის, გარშემომყოფების ან გარემოსთვის და ხელშემშლელია ბავშვების სწავლისთვის. რთული ქცევა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში შეიძლება გამოიხატებოდეს ჩამოთვლილი საქციელის ხშირად გამეორებით: სხვების ცემა, ჩარტყმა, ფურთხება, საგნების სროლა, ტანტრუმი (ისტერიული ტირილი), წესების დაცვაზე უარის თქმა, სათამაშოების და ნივთების განზრახ დაზიანება, ყვირილი, სხვების ჩაგვრა. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, ნებისმიერი ქცევის მსგავსად, რთული ქცევაც, ძირითადად, ბავშვის პასუხია მის გარშემო მიმდინარე პროცესებზე ან საკუთარი სურვილებისა და ემოციების გამოხატვის საშუალებაა. უფრო მეტიც: შესაძლოა, ზოგიერთი ქცევა, რომელსაც „რთულის“ კვალიფიკაციას ვანიჭებთ, უბრალოდ კონკრეტული ასაკისთვის დამახასიათებელი ქცევა აღმოჩნდეს. ამიტომ უნდა განვასხვავოთ, არის საქციელი ასაკის შესაბამასი ბუნებრივი რეაქცია თუ რთული ქცევა. მაგალითად, თუ ორი წლის ბავშვს უჭირს რიგის დაცვა, ეს ბუნებრივია მისი ასაკის ბავშვისთვის.

შესაძლოა, რთული ქცევის აღმოფხვრას დიდი დრო დასჭირდეს და ასაკთან ერთად დარეგულირდეს, თუმცა, თუ ვხედავთ, რომ ჩვენი სტრატეგიები

და დრო ქცევას არ ცვლის, მაშინ მშობლებთან თანამშრომლობით უნდა მივმართოთ კონკრეტულ სტრატეგიებს. არ არის გამორიცხული, სხვა სპეციალისტებთან კონსულტაციაც დაგვჭირდეს.

ქცევის გამომწვევი მიზეზის დადგენა

რთული ქცევის შემცირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებზე დაკვირვება და ამგვარი ქცევის მოტივის დადგენა. ვკითხოთ საკუთარ თავს, რატომ იქცევა ბავშვი ასე და შემდეგ დავფიქრდეთ, რა შეიძლება გავაკეთოთ ამგვარი ქცევის შესამცირებლად. როგორ აღმოვფხვრათ რთული ქცევის მიზეზი? ხშირად ბავშვები რთულ ქცევას რაღაცის მიღების (ყურადღება, ნივთი, სათამაშო, საჭმელი, ტკბილეული და სხვა), მათთვის არასასურველი სიტუაციისგან თავის დაღწევის (თამაში, რომელიც არ უნდათ იმ მომენტში, აქტივობა, რომელიც არ აინტერესებთ, ურთიერთობა და სხვა) ან საკუთარი თავის სტიმულირების მიზნით ავლენენ. რთული ქცევის გამომწვევი მიზეზის დასადგენად ბავშვებზე დაკვირვებისას უნდა შევეცადოთ, აღვწეროთ, როგორ და რა შემთხვევაში იჩენს რთული ქცევა თავს.

რამდენიმე წლის წინ რთული ქცევის მქონე ბავშვი მყავდა ჯგუფში და ძალიან მიჭირდა მასთან გამკლავება, მაგრამ ტრენინგზე დასწრების შემდეგ მეტად თავდაჯერებული გავხდი და მიადვილდება ბავშვების რთული ქცევის მართვა. ტრენინგზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩემთვის ჩამოვაყალიბე რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც მეხმარება რთული ქცევის ფორმისა და გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებაში. როდესაც მიზეზი ნათელია, უფრო მარტივია რეაგირებაც. პირველ რიგში, ვცდილობ დავაკვირდე, როგორ და რა დროს ვლინდება რთული ქცევა? ხომ არ არის რაიმე სიტუაცია ან მოვლენა, რომელიც წინ უსწრებს ბავშვის საქციელს? უმეტესწილად, როდესაც ბავშვი მარტოა თუ ჯგუფში? როდესაც მას ყურადღებას ვაკლებ - მაგალითად, სხვას ვესაუბრები,

ვთხოვ რაიმე აქტივობაში ჩართვას ან დავალების შესრულებას? ან იქნებ, როდესაც ბავშვს რაღაცის მიღება უნდა? ხომ არ აქვს ბავშვს რაიმე სპეციალური საჭიროება? რა მოსწონს და არ მოსწონს ბავშვს? როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა? რა ვითარებაა მის ოჯახში? ხშირად ვამჩნევ გაღიზიანებას 4 წლის ალექსანდრეს, როდესაც ბავშვები მაგიდებთან სხედან ჯგუფად და ხატვით, ფაზლების აწყობით, მძივების ჩამოცმით არიან დაკავებული. ალექსანდრე ხშირად წუწუნებს ამ დროს, იწყებს ტირილს და ხანდახან ისვრის მასალას. ასეთი ქცევისას, ვთხოვ მას ცალკე ჯდომას, თუმცა შევამჩნიე, რომ ალექსანდრეს დამოუკიდებლადაც უჭირს ნატიფი მოტორული დავალებების შესრულება. ამიტომ ვიფიქრე, რომ ალექსანდრეს საქციელის მიზეზი არასასურველი სიტუაციიდან თავის დაღწევაა, ხოლო სიტუაცია შეიძლება არასასურველი იყოს იმიტომ, რომ ალექსანდრეს უჭირს იმ საქმიანობების შესრულება, რასაც სხვა ბავშვები ამ დროს ასრულებენ (ხატვა, ფაზლების აწყობა და ა.შ). ამიტომ გადავწყვიტე, ალექსანდრეს დახმარების თხოვნა ვასწავლო, რაც, ჩემი აზრით, ბავშვის რთულ საქციელს ჩაანაცვლებს. პირველ ეტაპზე მასთან ერთი-ერთზე თამაში დავიწყე და ვთხოვე დახმარება, შემდეგ ვკითხე, მასაც ხომ არ სჭირდება დახმარება და ავუხსენი, როგორ უნდა მოითხოვოს იგი, რატომ არის ეს კარგი. როდესაც ალექსანდრემ დახმარება მოითხოვა, შევაქე. შემდეგ ბავშვების პატარა ჯგუფს შევუერთდით და მათ ვთხოვე დახმარება. მერე ისე გავაკეთე, რომ სხვა ბავშვებს ეთხოვათ დახმარება და ასე ნელ-ნელა მივაღწიე შედეგს - ალექსანდრეც ითხოვს დახმარებას. ნაბიჯ-ნაბიჯ ალექსანდრეს გაღიზიანებაც და რთული ქცევაც მცირდება.

მორცხვი ბავშვები

მორცხვი ბავშვები განეკუთვნებიან იმ ჯგუფს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ გვიქმნიან ჯგუფში განსაკუთრებულ პრობლემებს, სიმორცხვის გამო ისინი

ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და გამოყენებას. სიმორცხვე შეიძლება იწვევდეს მუდმივ დაძაბულობას ბავშვებში, მათ შეიძლება შეექმნათ ურთიერთობის სირთულე და გაუჭირდეთ გარშემომყოფებთან ახლო ურთიერთობების დამყარება. საბოლოო ჯამში სიმორცხვეს უკავშირდება დაბალი თვითშეფასებაც.

ეს ბავშვები ძალიან წყნარები და მშვიდები არიან. ისინი ყურადღებით უსმენენ უფროსებსა თუ სხვა ბავშვებს. მათ შეიძლება ვერ გასცენ პასუხი შეკითხვას იმ შემთხვევაშიც, თუკი პასუხი მოფიქრებული აქვთ. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ბავშვს მივმართავთ, ის შეიძლება ცდილობდეს, აგვარიდოს მზერა, დახაროს თავი, შეიძლება არაფერი გვიპასუხოს და ჩვენ შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩეს, თითქოს მან ვერ გაიგო, რა ვუთხარით ან არ შეუძლია აზრის დალაგება. მორცხვი ბავშვები, ძირითადად, ყოველთვის ასრულებენ ინსტრუქციებს, მაგრამ ჩუმად, ზედმეტი ლაპარაკის გარეშე. მათი საუბარი შეიძლება ძალიან ჩუმი და ნაზი იყოს. მათ ასევე უჭირთ თამაშის წამოწყება ან სხვა ბავშვებთან თამაშში, ან სხვა აქტივობებში ჩართვა. მორცხვ ბავშვებს განსაკუთრებით სჭირდებათ წახალისება და სწორად დაგეგმილი სოციალური უნარების განვითარებაზე მიმართული აქტივობები მათთვის ძალიან სასარგებლოა.

ინტერაქციის წახალისება

თუ ბავშვს უჭირს, თავად ჩაერთოს სხვა ბავშვებთან თამაშში, შეეცადეთ დაეხმაროთ მათ ისეთ აქტივობებში ჩაბმაში, რომელიც ინტერაქციას მოითხოვს. მაგალითად, თუ რამდენიმე ბავშვი ხატავს, შეგიძლიათ, დასვათ ბავშვები წყვილებად ან პატარა ჯგუფებად და სთხოვოთ, გააკეთონ რაიმე ერთად. მაგალითად, დაუხატონ ერთმანეთს ნახატები. ასევე შეგიძლიათ, სთხოვოთ ბავშვებს, წყვილებად გავიდნენ ეზოში.

თამაშისას შეეცადეთ, ალაპარაკოთ მორცხვი ბავშვი. მაგალითად, თუ ბავშვები ექიმობანას თამაშობენ, შესთავაზეთ მორცხვ ბავშვს პაციენტის როლი და სთხოვე, მოუყვეს ექიმს, რა სტკივა.

ასევე, თუ ბავშვს მისალმებისა და დამშვიდობებისაც რცხვენია, აუხსენით მას, რომ შეუძლია ხელის დაქნევით მოგვესალმოს და დაგვემშვიდობოს, რაც უკეთესია, ვიდრე არაფრის თქმა.

დრო პასუხისათვის

როდესაც მორცხვ ბავშვს მიმართავთ, მიეცით მას დრო პასუხის გასაცემად. არ დააჩქაროთ. მორცხვ ბავშვებს ხანდახან სჭირდებათ გარკვეული დრო, რომ დაძლიონ საკუთარი დაძაბულობა და პასუხი გაგცენ.

შექება

შეაქეთ მორცხვი ბავშვები, როდესაც ისინი ცდილობენ სიმორცხვის დაძლევას. შეეცადეთ მათთან საუბარში ხშირად გაუსვათ ხაზი მათ მიღწევებს სოციალური კომპეტენციების კუთხით - „შენ უკვე ყოველ დილით მესალმები“.

ნუ მოიხსენიებთ მათ, როგორც „მორცხვ ბავშვს“, რადგან ასეთ დროს ბავშვმა შეიძლება იფიქროს, რადგან ის მორცხვია, არავინ არ ელოდება მისგან განსაკუთრებულ საქციელს და კიდევ უფრო ჩაიკეტოს საკუთარ თავში.

სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები

ალბათ, პრაქტიკის მანძილზე ბევრ ჩვენგანს შეხვედრია ბავშვი, რომელიც შედარებით ცუდი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახში იზრდება. სამწუხაროდ, საქართველოში ეს პრობლემა ბევრ ბავშვს აქვს. მიუხედვად იმისა, რომ მათი უნარების განვითარება შეიძლება არ იყოს

შეფერხებული, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც საჭიროებენ, რადგან ბაღის გარეთ მათ შეიძლება არ ჰქონდეთ ყველა ის რესურსი (სხვადასხვაგვარი სათამაშო, საბავშვო წიგნები და სხვა), რაც მათი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას შეუწყობს ხელს. თანაც, არსებობს კვლევები, რომელთა თანახმადაც, შეძლებულ თანატოლებთან შედარებით, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების უნარები ნაკლებად არის განვითარებული. იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ ამ კვლევების შედეგად გამოვლენილი შედეგი, ჩვენ რამდენიმე საკითხს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

საჭიროების შეფასება

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ ბავშვების ყველა საჭიროება დაკმაყოფილებულია და ისინი იღებენ ასაკის შესაბამის სტიმულირებას განვითარების ყველა სფეროს მიმართულებით, ჩვენ ვაფასებთ მათ საჭიროებას. ჩვენთვის საინტერესოა იმის გაგება, არის თუ არა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი მრავალფეროვანი რესურსი განვითარებისთვის; არიან თუ არა მის გარშემო უფროსები, რომლებიც დაეხმარებიან ბავშვს სხვადასხვა საქმიანობაში; იღებს თუ არა ბავშვი მრავალფეროვან საკვებს? და სხვა. ამის შემდეგ ჩვენ უკვე შეგვიძლია, უფრო მიზანმიმართულად ვიმოქმედოთ.

მშობლების მხარდაჭერა

გაესაუბრეთ მშობლებს და შეეცადეთ, დაეხმაროთ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღებაში, რაც მათ შეიძლება გამოადგეთ გარკვეული პირობების გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მშობლებს სახლმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. ასევე შეგვიძლია მათ დამატებითი ხარჯების გაწევა ავარიდოთ თავიდან. მაგალითად, არ

მოვთხოვოთ ძვირადღირებული ნივთების შეძენა (ტანსაცმელი, სათამაშოები და სხვა). ასევე ჩვენ უნდა ავუხსნათ მშობლებს, რა მნიშვნელობა აქვს ბავშვთან ურთიერთობას, წიგნის კითხვას და სხვა მსგავს აქტივობებს მეტყველებისა და სხვა უნარების განვითარების თვალსაზრისით. თუ მშობლები გამოთქვამენ სურვილს, შეგვიძლია მათ ხანდახან სხვადასხვა წიგნი ვათხოვოთ ბავშვისთვის წასაკითხად.

ბაღში ყოველთვის გვაქვს რამდენიმე თავისუფალი საწვიმარი, სხვადასხვა ზომის წყალგაუმტარი ფეხსაცმელი, თბილი ქურთუკი და კიდევ რაღაცეები. ამას „მორიგე" ტანსაცმელს ვეძახით და იმ ბავშვებს ვთავაზობთ ხოლმე, რომლებსაც ან საერთოდ არ აქვთ შესაბამისი ტანისამოსი, ან კონკრეტულ დღეს შეუსაბამოდ აცვიათ. ამ ტანისამოსის წყალობით ყველა ბავშვს შეუძლია ერთნაირად ჩაერთოს ყველა საქმიანობაში. მაგალითად, ეზოში თუ გავდივართ, არავინაა ისეთი, ვინც ოთახში დარჩება ბოტების ან საწვიმარის უქონლობის გამო.

ძიძა დოდო

სხვადასხვა საჭიროებაზე გარემოს მორგებისას, ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კურიკულუმის ინდივიდუალიზაცია ემსახურება არა კონკრეტული სფეროს განვითარების დარღვევის აღმოფხვრას, არამედ ბავშვებისთვის მათი შესაძლებლობების შესაბამისი გარემოს შეთავაზებას, რათა ყველა თანაბრად იყოს ჩართული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესებში. ამიტომ გქონდეთ რეალისტური მოლოდინები და, თუ ბავშვების ან რომელიმე ერთი ბავშვის პროგრესი სახეზე არ არის, კიდევ ერთხელ დაფიქრდით, როგორ დაეხმაროთ ბავშვს. ეს დახმარება შეიძლება იყოს შესაბამისი სპეციალისტის ან სპეციალისტების ჩარევა, ან სხვადასხვა რესურსების მობილიზება.

იმისათვის, რომ კურიკულუმი მოვარგოთ ბავშვების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ჩართულ მხარესთან თანამშრომლობა.

საგანმანათლებლო პერსონალი

ვინაიდან აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ის სპეციალისტები არიან, რომლებიც მთელ დღეს ბავშვებთან ერთად ატარებენ, მათი თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდუალიზაციის წარმატებულად განხორციელებისთვის - განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი დიდ ჯგუფებთან მუშაობენ. ისინი ერთად უნდა გეგმავდნენ ადაპტირებას ბავშვების სხვადასხვა საჭიროების საპასუხოდ. მათ დაკვირვების შედეგებიც უნდა გააცნონ ერთმანეთს და შემდეგ განიხილონ. ამისათვის ზოგიერთი ბაღის თანამშრომლები გარკვეულ დროს (დაახლოებით 30 წუთი) გამოყოფენ დღის მანძილზე.

მშობლები

თვალსაჩინოა მშობლის როლი ინდივიდუალიზაციის პროცესში და რა მნიშვნელობა აქვს მის ჩართულობას ბავშვის საჭიროებების დადგენისას. დამატებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მშობლების ინფორმირება ბავშვის საჭიროებებისა და წარმატებების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია მშობელმა იცოდეს, თუ რა ხდება და როგორ ხდება მისი შვილის საჭიროებებზე რეაგირება, რა სფეროში სჭირდება ბავშვს დახმარება და რისი გაკეთება შეუძლია ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის ბაღის გარეთ.

იმისათვის, რომ ყველა ბავშვის ინტერესი და შესაძლებლობა სრულად იყოს გათვალისწინებული და გამოვლენილი, ბაღის ადმინისტრაცია უნდა აცნობიერებდეს ინდივიდუალიზაციის მნიშვნელობას, წაახალისებდეს თანამშრომლებს ბავშვების ინტერესებისა და განვითარების შესაბამისი პრაქტიკის შეთავაზებაში და ხელს უწყობდეს მათ.

ბაღის ადმინისტრაცია ეხმარება აღმზრდელებსა და აღმზრდელ-პედაგოგებს ინდივიდუალიზაციის პროცესში საჭირო რესურსების და ადაპტირების უზრუნველყოფით. მაგალითად, თუ ჯგუფში ეტლით მოსარგებლე ბავშვია, ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ფიზიკური სივრცის ადაპტირება.

ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლებს შორის კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებასაც და მისცეს მათ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალება. ამ მიმართულებით შეიძლება ადმინისტრაციამ დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები, სადაც ბაღის სხვადასხვა ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგები ერთმანეთს ინდივიდუალიზაციასთან დაკავშირებულ გამოცდილებას გაუზიარებენ, განიხილავენ ინდივიდუალიზაციის პროცესში წარმოშობილ სირთულეებს და ერთად შეეცდებიან პრობლემების მოგვარების გზების პოვნას.

თუ პედაგოგიურ პერსონალს ისეთი სპეციალისტის ან რესურსის დახმარება დასჭირდება, რომელიც ბაღში არ არის, ადმინისტრაცია მაქსიმალურად უნდა შეეცადოს შესაბამისი რესურსის უზრუნველყოფას. მაგალითად, თუ ჯგუფში რთული ინტელექტუალური ან მრავალი დარღვევის მქონე ბავშვია, აღმზრდელს შეიძლება გამოცდილი ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის, ენისა და მეტყველების თერაპევტის, ნევროლოგის ან სხვა სპეციალისტის დახმარება დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციაც უნდა ჩაერთოს და თანამშრომლებმა ერთად უნდა გამონახონ სპეციალსტთან კონსულტაციის უზრუნველყოფის გზები.

სხვა სპეციალისტები

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და განვითარებაში ჩართული პერსონალი (ადრეული განვითრების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი და ა.შ.), რომლის მოვალეობაც საგანმანათლებლო პროგრამაში ბავშვთა ჩართულობის ხელშეწყობაა, ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია ინდივიდუალიზაციის პროცესში. მათ მნიშვნელოვანი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს ბავშვის შეფასებასა და ადაპტაციების დაგეგმვაში. მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ჯგუფში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები არიან და მათთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენაა საჭირო.

რეფლექსია

წარმოიდგინეთ, რომ ბაღის ასაკის ბავშვის მშობელი ხართ. აღმზრდელ-პედაგოგი გეუბნებათ, რომ თქვენს შვილს გარკვეული სირთულე აქვს განვითარების კუთხით და სპეციალური დახმარება სჭირდება. როგორ იგრძნობთ თავს? როგორ გირჩევნიათ, რომ ეს ინფორმაცია მოგაწოდონ? რა კითხვები შეიძლება გაგიჩნდეთ? როგორ უნდა მოიქცეს აღმზრდელ-პედაგოგი, რომ გაგიჩნდეთ მისი იმედი? რა დახმარება შეიძლება სთხოვოთ მას?



თავი 5. დოკუმენტირება

ოცემული კურიკულუმის მიხედვით, ბავშვების ნამუშევრების დოკუმენტირება ბაღებში მიმდინარე პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან ნათლად გვაჩვენებს, რა ხდება ჯგუფში, როგორ ვითარდებიან და სწავლობენ ბავშვები. დოკუმენტირება მთავარი საშუალებაა როგორც საგანმანათლებლო პროცესის თვალსაჩინოებისთვის, ისე მისი ანალიზისა და რეფლექსიისთვის ბავშვების, პედაგოგებისა და მშობლების მხრიდან. სწორედ დოკუმენტირების მიზანს, შინაარსსა და შემადგენელ ელემენტებს მიმოვიხილავთ მოცემულ თავში.

რას ნიშნავს დოკუმენტირება?

დოკუმენტირება არის საგანმანათლებლო პროცესის, საგანმანათლებლო პერსონალისა და ბავშვის მუშაობის თვალსაჩინოდ ასახვა. ამ საშუალებით ჩვენ ვქმნით ერთგვარ მტკიცებულებას და ამასთანავე - საშუალებას საკუთარი განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირება

საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირება არის საინტერესო სასწავლო სიტუაციის ქრონოლოგიურად ასახვა, თუ რა ხდებოდა ბავშვების დიდ ან მცირე ჯგუფში, ყოველდღიური რუტინული საქმიანობის, პროექტის მიმდინარეობისას ან ნებისმიერ სხვა დროს.

დოკუმენტირება იწყება დაკვირვებით, გვიჩვენებს ბავშვების მუშაობასა და მათ შეხედულებებს საკითხთან დაკავშირებით და სრულდება შეჯამებით.

არქიტექტორი მარი

არქიტექტორი სანდრო

არქიტექტორი ნიკა

დღეს ბავშვებს სახლების გასაკეთებლად შევთავაზეთ ასანთის ღერები და ფერადი ქაღალდის ნაკუწები.

არქიტექტორი ლაზარე

არქიტექტორი ზუკა

ბავშვის განვითარების დოკუმენტირება

ბავშვის სწავლისა და განვითარების დოკუმენტირების მიზანი მისი განვითარების თვალსაჩინოდ ასახვაა. დოკუმენტირებული მასალა ასახავს ბავშვის კონკრეტულ კომპეტენციას, მის მიღწევებს, მცდელობას, ისწავლოს და იკვლიოს, ბავშვის ინტერესსა და ხედვას. ერთიანობაში კი ეს მასალა გვიჩვენებს ბავშვის პროგრესს გარკვეული დროის განმავლობაში.

დოკუმენტირება მშრალი ინფორმაციის შეგროვება და დასაწყობება როდია. დოკუმენტირებული მასალის პრაქტიკაში გამოსაყენებლად აუცილებელია ამ მასალის ყურადღებით შესწავლა. შეგროვილი მასალის შესაბამისი სახით წარმოდგენაც დოკუმენტირების პროცესის ნაწილია. შესაბამისი სახით წარმოდგენაში იგულისხმება არსებული მასალის იმგვარად ასახვა, რომ ბავშვების სწავლა და განვითარება თვალსაჩინო იყოს ჩვენთვის, ბავშვთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, მშობლებისთვის და თავად ბავშვებისათვის.

დოკუმენტირებისას ბაღის გამოცდილებებს ავსახავთ ყველა იმ მედიასაშუალებით, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენთვის: ჩანაწერების გაკეთების, ფოტოებისა და ვიდეობის გადაღების, ბავშვების ნამუშევრების (ნახატები, კოლაჟები, სკულპტურები, პროექტები, ნაწერი, და სხვა) შენახვის სახით. შესაბამისად, დოკუმენტირების მნიშვნელოვანი კომპონენტებია:

- ბავშვებზე დაკვირვების ჩანაწერები;
- დაბეჭდილი ან ციფრული ფოტოები;
- საუბრის აუდიო ჩანაწერები ან მათი ტრანსკრიპტები;
- ვიდეო ჩანაწერები;
- ბავშვების ნამუშევრები;
- ბავშვების ნაწერი ნიმუშები;
- ბავშვების მუსიკალური კომპოზიციები;
- ბავშვებზე დაკვირვების ჩანახატები.

გარკვეული პერიოდის (შეიძლება, რამდენიმე წლისაც კი) მანძილზე დოკუმენტირებული მასალა გვაძლევს ბავშვის და ჯგუფის განვითარების ნათელ სურათს.



რა მიზანს ემსახურება დოკუმენტირება?

დოკუმენტირების უმთავრესი მიზანი საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზება და ბავშვების ინდივიდუალური მახასიათებლების, ძლიერი მხარეების, სწავლის ტემპის და უპირატესობების, ინტერესებისა და განვითარების დანახვაა. დოკუმენტირება გვეხმარება, გავხდეთ "ანალიტიკოსები" და კარგი დამგეგმავები. მაგალითად, დოკუმენტირებულ მასალაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ბავშვების ინტერესი (ბევრი ბავშვი ხატავს მატარებელს) და ვნახოთ, რომ მათი ცოდნა ინტერესის ობიექტზე გასაღრმავებელია (მაგალითად, არავინ ხატავს ლიანდაგს მატარებელთან ან დახატული მატარებლები უფანჯროა). ეს უკვე გვაძლევს ინფორმაციას, რა საკითხი უნდა შევთავაზოთ ბავშვებს. ამ ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავგეგმოთ პროექტი „მატარებელი", მოვინახულოთ სადგური, დავათვალიეროთ შესაბამისი წიგნები, ვისაუბროთ ამ თემაზე და დავამზადოთ მატარებლის მაკეტი. პროექტის ბოლოს, თუ კიდევ გადავავლებთ ბავშვების ნამუშევრებს თვალს, დიდი ალბათობით აღმოვაჩენთ, რომ "ახალი" მატარებლები უფრო მეტად ჰგავს ნამდვილს.

ჩვენ ვახორციელებთ დოკუმენეტირების პროცესს ბავშვების და ჩვენი პროგრესის დასანახად.

5 წლის გიორგი თავის პორტფოლიოს ათვალიერებს ბაღში. ის წააწყდა თიხისგან გამოძერწილი პატარა ადამიანების ფიგურებს. მას გაახსენდა, როგორ გააკეთა ეს ფიგურები ერთი წლის წინ და ისევ მოუნდა იმავე ფიგურების გამოძერწვა. ის ახლა სწორედ ამ ფიგურებს ძერწავს, თუმცა წელს მათ მეტი დეტალი აქვს - ზოგი ვაშლს ჭამს, ზოგი თავს იფხანს, სხვა კი წიგნს კითხულობს.

გარდა ამისა, დოკუმენტირება გვეხმარება მშობლებთან ურთიერთობაში, როდესაც მათი შვილების სწავლისა და განვითარების კონკრეტულ მაგალითებს წარმოვუდგენთ. დოკუმენტირების მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც მშობლების სახეზე თბილ ღიმილს ვხედავთ შვილების ნამუშევრების გაცნობისას.

დოკუმენტირების საჭიროებას ვიაზრებთ მაშინაც, როდესაც თავად ბავშვები ეცნობიან საკუთარ ადრინდელ ნამუშევრებს.

ვისთვის არის საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტირებული მასალა?

ვინაიდან მუდმივად ბავშვის გარშემო ვტრიალებთ, ამ შეკითხვის პასუხიც არ იქნება მოულოდნელი - პირველ რიგში, დოკუმენტირებული მასალა თავად ბავშვებისთვის არის მნიშვნელოვანი. როდესაც ერთად განვიხილავთ საკითხს, თუ რას სწავლობენ, რას აკეთებენ, რა საქმიანობებს ანიჭებენ უპირატესობებს, ჩვენ ერთად შეგვიძლია გადავწყვიტოთ, რა უნდა გააკეთონ მომავალში და როგორ ურჩევნიათ კვლევა.

დოკუმენტირებული მასალა მნიშვნელოვანი რესურსი შეიძლება იყოს მშობლებისათვისაც, რომლებიც სიამოვნებით ეცნობიან მათი შვილების ნამუშევრებს და ცდილობენ შესაბამისი გამოცდილებების სახლში შეთავაზებასაც.

დოკუმენტირებული მასალა გავუზიაროთ კოლეგებსაც, რათა ერთად განვიხილოთ ბავშვების პროგრესი და ის გამოცდილებები, რომელთა შეთავაზებაც დამატებით შეგვიძლია.

თვალსაჩინოდ გამოფენილ დოკუმენტირებულ მასალას ხშირად ეცნობიან ბაღების სტუმრებიც დაწესებულების დათვალიერებისას.

როგორ ხდება დოკუმენტირება?

სანამ შევუდგებით დოკუმენტირების პროცესს, უნდა გადავწყვიტოთ რამდენიმე საკითხი. კერძოდ კი:

- რისი დოკუმენტირება გვინდა და გვჭირდება?
- რა მეთოდების და ხერხების გამოყენებით ვახდენთ დოკუმენტირებას?
- როგორ ვიყენებთ დოკუმენტირებულ მასალას?
- როგორ წარმოვადგენთ დოკუმენტირებულ მასალას?

ეს საკითხები თავად პრაქტიკოსებმა ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე და კოლეგებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა გადაწყვიტონ. სხვა საკითხების მსგავსად, აქაც არ არსებობს მზა რეცეპტი, თუმცა წარმოგიდგენთ დოკუმენტირების რამდენიმე მაგალითს.

რისი დოკუმენტირება გვინდა და გვჭირდება?

რა თქმა უნდა, ყველაფრის ჩაწერა და დამახსოვრება ნაკლებად გამოსადეგია. იმის გათვალისწინებით, თუ რა ინფორმაცია გვჭირდება საგანმანათლებლო პროცესის შესაფასებლად და ბავშვების განვითარების დასანახად, ვარჩევთ, რა ჩავინიშნოთ და შევინახოთ. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ინფორმაციის დოკუმენტირება ხდება ყველა ბავშვის შესახებ. დოკუმენტირებისას გვაინტერესებს ისეთი გამოცდილებები, რომლებიც გვიჩვენებს, რა ესმით ბავშვებს, რისი გაკეთება შეუძლიათ და როგორ არიან ჩართული აღმოჩენებისა და კვლევის პროცესში. ამის გათვალისწინებით, ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირება, რომელიც მოიცავს ყოველდღიური საქმიანობების ასახვას (ჩანაწერები, როგორ იქცევიან ბავშვები, მაგალითად, სადილის ან სხვა რუტინული საქმიანობების დროს, რაიმე სასაცილო ან საინტერესო საუბრის ჩანაწერი, დაბადების დღეების მილოცვების ტექსტები, ფოტოები და სხვა) ან პროექტების პროცესის და შედეგის დოკუმენტირებას ფოტოებისა და ჩანაწერების მეშვეობით; რას აკეთებენ ბავშვები სხვადასხვა საქმიანობისას, როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან, რა აინტერესებთ, რაში არიან უფრო მეტად ჩართულები და სხვა. საგანმანათლებლო პროცესის გარდა, მნიშვნელოვანია უშუალოდ თითოეული ბავშვის სწავლისა და განვითარების ამსახველი მასალის

დოკუმენტირება. ეს დაგვეხმარება, ნათლად დავინახოთ როგორია და როგორ იცვლება ბავშვების სხვადასხვა კომპეტენცია, ინტერესი თუ სხვა თავისებურებები.

შესაბამისად, დოკუმენტირებული მასალის ინფორმატიულობისთვის, ავსახოთ როგორც ბავშვების სწავლა და განვითარება, ისე - საგანმანათლებლო პროცესი და პროექტები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი მიზანი და ფორმები, რომელთაც ქვემოთ მიმოვიხილავთ.

რა მეთოდების და ხერხების გამოყენებით ვახდენთ დოკუმენტირებას?

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ რისი დოკუმენტირებაც არ უნდა გადავწყვიტოთ, სჯობს, ჩავინიშნოთ რეალური მოვლენები და შეფასება მოგვიანებით, ანალიზისას მივცეთ. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ჩავწეროთ "მარიამი დღეს მოწყენილი ჩანს", მოვყვეთ, რა მოხდა: "მარიამი დღეს არავისთან თამაშობს, ჩუმად ზის და არ ერთვება აქტივობებში. სადილი არ შეჭამა".

დოკუმენტირების წარმოებისთვის დაგვჭირდება ბლოკნოტი, ფურცლები, ფანქრები, საწერი კალმები, ხმის ჩამწერი, ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა და ბაღში ხელმისაწვდომი სხვა საშუალებები.

დოკუმენტირებისას თავად უნდა გადავწყვიტოთ, რა საშუალებით აღვბეჭდავთ პროცესს, ბავშვების ამბებს და მათ მიღწევებს. ქვემოთ შემოგთავაზებთ რამდენიმე გავრცელებულ გზას, რომლებიც ხშირად ერთდროულად გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო პროცესის, ისე ბავშვის სწავლისა და განვითარების დოკუმენტირებისას.

- შევინახოთ ბავშვების ნამუშევრები - ნახატები, კოლაჟები ან სხვა ნამუშევრები (სკულპტურა, ნაგებობა, სამოსი, წარმოდგენა და სხვა), თუ ამის საშუალება გვაქვს. ნამუშევრებს თან უნდა დავურთოთ ბავშვის სახელი, შესრულების თარიღი.

- ვაწარმოოთ ჩანაწერები - ჩანაწერები, რომლებსაც უშუალოდ დაკვირვების დროს ვაკეთებთ - შეიძლება ეს იყოს რამდენიმე სიტყვა თითოეულ ბავშვზე ან მთელ ჯგუფზე, ან უფრო დეტალური აღწერა მოვლენებისა. მაგალითად, "დათუნა, მარიამი და ანიკა კაქტუსებს ხატავენ და ფერად ფურცლებს აწებებენ, დათუნას უჭირს მაკრატლით ფურცლების დაჭრა. მარიამი ეხმარება .....". ასევე, მშობლებთან საუბრის დროს შეიძლება დაგვჭირდეს ბავშვების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ჩანიშვნა.
- გადავიღოთ ფოტო და ჩავიწეროთ ვიდეო და/ან აუდიო მასალა - ჩანაწერებს შეგვიძლია დავურთოთ ფოტო, ვიდეო და/ან აუდიო მასალა რომლებიც ბავშვების გამოცდილებებს ასახავს. ასევე შეგვიძლია ფოტო ან ვიდეო გადავუღოთ ბავშვის ნამუშევარს (სკულპტურა, ნაგებობა, სამოსი, წარმოდგენა და სხვა) და შევინახოთ. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვსაც ვკითხოთ, რომელი ნამუშევრის დოკუმენტირება სურს.
- შევინახოთ დაკვირვების სპეციალურად შექმნილი ფორმები - ზოგიერთი პრაქტიკოსი იყენებს დაკვირვების წინასწარ შემუშავებულ ფორმებს, რომლებზეც ბავშვების ინტერესების დანახვის თავში ვისაუბრეთ. ეს ფორმებიც ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა და ხშირად მათი დოკუმენტირებაც გვჭირდება.

ზემოთ მოცემული მეთოდების გამოყენებით შეგროვებული მასალა ავსებს ერთმანეთს, შესაბამისად, ისინი ერთდროულად გამოიყენება, როგორც

საგანმანათლებლო პროცესის, ისე ბავშვის განვითარების დოკუმენტირებისას. ეს ერთიანი პროცესი დაახლოებით შემდეგნაირად გამოიყურება: საგანმანათლებლო პროცესს აღვწერთ თხრობითი ფორმით. თხრობითი ტექსტი გვაძლევს საშუალებას, რომ შევქმნათ საინტერესო ამბავი, ისტორია იმის შესახებ. თუ რა ხდება ჯგუფში, რას სწავლობენ, როგორ ვითარდებიან, რა აღმოჩენებს აკეთებენ ბავშვები, როგორ მიმდინარეობს პროექტი. გარდა ჩანაწერებისა, საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირებისას ჩვენ ასევე ვინახავთ ბავშვების ნამუშევრებს (ნახატები, კოლაჟები, სკულპტურა, ნაგებობა, სამოსი, წარმოდგენა და სხვა). უშუალოდ ნამუშევრების გარდა, ჩანაწერებს შეგვიძლია ფოტო, ვიდეო და/ან აუდიო მასალა დავურთოთ.

როგორ ვიყენებთ დოკუმენტირებულ მასალას?

ბავშვების სწავლისა და განვითარების შესახებ ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შეფასებაშიც უნდა გამოვიყენოთ. როდესაც გადავავლებთ თვალს დოკუმენტირებულ მასალას, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ის წერტილები, რომლებიც გასაძლიერებელია. დოკუმენტირებული მასალის გაანალიზების საფუძველზე, ჩვენ შეიძლება მკვეთრად შევცვალოთ ბაღში მიმდინარე პროცესები და ბავშვებს მათი ინტერესების და შესაძლებლობების შესაბამისი გამოცდილებები შევთავაზოთ. მაგალითად: დავაჯგუფოთ ბავშვები მსგავსი ინტერესებით ან ბავშვები, რომლებსაც ერთმანეთის დახმარება შეუძლიათ. თუ დავინახავთ, რომ ბავშვები განსაკუთრებით ინტერესდებიან კონკრეტული მასალით, შეიძლება დაგვჭირდეს ჯგუფის რესურსების გამდიდრება ამ მასალით.

ხანდახან დოკუმენტირება ბავშვის სპეციალური საჭიროების აღმოჩენაშიც გვეხმარება, რის შემდეგაც ჩვენ მივმართავთ მშობელს და სპეციალისტს, მათთან კი ერთად ვგეგმავთ ბავშვის განვითარებისათვის საუკეთესო გამოცდილებებს.

როგორ გავაზიაროთ და წარმოვადგინოთ დოკუმენტირებული მასალა?

დოკუმენტირების ორგანიზება და წარმოდგენა მრავალფეროვანი საშუალებებით არის შესაძლებელი. ეს საშუალებებია: სურათების ალბომი, სახატავი რვეული ან ბლოკნოტი, ხელნაკეთი წიგნი, საგამოფენო ან საინფორმაციო დაფა, ბაინდერი ფაილებით და ა.შ.

როდესაც პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა, ზოგიერთი სპეციალისტი საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირებისთვის მასალას აგროვებს პროექტის ბოლო ფაზამდე, შემდეგ უკეთებს ანალიზს და ამზადებს გასაზიარებლად. თუმცა, უმჯობესი იქნება, თუ დოკუმენტირებული მასალის გაზიარებას მოვახდენთ პროექტის მიმდინარეობის პროცესშივე და მათი მომზადებისას ბავშვებსაც ჩართავთ.

ბავშვები ამით ხვდებიან, რომ მათ ნამუშევრებს პატივს სცემენ და ისინი უფრო მეტად უფრთხილდებიან მათ, იაზრებენ მათ მნიშვნელოვანებას, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, თუ რომელი ნამუშევრის გამოფენა ჯობია და რატომ, ინტერპრეტაციებს უკეთებენ ნამუშევრებს.

პროექტი თევზი

3-4 წლიანების ჯგუფი

პროექტისათვის თემის შესარჩევად გადავწყვიტეთ ბავშვების ინტერესები მათი ნახატებიდან გაგვერკვია.



ნამუშევრებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია რამდენიმე ნახატმა. რომლებზეც, ბავშვების აღწერით, თევზი იყო გამოსახული, გადავწყვიტეთ ბავშვების ინტერესი ამ მიმართულებით გაგვეღრმავებინა, ამიტომ ბავშვები წავიყვანეთ ეგზოტარიუმში.

დავათვალიერებინეთ წიგნები და ჟურნალები თევზებზე, ვნახეთ ვიდეოებიც. პროექტის მეორე ეტაპისთვის თავი მოვუყარეთ ბავშვების შეკითხვებს და შევუდექით უშუალოდ კვლევას.



ზოგიერთ კითხვებზე პასუხების გასაცემად მოვიწვიეთ ექსპერტები.

ექსპერტებისაგან მიღებული ინფორმაციით შევიტყვეთ, როგორ ცხოვრობენ და მრავლდებიან, რით იკვებებიან თევზები, რას იყენებენ მეთევზეები თევზის დასაჭერად.

ბავშვებისთვის ეს პროექტზე მუშაობის პირველი გამოცდილება იყო და დიდი მონდომებითა და ინტერესით ერთვებოდნენ აქტივობებში.

თანდათან ბავშვებმა დაიწყეს მიღებული ცოდნის გადმოცემა ნამუშევრებში. მათში ჩანს, რომ ბავშვებმა უკვე იციან იმის შესახებ, რომ თევზს აქვს ფარფლები, კუდი, ლაყუჩები, ე.წ. ხაზი,





რომლითაც გრძნობს საშიშროების მოახლოებას. იციან, რომ თევზს აქვს ხერხემალი და ფხები.

პრეზენტაცია გამოფენის სახით წარმოვადგინეთ და მოვიწვიეთ მეზობელი ჯგუფის ბავშვები.

ეს ამბები შეიძლება ხშირად დაიწეროს ბავშვების მიერ, მათი კარნახით, პროექტის ისტორიის სახით, ის შეიძლება მოიცავდეს პროექტის რაიმე ერთ კონკრეტულ აქტივობას, კონსტრუქციის აშენებას ან მორიგ ექსკურსიას.

ოთახში, ფანჯრის რაფაზე, ბავშვებმა შენიშნეს ხოჭო, სოფომ დამიძახა და მკითხა, შეიძლებოდა თუ არა ქილაში ჩაესვა ცოტა ხნით. გადავწყვიტეთ დაკვირვების მიზნით სადილამდე ქილაში გვყოლოდა.

ნიკამ მოიტანა ქილა და ფრთხილად ჩასვა შიგნით, შემდეგ დაახურა თავსახური.

- რა ვაჭამოთ? რას ჭამენ ხოჭოები? - კითხულობდნენ სანდრო და ანა.

სადილის მერე გავედით ეზოში, ნიკამ გადასვა ხოჭო ბალახებში და დაიწყო ლუპით დაკვირვება, რას იზამდა ხოჭო. მალე მან და ანამ შენიშნეს, რომ ხოჭომ პურის ნამცეცი იპოვა და მიაგორებდა .

ბავშვებს შევთავაზე, დავკვირვებოდით ხოჭოს და ცხრილით ჩაგვენიშნა მისი აგებულება. ანამ და სოფომ უცებ გამოიტანეს ფურცლები, ფანქრები

და დახაზეს ცხრილი, როგორიც წინა კვირაში გავაკეთეთ სპილოს ფოტოზე დაკვირვებისას.





ასევე შეიძლება დამზადდეს წიგნები გასაზიარებლად - ბავშვებს ძალიან მოსწონთ ამ წიგნების დათვალიერება, განსაკუთრებით - მშობლებთან ერთად.

ბაღში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიღება მშობლებსა და კოლეგებს ბაღის ბლოგიდან ან ვებ გვერდიდან შეუძლიათ.

დოკუმენტირებული მასალის გაზიარება შეიძლება მოხდეს საბავშვო ბაღის გარეთაც. მაგალითისთვის, იტალიაში მიღებულია საგამოფენო პანელების მოწყობა ქუჩაში ან მოედნებზე, სადაც საგანმანათლებლო პროცესს ეცნობიან უბრალო გამვლელები, მეზობლები, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები, რითაც იღებენ ერთგვარ ინფორმაციას და გარკვეულწილად ერთვებიან ბაღის ცხოვრებაში.



ინდივიდუალური პორტფოლიო

ბავშვების განვითარების დოკუმენტირებული მასალის წარმოდგენის და გაზიარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოების წარმოებაა და სწორედ ამ მეთოდს ვიყენებთ ამ კურიკულუმის მიხედვით.

პორტფოლიო არის ბავშვის იმ სიტუაციების/გამოცდილებების და ნამუშევრების შეგროვების სისტემა, რომელიც ასახავს მის განვითარებას. ეს არის დათარიღებული კოლექცია, რომელიც მოიცავს: ბავშვზე დაკვირვებას, მის ნახატებს, ნაწერებს, ისეთი ნამუშევრების ფოტოებს, როგორიცაა, მაგალითად, კუბების კონსტრუქცია, აწყობილი მოზაიკა, შევსებული ცხრილები, გრაფები და ა.შ.

ნიმუში პორტფოლიოში გამოხატავს ბავშვის კონკრეტულ კომპეტენციას, მის მცდელობას, მიღწევებს, სწავლის მეთოდს, ინტერესს, ხედვას. ერთად კი ეს მასალები ასახავს თითოეული ბავშვის პროგრესს გარკვეული დროის განმავლობაში.

ძირითადად, პორტფოლიოს ორგანიზება ხდება ბაინდერებისა და საქაღალდეების ან სურათების ალბომის საშუალებით.

პორტფოლიოს წარმოებისას ვაგროვებთ იმავე მასალას, რასაც პროცესის დოკუმენტირებისას, მხოლოდ აქცენტი გაკეთებულია კონკრეტულ ბავშვზე, მის უნარებზე, ინტერესებსა და განვითარებაზე.

ყოველი ნამუშევარი ატარებს ინფორმაციას ბავშვის განვითარების შესახებ, ამიტომ თქვენ დაგჭირდებათ არა ერთი და ერთფეროვანი, არამედ



მრავალფეროვანი და განსხვავებული ნიმუშები ბავშვის კომპეტენციებისა და ინტერესების დასანახად. ბავშვის ნამუშევრის პორტფოლიოში ჩადებამდე დააწერეთ და დაამაგრეთ უკან პატარა დაკვირვების ჩანაწერი მცირე ინფორმაციით - როგორ შეიქმნა ის ან რას ჰყვება ბავშვი ამ ნამუშევრის შესახებ.



განვითარების/ზრდის საჩვენებლად მოაგროვეთ მსგავსი ნიმუშები გარკვეული დროითი მონაკვეთების ინტერვალებით, მაგალითად - მთელი წლის მანძილზე ბავშვის მიერ დაწერილი საკუთარი სახელის ან რაიმე სიტყვის რამდენიმე ნიმუში საკმარისი იქნება მისი წერითი კომპეტენციის დოკუმენტირებისთვის. ძალიან გაგიჭირდებათ პროგრესის ასახვა თითო სახეობის მხოლოდ თითო ნიმუშით - მაგალითად, ერთი კონსტრუქციის ფოტოთი ან ერთი დიალოგის ჩანაწერით.

ხშირად დოკუმენტირების უფრო მარტივი გზა ფოტოს გადაღება და ვიდეო ან აუდიო ჩამწერის გამოყენებაა, ვიდრე დაკვირვების ჩაწერა. აი, მათი ჩამონათვალიც:

ფოტოები:

- ბავშვის მიერ შექმნილი კუბები ან სხვა სამგანზომილებიანი ობიექტები;
- რაიმე კატეგორიად დახარისხებული ნივთები;
- რამდენიმე ბავშვის ჯგუფური ნამუშევარი;
- ფიზიკური აქტივობა, რომელიც ასახავს ბავშვის ფიზიკურ განვითარებას (ატარებს სამთვლიან ველოსიპედს, ძვრება ასაძრომზე);
- ყოველდღიური რუტინა (იყენებს კოვზს, ალაგებს).

ბავშვის მეტყველების ჩანაწერებიდან შეიძლება შეაგროვოთ:

- შეკითხვები, პასუხები, ვარაუდები;
- ნამუშევრების აღწერები;
- ექსკურსიისას კომენტარები.

ხოლო ვიდეო - აუდიო ჩანაწერებიდან:

- სიმღერა, ისტორიის მოყოლა;
- როლური წარმოსახვითი თამაში;
- პრობლემის გადაჭრის ძიების პროცესი;
- სადილის დროს საუბარი.

სასურველია, ბაღში იყოს ქსეროქსი, სკანერი და პრინტერი, რათა შეძლოთ ნიმუშებისა და ფოტოების დაბეჭდვა.

პორტფოლიოში ნამუშევრების დახარისხება სხვადასხვანაირად შეგიძლიათ: სფეროების, ისტორიების, ასაკის და ა.შ. მიხედვით.

პორტფოლიოს გამოყენება ოჯახებისათვის ინფორმაციის გასაზიარებლადაც შეგიძლიათ. დაეხმარეთ ბავშვებს საკუთარი ნამუშევრების გაანალიზებაში, წარმატების დანახვაში, განვითარების საფეხურის შეჯამებაში, რათა დასახოთ ახალი მიზნები და დაგეგმოთ სტრატეგიები.

გარდა დოკუმენტირებისა, პორტფოლიოს სხვა ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს. ხანდახან ის ბავშვების სიამაყის საგანია. მათ მოსწონთ თავიანთი მდიდარი პორტფოლიო, სადაც წარმოდგენილია მათი მიღწევები.

კედლის/საგამოფენო პანელი - საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირებისას შეგროვებული მასალა და ის ჩანაწერები თუ ისტორიები, რომლებიც ზემოთ წარმოგიდგინეთ, რაც შეიძლება ხშირად უნდა გამოიფინოს დაფაზე მოყოლილი

ამბის სახით, დასურათებული ფოტოებითა და ნამუშევრებით. ასეთ შემთხვევებში დოკუმენტაციისთვის ე.წ. საგამოფენო პანელების გამოყენება შეგიძლიათ.

წიგნი/ბროშურა - ბავშვების განვითარების დასანახად შეგვიძლია მათთან ერთად დავამზადოთ წიგნები ან ბროშურები, რომლებშიც მათი ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი. ეს წიგნები ბაღის ბიბლიოთეკასაც გაამდიდრებს, მათი წაკითხვა და მშობლებისთვის გაზიარებაც შეგვეძლება.

დაფა - ბევრ ბაღში ვხვდებით დაფებს, რომლებზეც სხვადასხვა ინფორმაციაა წარმოდგენილი. გარდა განრიგისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციისა, ჯგუფის დაფაზე ბავშვების ნამუშევრების წარმოდგენაც შეგვიძლია.

CD ფოტოებით და ვიდეოებით - შეგვიძლია ფოტო და ვიდეომასალის დისკზე ჩაწერა, ასე შენახვა ან გაზიარება მშობლებისა და კოლეგებისთვის, თუმცა ბავშვების გადაღებამდე აუცილებლად დაგვჭირდება მშობლების თანხმობა.

თავი 6. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ფორმები

ჩვენი კურიკულუმისთვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პერსონალის მიერ პროცესის გააზრებული დაგეგმვა, რაც ხშირად საკმაოდ რთული და კომპლექსური საკითხია. მის დასაგეგმად საჭიროა გავიაზროთ, გვახსოვდეს და დავაკავშიროთ ერთმანეთთან წარმოდგენილი კურიკულუმის თითოეული კომპონენტი:

- ფიზიკური გარემო;
- განრიგი;
- ბავშვზე დაკვირვება;
- განვითარების სტრატეგიები, გამოწვევების შექმნა როგორც ინდივიდუალურად, ისე დიდი და მცირე ჯგუფებისთვის;
- სტანდარტის კომპეტენციები;
- განვითარების დოკუმენტირება და (პროგრესის) შეფასება.

პრაქტიკოსი მასწავლებელი გვირჩევს, „არასოდეს დაგეგმოთ აქტივობის მიმდინარეობა. დაგეგმეთ, როგორ გაიგოთ მეტი ბავშვის შესახებ, დაადგინოთ, როგორ ფიქრობენ ბავშვები“

დაგეგმვის ფორმაში ასახული უნდა იყოს როგორც ბავშვზე/ბავშვებზე დაკვირვება, ისე საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსია, რომელიც, სასურველია, მოიცავდეს სტანდარტის ინდიკატორსაც და იმ საშუალებებსაც, რომლითაც საგანმანათლებლო პერსონალი ქმნის შესაძლებლობებს, შემდეგ კი გამოწვევებს ბავშვის განვითარების ხელშესაწყობად.

მნიშვნელოვანია, ასახული იყოს შემდგომი დაკვირვებაც ბავშვზე - ის

შედეგი თუ რეაქცია, რომელიც მოყვება ბავშვის მხრიდან ამ გამოწვევებს, როგორ იყენებს შესაძლებლობებს, რაზე ამახვილებს ყურადღებას, რა კომპეტენციებს განივითარებს და ა.შ.

გთავაზობთ დაგეგმვის რამდენიმე ფორმას შევსებული მაგალითებით, საიდანაც შეიძლება შეარჩიოთ თქვენთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი და სასურველი ფორმა, გამოსცადოთ ან შეიტანოთ მასში ცვლილებები.

მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის ფორმა იყოს დოკუმენტი, რომელიც ასახავს ჯგუფში და ბავშვებთან წარმოებულ მუშაობას და იყოს დამხმარე საშუალება საგანმანათლებლო პერსონალისათვის როგორც პროცესის დაგეგმვის, ისე მისი განხორციელების, შემდგომი გააზრებისა და შეფასებისთვის.

დაკვირვება	ანალიზი	მოქმედება: გამოწვევები, დიალოგები, აქტივობები, პროექტები.	შემდგომი დაკვირვება

ჯგუფის სივრცე *მეცნიერება, კონსტრუქციები* **კვირა:** *10–15 მაისი*

დამკვირვებელი *ეკატერინე*

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
მოქმედება/გეგმა *წავახალისოთ ბავშვები, გამოსცადონ ორნაირი ზედაპირის – პრიალა და ხაოიანის გზა.*	**მოქმედება/გეგმა** *შევთავაზოთ გრძელი დაფა, რომ შეძლონ ექსპერიმენტირება: როგორ მოძრაობენ მანქანები დახრილ ზედაპირებზე.*	**მოქმედება/გეგმა** *წავახალისოთ ბავშვები, გამოიყენონ ამწეკრანი დაფაზე საგნების მოსათავსებლად და სამოძრაოდ.*	**მოქმედება/გეგმა** *ამწეს სისტემის მოწყობა. წავახალისოთ ბავშვები, მიამაგრონ საკუთარი ნაწილები ამწეს.*	**მოქმედება/გეგმა** *წავახალისოთ ბავშვები, გააკეთონ მარტივი მანქანები.*
დაკვირვება *ბავშვებს მოეწონათ მანქანების ტარება სხვადასხვა ზედაპირზე, დაათვალიერეს წიგნები და შეადარეს ერთმანეთს სხვადასხვა მანქანის ბორბლების ზომები.*	**დაკვირვება** *დაქანებულ ზედაპირზე მანქანების დაშვებისას შენიშნეს, რომ უფრო მძიმე მანქანები უფრო სწრაფად მოძრაობდნენ. მოუმატეს სიმაღლე და დახრა.* *დაამატეს ამობურცული ზედაპირები, დაამატეს წონა ერთ მანქანას და მიხვდნენ, რომ ის უფრო სწრაფად იმოძრავებდა.*	**დაკვირვება** *ბავშვებმა იხალისეს გამოცნობით, თუ რამდენი სიმძიმე დასჭირდებოდა ამწეს მანქანის ასაწევად. ბავშვები მიხვდნდენ – რაც უფრო ციცაბო იყო აღმართი, მით მეტი წონა იყო საჭირო მანქანის ასაწევად.*	**დაკვირვება** *ბავშვები დამოუკიდებლად მუშაობდნენ სისტემის მოწყობაზე და სიამოვნება მიიიღეს ამ პროცესისგან.*	**დაკვირვება** *სხვადასხვა მასალის გამოყენებით (ღილები, მავთულები) და უფროსების ცოტაოდნი მხარდაჭერით ბავშვებმა შეძლეს მარტივი მანქანების გაკეთება და გამოსცადეს ისინი დაფაზე.*
შესაბამისი კომპეტენცია				

მას შემდეგ, რაც დახმარებისთვის მოგვმართა, ეკატერინემ თავის კოლეგასთან ერთად შექმნა ჯგუფში ძალიან მიმზიდველი გარემო, სადაც ერთ-ერთი კუთხე სახელოსნოდ მოაწყო. დაკვირვების დროს ეკატერინემ შენიშნა თედოს ინტერსი მანქანების მიმართ და დაგეგმა მისთვის შესაბამისი რესურსის შეთავაზება. მან მოიძია ენციკლოპედია მანქანის მარკებისა და მოდელების შესახებ უფროსებისთვის.

თედომ წიგნის თვალიერების დროს ყურადღება გაამახვილა მანქანების სისწრაფეზე და გაარკვია, სად ეწერა ციფრები, რომლებიც სისწრაფეს აღნიშნავდნენ. ყოველი გვერდის გადაფურცვლისას, ის უყურებდა ამ ციფრებს და ცდილობდა გამოცნობას - მეტი იყო თუ ნაკლები. ეკატერინემ შესთავაზა თედოს გადახატვა იმ მანქანებისა, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონა. მათ ერთად შექმნეს წიგნი მანქანების შესახებ. თედო რამდენიმე თვის მერეც ხშირად უბრუნდებოდა თავის წიგნს და ამდიდრებდა მას ახალი იდეებით. ეს გამოცდილება დაეხმარა თედოს მათემატიკური, მეტყველებისა და წიგნიერების სტანდარტების შედეგების მიღწევაში. მან გაუზიარა წიგნი თავის მშობლებსა და მეგობრებს, რამაც ჩამოუყალიბა ძლიერი თვითშეფასება. სხვა მშობლები, სტუმრები და კოლეგები ხედავდნენ მიღწეულ შედეგებს აღმზრდელის მიერ ამ პროცესის დოკუმენტირებით, ყოველდღიურ დაფისა და თედოს წიგნის მეშვეობით.

დირექტორი სალომე

დაგეგმვის ფორმა

დაკვირვების შეჯამება და ანალიზი				
შესაძლებლობების ჩამონათვალი/ რამდენიმეს შერჩევა	**იდეები ბავშვების პერსპექტივების საკვლევად**	**დაგეგმილი შესაძლებლობები და გამოწვევები**	**სტანდარტის კომპეტენციები / შედეგები**	**მოსამზადებელი აქტივობები/ საჭირო მასალები**
ინდივიდუალიზებული გეგმები				

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროექტებზე მუშაობისას საგანმანათლებლო პერსონალი ხშირად წარმატებით იყენებს რუკებს როგორც საგანმანათლებლო პროცესის წინასწარი დაგეგმვისთვის, ისე პროექტის საკითხის ხედვის ჩამოსაყალიბებლად და შემდგომი ანალიზისთვის.

ასეთ ფორმაში შეიძლება, აღიწეროს პროექტის პირველი ფაზის მიმდინარეობა, პროექტის შემდგომი (შესაძლო) განვითარების დაგეგმვის მიზნით:

პირველი ფაზა: პროექტის საკითხის შეფასება

რა ხდებოდა ჯგუფში? როგორ მივაქციეთ ყურადღება ამ თემას?

ჯგუფში ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ საღებავებით ხატვით, ისინი ბევრს ლაპარაკობდნენ ფერების შესახებ. ურევდნენ ფერებს ერთმანეთში ახალი ფერების მისაღებად, ამატებდნენ წებოს და აპლიკაციის მასალას.

რა არის ამ ინტერესის საფუძველი? რატომ არის ის მნიშვნელოვანი?

„ჯადოსნური“ პროცესი – სხვადასხვა ფერის შერევით მიღებული ახალი ფერები აკმაყოფილებს მათ ცნობისმოყვარეობას, როგორ შეიგრძნობენ – ფაქტურები: უხეში და გლუვი.

როგორ უწყობს ეს თემა ხელს აღმზრდელების, მშობლების, პროგრამის ფასეულობებს?

ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევებს, სიტყვათა მარაგის გამოყენებას, ახსნას, სოციალურ უნარებს (რიგის დაცვა, არჩევანის გაკეთება)

რა შესაძლო მიმართულებებით შეიძლება განვითარდეს პროექტი? გამოსახეთ წინასწარი დაგეგმვის რუკა (დაკავშირებული საკითხები, აქტივობები, კომპეტენციები და.ა.შ.)



მეორე ფაზა: ჩვენი კვლევა *საღებავებით ხატვა*

მუშაობა დიდ ჯგუფთან: *როგორი იყო დასვენების დღეები?* *მხატვრის ვიზიტი.*	*მოთხრობა ქოთანზე*	*ახალი იარაღების განხილვა – როგორი იყო მათი გამოყენება?*	*მსჯელობა საკითხზე – ხელების დაბანა*

მუშაობა მცირე ჯგუფთან: *ახალი იარაღების გამოცდა: საგორავებელი, შპატელი*	ახალი იარაღების გამოცდა: *საგორავებელი, შპატელი*	*ახალი იარაღების გამოცდა, ვერტიკალური ზედაპირების შეთავაზება, მოლბერტები, კედელი.*	*ვერტიკალურ ზედაპირებზე მუშაობა, მოლბერტები, კედელი.*

რა ხდებოდა? *ბავშვებს განსაკუთრებით მოეწონათ დიდ ფორმატზე მუშაობა–საღებავით დაფარვა.*

მიღწეული შედეგი/კომპეტენცია

რა იქნება შემდეგ? *შევთავაზებ ქაღალდის დიდ რულონებს, შესაფუთ ქაღალდს, ეზოში ხატვას.*

საგანმანათლებლო სიტუაციებისა და გამოწვევების დაგეგმვა

კვირა_____

წინა კვირის ანალიზი/შეჯამება: *სად ატარებდნენ ბავშვები მეტ დროს? რითი იყვნენ დაინტერესებული? რა იყო მათი თამაშის თემა, რომელ კომპეტენციაზე გადიოდნენ? როგორ გავიგო მეტი ბავშვების ინტერესების მიზეზსა და საჭიროებაზე? ბავშვებში მიღწეული სასწავლო კომპეტენციების ანალიზი:*

ამ კვირის სამუშაო (ჩანაფიქრი): *რა შეიძლება იყოს მათთვის ამ კვირის მიზანი? რაიმე წესი, რუტინის ჩამოყალიბება, ერთობის გაძლიერება, თანამშრომლობა, მათი ინტერესის ხელშეწყობა/ გაღრმავება.*

მასალები და გარემო ბავშვების განვითარების ხელშეწყობისთვის (სოც–ემოც, მეტყვ.ფიზიკური)		
როგორ შეიძლება მასალებითა და გარემოს მოწყობით ხელი შევუწყო ამ კვირის მიზნების განხორციელებას ბავშვებში სასწავლო კომპეტენციების განვითარების მიზნით?		

დაგეგმილი აქტივობები ბავშვების განვითარების ხელშეწყობისთვის				
ორშაბათი *აქტივობები დიდ და მცირე ჯგუფებთან. როგორ შეუწყობს ხელს დაგეგმილი აქტივობები ბავშვების ინტერესებს წინა კვირის რეფლექსიიდან და მიზნების მიღწევას.*	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
რომელი სასწავლო კომპეტენციების განვითარებას შეუწყობს ხელს?				

რუტინებისა და გადასვლების ცვლილებები განრიგში ბავშვების განვითარების ხელშეწყობისთვის:

აღწერეთ ცვლილებები და მათი მიზნები, როგორ შეიძლება მთელი დღის (მათ შორის რუტინები და გადასვლები) გამოყენება განვითარების მიზნებისათვის? როგორ გაითვალისწინებთ ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს? მიუთითეთ ბავშვების ინიციალები.

საგანმანათლებლო სიტუაციების /შესაძლებლობების დაგეგმვა

ბავშვებს აინტერესებთ: ჩაინიშნეთ, რას აკეთებენ ბავშვები, ინდივიდუალურად მცირე და დიდ ჯგუფებში; იფიქრეთ, რა დგას ამ ინტერესის უკან.	**ახალი გამოწვევების შექმნა:** თქვენი დაკვირვებიდან შეარჩიეთ, რა შეიძლება იყოს შეთავაზებული ბავშვებისათვის გამოცდილების გასაღრმავებლად.
მშობლების/ოჯახების იდეები/შემოთავაზებები ამის გასარკვევად ჩართეთ მშობლები და ოჯახის სხვა წევრები, დასვით შეკითხვები, მოაწყვეთ შეხვედრები.	**იდეების გადახედვა/ განხილვა** თქვენი დაკვირვებებიდან შეარჩიეთ გამოცდილებები, უნარები, ინტერესები, რომლებიც შეიძლება გადაიხედოს, განივრცოს და გაღრმავდეს.
იდეები ოჯახებისთვის როგორ დავაინტერესოთ და ჩავრთოთ მშობლები?	**იდეები მოხალისეებისთვის** როგორ გამოვიყენო მოხალისეები?

თავი 7. კურიკულუმის შეფასება

ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ორგანიზაციისა და პროფესიონალების განვითარებისთვის საკუთარ მუშაობის პროცესზე მუდმივი დაკვირვებაა და რეფლექსია/ გააზრება იმისა, როგორ გავხდეთ კიდევ უფრო ეფექტურები.

ამ თავში განვიხილავთ შეფასების სისტემებსა და კომპონენტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თითოეული პრაქტიკოსისა და მთელი დაწესებულებისთვის მუშაობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

შეფასების მიზანი, კომპონენტები და მისი გამოყენება შემდგომ დაგეგმვაში

კურიკულუმის შეფასების მიზანი, უპირველეს ყოვლისა, მისი ეფექტურობის გაზომვა და ხარისხის განვითარებაა, რაც საბოლოოდ განაპირობებს ბავშვის კეთილდღეობასა და საგანმანათლებლო სტანდარტების მიღწევას.

კურიკულუმის შესაფასებლად ის შეიძლება დაიყოს რამდენიმე შემადგენელ კომპონენტად და სხვადასხვა კომპონენტის შესაფასებლად გამოყენებული იყოს მრავალი საშუალება. ეს კომპონენტებია:

- ფიზიკური გარემო
- დროის ორგანიზება
- სოციალური გარემო
- დაგეგმვა
- საგანმანათლებლო პროცესი
- დოკუმენტირება
- აღმზრდელის შეფასება

როგორც წესი, დაწესებულება თავად შეიმუშავებს კურიკულუმის შეფასების სისტემას, რომელიც უნდა მოიცავდეს შეფასების პერიოდულობასა და ფორმებს. შეფასების სისტემის შექმნაში ჩართული უნდა იყოს როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო, ისე - ადმინისტრაციული პერსონალი. მნიშვნელოვანია გააზრება კურიკულუმის შეფასების ციკლისა, რომელიც უნდა მეორდებოდეს დაკვირვებისა და რეფლექსიის საფუძველზე დაყრდნობით ცვლილებების შესატანად და მათ გამოსაყენებლად შემდგომი დაგეგმვისას.

შესაძლოა, შეფასებისათვის შეიქმნას სხვადასხვა ტიპის შესავსები ცხრილები ან რეფლექსიის კითხვარები, რომლებსაც შეავსებს დაწესებულების სხვადასხვა საგანმანათლებლო პერსონალი, მშობლები, ბავშვები (უფროსების დახმარებით).

წარმოდგენილი კითხვარები და მაგალითები დაგეხმარებათ საკუთარი ფორმების შედგენაში კურიკულუმის განხორციელების ხარისხის შესაფასებლად.

პროექტის შეფასების კითხვარში მოცემულია პროექტისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომლის ანალიზი საშუალებას მოგცემთ, გაიაზროთ, რა ძირითადი საკითხები აკლდა პროექტს და რა უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი პროექტის დაგეგმვისას.

პროექტის შეფასების კითხვარი		
(პროექტის სახელწოდება , თარიღები)__ (რომელი კომპონენტებია შესაბამისი განხორციელებული პროექტისათვის?)	დიახ/არა/ ნაწილობრივ	დაკვირვება
პროექტის საკითხი: განვითარების შესაბამისი –სტანდარტის კომპეტენციებთან კავშირი		
ბავშვების ცნობისმოყვარეობა და მაღალი ჩართულობა		
წინასწარი დაგეგმვის რუკა და მისი კავშირი სტანდარტის კომპეტენციებთან.		
ბავშვების კითხვებზე დაფუძნებული კვლევები		
ნამდვილი საგნების (არტეფაქტების) ხელმისაწვდომობა კვლევის პროცესში		

მოწვეული ექსპერტების ჩართულობა		
განხორციელებული ექსკურსიები (თუნდაც ახლო დისტანციაზე, ეზოში)		
პროექტის მიმდინარეობის დოკუმენტირება. (და არა მხოლოდ შედეგების)		
ბავშვების მიერ შესრულებული დაკვირვების ჩანახატები		
საგანმანათლებლო პერსონალის მიერ დაგეგმილი გამოწვევები		
რეპრეზენტაციები გამოხატავენ ბავშვების ნამდვილ იდეებსა და წარმოდგენებს		
ბავშვებსა და უფროსებს აქვთ საშუალებები მეტაკოგნიციისთვის		
პროექტის შეჯამება ან პრეზენტაცია		
ოჯახების ჩართულობა		
პროექტის ანალიზი/ მოკლე შეფასება		

ამგავარი კითხვარების შევსების და რეფლექსიის პროცესში ჩართული უნდა იყოს ერთ ჯგუფში მომუშავე ყველა საგანმანათლებლო პერსონალი. თქვენ შეგიძლიათ, დამოუკიდებლად შეავსოთ კითხვარები და შემდეგ გაუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი შეხედულებები, ან ერთობლივად შეავსოთ კითხვარი გაზიარებული პასუხებით.

შეფასების შედეგები მაქსიმალურად უნდა იყოს გაზიარებული მთელი დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან, ასევე შესაძლოა მოეწყოს განხილვა რომელიმე კონკრეტულ საკითხზე სხვა ბაღების თანამშრომლებთანაც.

რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენს ბაღში ისე ხდებოდა, რომ ზოგიერთ ჯგუფში ძალიან ეფექტურად ხერხდებოდა ბავშვების მცირე ჯგუფებში მუშაობა, ბავშვები ორგანიზებულად და ძალდაუტანებლად მოძრაობდნენ სხვადასხვა სივრცეში, ირჩევდნენ სასურველ მასალას და საქმიანობას. ზოგან კი, მცირე ჯგუფებში, მუშაობის პროცესი ძალიან ქაოტური იყო და ჯგუფის პერსონალი მუდმივად ჩიოდა ბავშვებს შორის, ხშირი კონფლიქტური სიტუაციების შესახებ. ისინი ვერ ახერხებდნენ მასალების ორგანიზებას და გამოწვევებიც ხშირად მათთვის უინტერესო იყო.

თვითშეფასების კითხვარებმა და მათმა ანალიზმა ეს პრობლემები საგანმანათლებლო პერსონალის შეხვედრებზე მკაფიოდ წარმოაჩინა, აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ შეხედულებებს ამ პრობლემის სავარაუდო მიზეზების შესახებ.

საბოლოო ჯამში, აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები შევთანხმდით, თითო დღით შევსულიყავით ერთმანეთის ჯგუფებში სტუმრის სტატუსით და დავკვირვებოდით პროცესს.

ეს მეთოდი ძალიან დაეხმარა ზოგიერთ ჩვენგანს, თვალნათლივ დაგვენახა საშუალებები, რითაც შესაძლებელი იყო მცირე ჯგუფებში მუშაობის პროცესის უკეთ ორგანიზება.

ნინო - ბაღის მეთოდისტი

წარმოდგენილი შეფასების ფორმა უნდა შეივსოს კითხვებით, რომლებიც შესაბამისობაში მოდის ამ კურიკულუმში წარმოდგენილ მშობლებთან ურთიერთობის საკითხებსა და თქვენს პრაქტიკასთან. ამ კითხვებზე პასუხის გაცემამ და რეფლექსიამ საშუალება უნდა მოგცეთ, განსაზღვროთ თქვენი მშობლებთან კომუნიკაციის ეფექტიანობის ხარისხი.

შეგიძლიათ, იგივე ტიპის კითხვარი შეავსებინოთ ოჯახის წევრებსა და მშობლებს ანონიმურობის პრინციპის დაცვით. ამგვარად, თქვენ შეგიძლიათ მშობლების მოსაზრებების გარკვევა მათთან კომუნიკაციის ფორმების შესახებ.

ოჯახებთან ურთიერთობის შეფასება					
საკითხი	დიახ	დიახ, მაგრამ	არა	არა, მაგრამ	კომენტარი
ჩვენ ვეკითხებით მშობლებს მათი მოლოდინების შესახებ წერილობით ან ზეპირად					
მუდმივად ვცვლით ინფორმაციას ბავშვების პროგრესის შესახებ					
ვაწარმოებთ და ხშირად ვაახლებთ მშობლთა საინფორმაციო დაფას					
ვიყენებთ ტექნოლოგიებს მშობლებთან ურთიერთობისას ბაღში მიმდინარე პროცესებზე ინფორმირებისათვის (მეილი, ბლოგი, სოც ქსელი)					
ჩვენ ვიყენებთ ინდივიდუალურ შეხვედრებს თითოეული ბავშვის მშობელთან					
ვპატიჟებთ მშობლებს ჯგუფში საქმიანობებსა და დღესასწაულებზე					
ვრთავთ ოჯახებს, რათა გაგვიზიარონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილებები					
.....					

კურიკულუმის განხორციელების შეფასებაში თავად ბავშვების ჩართვაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რაც, ერთი შეხედვით, რთული წარმოსადგენია, თუმცა სწორი და გონივრული მიდგომების გამოყენებით შეძლებთ

ბევრი საშუალების დანახვას საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ეს სტრატეგიებია:

- ☺ ჯგუფური შეხვედრის დროს ბავშვებთან გასაუბრება - რას ფიქრობენ ამა თუ იმ საკითხზე;
- ☺ ერთი-ერთზე გასაუბრება ბავშვებთან;
- ☺ ბავშვის აზრის წერილობით ჩანიშვნა;
- ☺ საკუთარი მოსაზრებების ნახატებში გამოხატვა;
- ☺ კითხვარების შევსება უფროსების დახმარებით;
- ☺ დაკვირვება.

ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პერსონალის მიზანი იმის გარკვევა უნდა იყოს, როგორ აფასებენ ბავშვები კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტს: რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს ბაღის გარემოში, რა უქმნით დისკომფორტს დროის გადანაწილებაში, როგორ საქმიანობებში ჩართვა სურთ მეტწილად და სხვა.

ბავშვების მოსაზრებები გამოყენებული უნდა იყოს სამომავლო საქმიანობების დაგეგმვასა და გარემოს ორგანიზებისას.

იმისათვის, რომ ბავშვები მიეჩვიონ საკუთარი შეხედულების გამოთქმასა და შეფასებას, დაგჭირდებათ ამ უნარის განვითარება და კითხვების ჩამოყალიბება მარტივი, ბავშვებისთვის გასაგები ფორმით და მათი ჩართვით სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეგიძლიათ გამოიყენოთ შეკითხვები კონკრეტული აქტივობის შესახებ.

- ☺ იყო სახალისო?
- ☺ კიდევ გავაკეთოთ?
- ☺ მეგობართან ერთად გააკეთე?

დიდ ფურცელზე დახატეთ სამიზნე, აუხსენით ბავშვებს თითოეული წრის მნიშვნელობა და სთხოვეთ, დასვან წერტილი იმის შესაბამისად, თუ რას ფიქრობენ.



დასრულების შემდეგ, აუხსენით ბავშვებს შედეგები და უთხარით, როგორ გამოიყენებთ მათ - მაგალითად, აღარ ითამაშებთ რაღაც თამაშს და ა.შ.

ამავდროულად, შეგიძლიათ სთხოვოთ ბავშვებს, დახატონ ან გიკარნახონ ერთი რამ, რაც მოეწონათ, ერთი, რაც ისე რა მოეწონათ და ერთიც, რაც არ მოეწონათ, თქვენ კი მათი პასუხები ჩაინიშნოთ.

ბავშვების შეფასების გათვალისწინება მნიშვნელოვანია დოკუმენტირებისასაც, რისთვისაც უნდა გავიგოთ ბავშვის მოსაზრება, როგორი ფორმით ურჩევნია მისი ინტერესებისა და კვლევის ასახვა.

https://www.isbe.net/Documents_KIDSWebsiteResources/Taking%20it%20all%20in.pdf

https://www.naeyc.org/files/yc/file/201103/OurProudHeritage_Online0311.pdf

http://onestopteachershop.com/2014/01/putting-together-perfect-teacher-binder.html#

Curtis D., Carter M. (2012). The Art of Awareness. How observation can transform your teaching. 2nd edition. Redleaf press.

Fleet, A., Honig, T., Robertson, J., Semann, A., & Shepherd, W. (2011). What's Pedagogy Anyway: Using pedagogical documentation to engage with the Early Years Learning Framework . Children's Services Central.

NCCA. (2009). Aistear The Early Childhood Curriculum Framework: Guidelines for Good Practice. Dublin: NCCA.

Seitz, H. (2008, March). Power of documentation in the Early Childhood Classroom. Young Children, 88-93.

Wurm, J. P. (2005). Working in the Reggio Way: A Beginner's Guide for American Teachers . Saint Paul: Readleaf Press.